პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

4 იანვარი ორშაბათი 2010

№001 (12989) ფასი 60 თეთრი

# მჭედლიძეს სანქციებით ემუქრებიან




## ფაჩულია: ნეტავ, ვინ მოხვდება ჩვენს ჯგუფში?

ინტერვიუ >> გვერდი 12







## სკიტას ორი მატჩი და...

ლეგიონი >> გვერდი 12

## საქართველოს ნაკრების ფორვარდი პალერმოში არ დაბრუნდა

ტრანსფერის მოლოდინში >> გვერდი 2






## დვალიშვილი დუბლით ხსნის

ლეგიონის უქმეები >> გვერდი 3

## გახდება ტონი ახალი ბატისტუტა?

უცხოური ფეხბურთი >> გვერდი 6-10

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ტრანსფერის მოლოდინში

# მჭედლიძეს სანქციებით ემუქრებიან...

იტალიურ სერია A-ში სეზონი მალე განახლდება. ზეგ მორიგი ტურის მატჩებია და ამ დღეს თამაშობს „პალერმოც“, რომელიც სტუმრად „სამპდორიას“ გაეჯიბრება. **დელიო როსის** გუნდმა საშობაო არდადეგები დაასრულა და მზადება განაახლა, მაგრამ... საქართველოს ნაკრების ფორვარდ **ლევან მჭედლიძის** გარეშე. აი, რას წერენ იტალიური ვებგვერდები.

*„უკვე ორი დღეა, რაც „პალერმომ“ სრული დატვირთვით განაახლა მზადება. ჯერჯერობით ამაოდ ელიან ქართველ ფორვარდ ლევან მჭედლიძეს. კლუბის სპორტული დირექტორი ვალტერ საბატინი მჭედლიძის საქციელის გამო აღშფოთებას ვერ მალავს და აცხადებს:*

*„ამას დისციპლინარული სანქციის გარეშე არ დავტოვებთ. ის აუცილებლად უნდა გამოცხადდეს კლუბში. მას დაჯარიმება არ ასცდება. საერთოდ კი აღვნიშნავ, რომ მჭედლიძეს მალე მოუწევს ჩვენი გუნდის დატოვება“.*

როგორც გავარკვიეთ, მჭედლიძე თბილისშია, თუმცა გუშინ მასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. სამაგიეროდ, შევეხმიანეთ მის ძმას, **გიორგი მჭედლიძეს** (რომელიც სატრანსფერო სააგენტოში მუშაობს) და **ვალტერ საბატინის** განცხადებაზე კომენტარი ვთხოვეთ:

*„კლუბის პრეზიდენტ მაურიციო ძამპარინის თანაშემწე ლუკა კატანის ამ რამდენიმე დღის წინ ვესაუბრეთ. ასე რომ, კლუბი საქმის კურსშია. მათ იცოდნენ, რომ ლევანი „პალერმოს“ ვარჯიშებზე ჯერჯერობით არ გამოცხადდებოდა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხები უნდა გაირკვეს და როგორც კი ეს მოხდება, ლევანი იმავე დღეს გაემგზავრება თბილისიდან. კლუბის სპორტული დირექტორი ვალტერ საბატინი ჩვენს სატრანსფერო სააგენტოსაც ესაუბრა. მაშინ ის ბევრად ლოიალური იყო და რამდენჯერმე გვთხოვა, ლევანი პალერმოში ჩამოვიდესო. ეს პრობლემა არ არის, გარკვეულ საკითხებზე მიდის მოლაპარაკება და იმედი მაქვს, ყველაფერი მალე გაირკვევა“,* - გვითხრა გიორგი მჭედლიძემ.

იტალიურმა წყაროებმა ლევანი სავარაუდო ტრანსფერებშიც მოიხსენიეს. აპენინელ მიმომხილველთა ინფორმაციით, ქართველი თავდამსხმელის გადაბირებით სერია B-ს კლუბები - „ტრიესტინა“ და „პიაჩენცა“ არიან დაინტერესებულნი. თუმცა მოგვიანებით „ტრიესტინას“ სპორტულმა დირექტორმა **ჯულიანო დე ფალკომ** განაცხადა - კარგად ვიცით მჭედლიძის შესაძლებლობები, მაგრამ ამ ეტაპზე მისი აყვანა ჩვენს ინტერესებში არ შედისო.

იტალიური „ევროსპორტის“ ინფორმაციით კი ზაფხულში მჭედლიძის გადაბირება „ვოლფსბურგს“ უნდოდა, ამჯერად კი მისით თურმე „ჰამბურგი“ და დორტმუნდის „ბორუსიაც“ ყოფილან დაინტერესებულნი. მეტიც, ფორვარდის აგენტს სატრანსფეროდ სწორედ გერმანიისკენ ჰქონია კურსი აღებული და ხსნებული ორი კლუბიდან მჭედლიძეს თითქოს ერთ-ერთში ვიხილავთ.

იტალიური ვებგვერდების მტკიცებით კი ლევანის გამოსყიდვის სანაცვლოდ „ემპოლიმ“ „პალერმოს“ 6 მილიონი ევრო მოსთხოვა. სიცილიელები ამ თანხის გადახდას არ აპირებენ. პოპულარულ გერმანულ საიტ „ტრანსფერმარკტზე“ მჭედლიძის ფასი 1 250 000 ევროა მითითებული. შეგახსენებთ, რომ მისით დაინტერესებულ კლუბებს შორის „ლივორნოს“, „ბოლონიასა“ და „ლაციოს“ (სადაც „პალერმოში“ მისი ყოფილი მწვრთნელი **დავიდე ბალარდინი** მუშაობს) მოიხსენიებენ.

ბუნებრივია, ლევანის ძმას ტრანსფერზეც ვკითხეთ: *„6 მილიონი ევრო ჩემი ძმის სანაცვლოდ? არა, ეს არასწორი ინფორმაციაა. ლევანი „ემპოლიდან“ „პალერმოში“ მიმდინარე სეზონის ბოლომდეა განათხოვრებული. ამ გუნდში ლევანს თამაში არ უწევდა და ამიტომაც უნდა კლუბის შეცვლა. დელიო როსიმ თქვა, რომ მჭედლიძე მის სამომავლო გეგმებში არააო? მეც ასე გავიგე, მაგრამ თუ ეს კლუბის საბოლოო პოზიციაა, მაშინ დააყენონ ტრანსფერზე და ყველაფერს ოფიციალური სახე მისცენ. რაც შეეხება სხვაგან გადასვლას, იტალიურის გარდა, გერმანულ, ინგლისურ და სხვა ქვეყნის გუნდებზეცაა ლაპარაკი, მაგრამ ჯერჯერობით ვერ დავაკონკრეტებ. ამ საკითხზე მიდის მუშაობა და ალბათ ერთ-ორ კვირაში ყველაფერი გაირკვევა“,* - ამბობს გიორგი მჭედლიძე.



ლევან მჭედლიძე

**დავით ცაბაძე**

ზესტაფონი

# ჯერ თბილისი, მერე თურქეთი და ესპანეთი

**გია გეგუჩაძის** „ზესტაფონი“ სეზონის მეორე ნახევრისთვის უკვე შეიკრიბა. კლუბის პრესსამსახურის ცნობით, იმერული გუნდი 3 იანვარს თბილისში შეიკრიბა, სადაც 6 იანვრის ჩათვლით დარჩება. საქართველოს დედაქალაქში ფეხბურთელები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან, მერე თეორიულ და ფიზიკურ მომზადებას შეუდგებიან, ხოლო 7 იანვარს შეკრებაზე ანთალიაში გაემგზავრებიან.

„ზესტაფონი“ თურქეთში 18 იანვრამდე დაყოფს. მზადების ეტაპზე ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე იქნება გაკეთებული. ანთალიაში ზესტაფონელები მხოლოდ ორ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებენ - დნეპროპეტროვსკის „დნიპროსა“ და დონეცკის „მეტალურგთან“.

შემდეგ გეგუჩაძის სამწყსო სამშობლოში დაბრუნდება, სადაც მხოლოდ რამდენიმე დღეს გაჩერდება და 22 იანვრიდან მორიგ შეკრებაზე უკვე ესპანეთს მიაშურებს. ქართველები იქ კურორტ მარბელიასთან ახლოს, ქალაქ ესტეპონაში დაბანაკდებიან. ესპანეთში „ზესტაფონი“ ამხანაგურ მატჩებს გამართავს რუმინეთის „სტიაუასთან“, შვეიცარიის „ბაზელთან“, ავსტრიის „რაპიდსა“ და ზაგრების (ხორვატია) „დინამოსთან“.

ზესტაფონელები საქართველოში 3 თებერვალს დაბრუნდებიან და სამიოდე დღეში სეზონს თბილისის „ლოკომოტივთან“ საშინაო მატჩით განაახლებენ.

**დავით ცაბაძე**

საახალწლო



# გურამ კაშია

# მე და მერებაშვილი ერთად მოვედით და ალბათ, ერთად წავალთ

**გურამ კაშიასთვის** ბოლო სამ წელიწადში ბევრი რამ შეიცვალა - თბილისის „დინამოს“ რეზერვისტი ჯერ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა, თვალსა და ხელს შუა გაიზარდა და პირველი ეტაპის მინურულს, ლიდერთა მასობრივი ტრავმიანობის გამო, მერებაშვილთან ერთად, კლუბის ლიდერობა იტვირთა. ბოლოს გურამი „დინამოს“ კაპიტანიც გახდა. მოკლედ, ჩვენი დღევანდელი სტუმარი ერთ-ერთი ყველაზე მზარდი ქართველი ფეხბურთელი გურამ კაშიაა...

## სადაც ვიყავი, ჩემს სიტყვას ვამბობდი

**- გურამ, ბოლო დროს საკუთარ თავზე ბევრის აღება გიხდება, შეტევებშიც აქტიურად ერთვები. ეს მწვრთნელის დავალებაა თუ შენი ინიციატივა?**

- „დინამოდან“ დილმელაშვილი და ნერგაძე წავიდნენ. მათთან ხმას ვერ ავიმაღლებდი. სეზონის მსვლელობისას კი კოშკაძე, მერებაშვილი, ხმალაძე დაგვიშავდნენ, ჰოდა, მწვრთნელმა მითხრა - გუნდის ლიდერი ხარ და შენს თავზე ბევრი რამ უნდა აიღოო. ხმალაძის არყოფნაში კაპიტნის სამკლავურიც მომცეს, რაც ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და ვალდებულება იყო. იმედები უნდა გამემართლებინა... ისე, ეს ყველაფერი ავტომატურადაც მოხდა, რადგან იმ მომენტისთვის გუნდში ყველაზე გამოცდილი მე გახლდით...

**- მწვრთნელის დავალებითა და ავტომატურად, როგორც თქვი, ლიდერი ვერ გახდები, თუ საამისო მონაცემები არ გაქვს...**

- გეთანხმებით, ლიდერი ან ხარ, ან არა. ეტყობა, მაგის ნიჭი მაქვს. სადაც ვიყავი, ბავშვობიდანვე ჩემს სიტყვას ვამბობდი.

**- კაპიტნებს სხვადასხვაგვარი ფუნქცია აკისრიათ. მაგალითად, საბჭოთა პერიოდში მათ კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდაც ევალებოდათ, ინგლისში კაპიტნები ფეხბურთელთა ინტერესებს იცავენ. რით განისაზღვრება საქართველოში კაპიტნის ფუნქცია?**

- ვერ გეტყვით, სხვა კლუბებში რა და როგორ არის, „დინამოში“ კი გუნდის საერთო აზრი უნდა იცოდე და კლუბის ხელმძღვანელობამდე ან მწვრთნელამდე უნდა მიიტანო.

**- ეროვნულ ნაკრებში ჩერნოგორიასთან სადებიუტო შეხვედრა ურიგოდ არ ჩაგიტარებია, მაგრამ ძირითადში აღარ გითამაშია. შენი აზრით, ნაკრებისთვის მზად ხარ?**

- ჩემი თამაშით თავად კმაყოფილი დავრჩი, თუმცა გუნდზე რა მოგახსენოთ... შემიძლია თუ არა ნაკრებში თამაში, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია - ის ჩემს შესაძლებლობებს უფრო ობიექტურად შეაფასებს. საკუთარ თავზე ვერ ავიღებ იმხელა პასუხისმგებლობას, რომ ვთქვა - ნაკრებისთვის უკვე მზად ვარ-მეთქი. თუმცა მჯერა, გამოძახების შემთხვევაში, თავს არ შევირცხვენ და გავაკეთებ იმას, რაც შემიძლია.

## ფარნა, დაბრუნდი ფეხბურთში!

**- რას ნიშნავს შენთვის თბილისის „დინამოს“ ლიდერობა?**

- ჩემი ბავშვობის მწვრთნელ ზორბეგ ებრალიძეს „დინამოსთვისაც“ უკაპიტნია. მასთან ვარჯიშის დროს მეგონა, რომ „დინამოში“ მოხვედრის პრეტენზია არ უნდა მქონოდა, არათუ კაპიტნობის. მაშინ არსებობდა „მერანი“ და ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმად სწორედ მსგავს გუნდში თამაში წარმომედგინა. ერთხელ „მერანმა“ „დინამოს“ 1:0 მოუგო და იმ პერიოდში ავჭალელთა გუნდში მოხვედრაზე სერიოზულად ვოცნებობდი. თუმცა... მეორე წრეში „დინამოსთან“ 0:6 წააგო... სხვათა შორის, „ნორჩ დინამოელში“ ებრალიძემ ბევრი კარგი ფეხბურთელი გაზარდა - ზურაბ არზიანი, რომელიც ახლა „ანჟიშია“, ვიტჯორჯიელი ჯაბა ლიპარტია, ჩვენი ნიკა ფირცხალავა, ზესტაფონელი უჩა ლობჟანიძე და კიდევ სხვები... არ მინდა, ვინმე გამომრჩეს. თუმცა იმ გუნდში ყველაზე გამორჩეული - პლეიმეიკერი ფარნა კუსრაშვილი გახლდათ. 17 წლისა ის რუსეთის პრემიერლიგელ „სატურნში“ მიიწვიეს, „ამერშიც“ იყო, მერე „ვიტ ჯორჯიაში“ ჩაირიცხა, მაგრამ რატომღაც ფეხბურთზე გული აიცრუა და თავი დაანება. თუ ხასიათზე იყო, მთელ გუნდს მოატყუებდა და გოლს გაიტანდა. ასეთი რამ არც მანამდე და არც შემდეგ არსად მინახავს! დღეს ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გამოჩნდა, მაგრამ არავინ მიწყინოს, თუ ვიტყვი - ფარნა სხვა დონის ვარსკვლავი უნდა გამხდარიყო. ახლა მხოლოდ 22 წლისაა და დარწმუნებული ვარ, თუ მოინდომებს, ნახევარ წელიწადში ფორმას აღიდგენს - ნიჭიერ ადამიანს ყველაფერი იოლად გამოსდის. ძალიან მინდა, კუსრაშვილი დიდ ფეხბურთს დაუბრუნდეს და საჯაროდ ვთხოვ - ფარნა, დაბრუნდი ფეხბურთში!

>> მე-3 გვერდზე

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საახალწლო

# მე და მერებაშვილი ერთად მოვედით და ალბათ, ერთად წავალთ

«« მეორე გვერდიდან

მე არ ვიცი, როგორ, მაგრამ ყველანაირად გვერდში დავუდგები. ასეთი ნიჭიერი ბიჭები დასაკარგად არ მემეტებიან. მრავალი მაგალითია, როცა ორ-სამწლიანი პაუზა გაუკეთებიათ და ფეხბურთი უთამაშიათ. მაგალითად, გოგუას, ოდიკაძეს, იგივე, საბჭოური პერიოდის „დინამოს" ვარსკვლავ გიორგი სიჭინავას. თუკი ფარნა კუსრაშვილი ფეხბურთისკენ მოვატრიალეთ, ამით ისევ ქართულ ფეხბურთს დავეხმარებით. ბავშვობაში სულ ვამბობდი - ნეტავ, მისი ნიჭი მომცა-მეთქი. მაგარი მუხლი ჰქონდა... დარტყმა, სისწრაფე, პასი... შეეძლო კაცის მოტყუება, სწრაფადაც აზროვნებდა და ვარსკვლავობა სხვა რაღა არის? მე ამის ნახევარი ნიჭი არ მქონდა.

**- აბა, რისი ნიჭი გქონდა?**

- „მეორე სართულზე" კარგად ვთამაშობდი. ფრთხილი და დაკვირვებული ვარ და დაცვაში ამიტომ მათამაშებდნენ.

**- გიორგი მერებაშვილთან ახლა როგორი ურთიერთობა გაქვს?**

- ბავშვობიდან ვმეგობრობთ. ბოლო შვიდი წელია, ყველგან ერთად ვხვდებოდით - „დინამოში", ახალგაზრდულში, მერე ეროვნულშიც... ახლაც, ალბათ, ერთად წავალთ. სხვათა შორის, იყო დრო, „დინამო 2-დან" ორივეს ერთად გვიშვებდნენ. გუნდის 20 ფეხბურთელიდან მხოლოდ მე და მერებაშვილს არ გვაძლევდნენ სტიპენდიას. ამ პერიოდზე გული ძალიან მწყდება, თუმცა ვინც ასე აგდებით მიყურებდა, კარგი სამსახური გამიწია - ამან ძალიან გამაბრაზა და ჯოტია ცაავასავით მომივიდა - გავბრაზდი და მეტი მოვინდომე. თუ გამაბრაზე, შენზე გავბრაზდები და არა - საქმეზე და ეს თვისება მეხმარება. გულაცრუება არ მახასიათებს, მირჩევნია, ჩემი საჭიროება საქმით დაგიმტკიცო.

## მე და შოთა ახლა ვჩხუბობთ ხოლმე

**- შენი დაწინაურება ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან კარგად ჩატარებული შეხვედრის შემდეგ დაიწყო - მაშინ ესპანელების ავტორიტეტმა გაგაბრაზა?**

- ძლიერი ფეხბურთელისადმი პატივისცემა მიჩნდება, თან გაორმაგებული ენერგიით ვეთამაშები.

**- ცნობილი ფეხბურთელის წინააღმდეგ თამაშისას მუხლები თუ აგკანკალებია?**

- მსგავსი სისულელე არასდროს დამმართნია.

**- ფაქტია, რომ ქართველ ფეხბურთელებს „კოლექტიური შიში" გიპყრობთ ხოლმე...**

- სამწუხაროდ, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს სანაკრებო დონის გამოცდილება არ გაგვაჩნია და ეს თავის გავლენას ახდენს.

**- შენი ძმა შოთაც „დინამოს" ერთ-ერთი ლიდერია. როდის თამაშობ უკეთ - როცა ის მარჯვენა მცველია, თუ როცა ნახევარდაცვაში აყენებენ?**

- ამას მნიშვნელობა არ აქვს. ისე, მე მიმაჩნია, რომ შოთა შეტევებში უფრო სასარგებლოა.

**- ბავშვობაში ხშირად ჩხუბობდით?**

- ერთ გუნდში არასდროს გვითამაშია, ეზოშიც კი. უბანი უბანს რომ ხვდებოდა, მხოლოდ მაშინ გვიწევდა ერთად ყოფნა, მაგრამ ერთმანეთს პასს არ ვაძლევდით.

**- რატომ?**

- ბავშვობიდან ერთმანეთს უფრო მეტს ვთხოვდით და პატარა შეცდომასაც არ ვპატიობდით. ვარჯიშისა თუ თამაშის დროს ახლაც ვჩხუბობთ ხოლმე.

**- ანუ შოთას მარჯვენა ნახევარმცველობა გირჩევნია...**

- (იცინის) კი, ვალიარებ. ძმას უფრო მეტს ვეუბნები, ერთმანეთს ვუყვირით, მაგრამ... მაგარი ძმა მყავს, ცხოვრებაში ჩემთვის ყველაზე ძლიერი დასაყრდენია. მისნაირი გული ბევრს არ ექნება...

**- ბავშობაში რომელი იყავით ჩხუბისთავი?**

- ორივე, ერთმანეთს ვეხმარებოდით...

## ჭადრაკი მაინტერესებს, მაგრამ მაგის ნერვები არ მაქვს

**- ბავშვობაში რა იყო შენთვის ახალი წელი - დასვენება, კარგი გართობა თუ?**

- სკოლაში რომ არ მივდიოდი, ყველაზე მეტად ის მიხაროდა. ეზოში ყველა ბავშვს თავისუფალი დრო ჰქონდა და ბევრს ვთამაშობდით. ჩვენთვის ეს დიდი სიხარული იყო. არც საჩუქარს ველოდი და არც კანფეტებს, ჩემთვის საჩუქარი იყო ბურთი და მაისურა. სხვა არაფერი მაინტერესებდა.

**- თოვლის ბაბუის როდემდე გჯეროდა?**

- 6 წლისა მივხვდი, რომ მატყუებდნენ და სინამდვილეში თოვლის ბაბუა მეზობელი იყო.

**- შენ უფრო მიმნდობი ხარ თუ შოთა?**

- ალბათ, შოთა. მე სანამ რამეს დავიჯერებ, ბევრს ვფიქრობ. შოთას ადამიანების უფრო სჯერა...

**- სკოლაში ცუდად სწავლობდი?**

- ფრიადოსანი არ ვყოფილვარ, მაგრამ 8 კლასი საკმაოდ კარგად დავამთავრე. საერთოდ, ნებისმიერი პროფესიის ადამიანს ზოგადი განათლება უნდა ჰქონდეს, მეტყველება რომ არ უჭირდეს და ელემენტარულად, საზოგადოებაში არ შერცხვეს. ფეხბურთის გარდა, სხვა რაღაც უნდა იცოდე და გაინტერესებდეს, თორემ, დაასრულებ კარიერას და დაიკარგები. ამიტომ, მაქვს პერიოდები, როცა წიგნებს გადაბმულად ვკითხულობ...

**- რომელი მწერალი მოგწონს?**

- ძალიან მომეწონა მარკესის „მარტოობის ასი წელი", დეტექტივებსაც სიამოვნებით ვკითხულობ.

**- ბანქო გიყვარს?**

- ძალიან, განსაკუთრებით პოკერი და ინტერნეტში ხშირად ვერთობი. ეტყობა, ნიჭიც მაქვს. ესეც ერთგვარი სპორტია, ძალიან აზარტულია. ჯოკერსაც საკმაოდ კარგად ვთამაშობ, ხმალაძესა და ვანაძესთან ერთად, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ვარ, ბოლო ადგილზე კი თომაშვილია.

**- ჭადრაკს თუ თამაშობ?**

- მაინტერესებს, მაგრამ მაგის ნერვები არ მაქვს. თავისუფალ დროს მირჩევნია, კალათბურთი ვითამაშო, ვიდრე ჭადრაკი, ანუ - მოძრაობა მირჩევნია. კალათბურთი ისედაც ძალიან მიყვარს.

**- როგორი მუსიკა გიზიდავს?**

- ბავშვობაში „თუფაქს" ვუსმენდი, რეპიც მომწონდა... თითქოს, სიმღერაში ჩემს თავს ვპოულობდი. მერე მაიკლ ჯექსონი მომწონდა, ქართველებიდან კი „მგზავრებს", „ფრანსა" და ნიაზ დიასამიძეს ვუსმენ.

**- BMW თუ „მერსედესი"?**

- BMW! თუმცა, რა დაგიმალოთ და, მანქანა არ მიყვარს. „ფოლკსვაგენ ჯეტა" მყავს, მაგრამ იშვიათად დავდივარ. ტარება მეზარება. მირჩევნია, ტაქსით ვიმოძრავო, ან სხვას გავყვე. სისწრაფეც არ მიყვარს. აზარტული მხოლოდ ფეხბურთში ვარ. BMW-ც კომფორტის გამო მიყვარს და არა - სისწრაფისთვის. ასაკში რომ შევალ, ალბათ, „მერსედესზე" „გადავალ". მანქანაში აუცილებლად უნდა ვუსმენდე მუსიკას, ამის გარეშე ვერ ვმოძრაობ. ყველგან ვუსმენ, ქუჩაში იქნება, მანქანაში თუ თამაშამდე - გასახდელში.

## საფეხბურთო მატჩსაც კი სპექტაკლივით დგამენ

**- ახალდაოჯახებული ხარ და მეუღლე როგორ შეეგუა შენს გაუთავებელ შეკრებებსა და მოგზაურობებს?**

- არ გასჭირვებია, რადგან ქორწილამდე წელიწადნახევრით ადრე ვამზადებდი ამისთვის (იცინის), ადაპტაცია გაიარა, შეეჩვია და არ წუწუნებს, პირიქით, გვერდში მიდგას. სხვათა შორის, ფეხბურთში იმდენად კარგად ერკვევა, შენიშვნებიც მოუცია. ისე, ობიექტურია და თან - „მილანის" მაგარი გულშემატკივარიც. მე კი „არსენალს" ვქომაგობ.

**- რა დაგიმალო და, „არსენალის" გულშემატკივარი პირველად ვნახე. რომელი სტილი მოგწონს - „ბარსელონასი" თუ... ვთქვათ, „ბაიერნის"?**

- „ბარსელონა" როგორ არ უნდა მომწონდეს, მაგრამ... მაინც „ბაიერნი"!

**- ეს როგორ?!**

- მიყვარს მკაცრი დისციპლინა და ბრძოლისუნარიანი გუნდები, თორემ „ბარსელონა" რაც არის, ყველამ იცის - ზოგჯერ ვფიქრობ, რომ საფეხბურთო მატჩსაც კი სპექტაკლივით დგამენ.

**- ღრუბლებიდან მიწაზე დავეშვათ. ქართული სტადიონების ტრიბუნები თითქმის ყოველთვის ცარიელია. ეს არ გიფუჭებთ განწყობას?**

- ასეთ გარემოში სათამაშოდ ხასიათზე მართლა ვერ მოხვალ. როცა სტადიონი ივსება, ტანში ჟრუანტელი გივლის და მზად ხარ, მაყურებლის სიამოვნებისთვის თავიც გადადო. „დინამოს" ერთგული ფანკლუბი ჰყავს, მაგრამ გაცილებით მრავალრიცხოვანის იმედი გვაქვს. სავსე სტადიონი ბევრად უკეთ აგვათამაშებს.

**- ახალი წელიც მოვიდა. რას უსურვებდი ქვეყანას, ქართულ ფეხბურთს, გულშემატკივრებს... „ლელოს"?**

- საკუთარ თავს ვუსურვებდი პროგრესის გაგრძელებას, ხალხს - ბედნიერ შობა-ახალ წელს და ვინატრებდი, რაც შეიძლება წარმატებული ფეხბურთი გვქონოდეს. მჯერა, დადგება დრო, როცა ქართული ფეხბურთით ძველებურად იამაყებენ... რაც შეეხება „ლელოს"... გაზეთს ყოველდღე ვყიდულობ და მისი გულშემატკივარიც გახლავართ. ასე ობიექტურად გააგრძელეთ ქართული ფეხბურთის თანადგომა...

**მერაბ მამულაშვილი**

---

FC G — გაგრა

„გაგრა" მეორე წრისთვის მომზადებას ჯერ კიდევ 24 დეკემბერს შეუდგა. კლუბის ვიცე-პრეზიდენტ **გოდერძი ჩიხრაძის** თქმით, მოთამაშეებმა სამედიცინო შემოწმება გაიარეს და ვარჯიშს შეუდგნენ.

„გაგრას" მთავარ მწვრთნელად სეზონის ბოლომდე **კახა კარანაძე** იმუშავებს. მას **ზაზა რუხაძე** დაეხმარება. მან ფეხბურთელები 30 დეკემბრამდე იპოდრომზე დატვირთა და აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გადაიტანა. ამაში კარანაძეს ფიზმომზადების სპეციალისტი **შალვა ნადირაძე** ეხმარებოდა. პარალელურად, გუნდი „ლაგუნა ვერეს" ფიტნესკლუბში ტრენაჟორებზე ვარჯიშობდა. გუნდი ვარჯიშს დღეს, 4 იანვარს განაახლებს და აქცენტი კვლავ ფიზმომზადებაზე გაკეთდება.

„გაგრა" დატოვეს ძმებმა - **ვალტერ და პავლე ხორგუაშვილებმა**, მცველებმა - **აკაკი კუპრეიშვილმა** და **თემურ რაქვიაშვილმა**, აგრეთვე, ნახევარმცველმა **გურამ გოგიჩაიშვილმა**. ჩიხრაძის თქმით, ნამატი ჯერჯერობით თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი **ნიკა ჯიშკარიანია**.

# უფრო მიდიან, ვიდრე მოდიან...

## გაგრამ სასპარინგო მეტოქეები გაარკვია

უკვე გადაწყვეტილია, რომ კლუბი 16 იანვარს ანთალიაში გაემგზავრება, სადაც ოთხ საკონტროლო მატჩს გამართავს და თბილისში 30 იანვარს დაბრუნდება. კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, უკვე დადგინდა სპარინგპარტნიორთა ვინაობაც:

13 იანვარი. **ოლიმპი-გაგრა** (რუსთავი, ფოლადი, 12:00); 20 იანვარი. **გაგრა-გაბალა აზერ.** (ანთალია); 23 იანვარი. **გაგრა-ობოლონი უკრ.** (ანთალია); 26 იანვარი. **გაგრა-ტობოლი ყაზ.** (ანთალია); 29 იანვარი. **გაგრა-მარიუპოლი უკრ.** (ანთალია).

**მერაბ მამულაშვილი**

---

თბილისის ფეხბურთის ფედერაცია

# ჯილდოები გამორჩეულთ

## თბილისის ფედერაციამ 2009 შეაჯამა

31 დეკემბერს კინოთეატრ „საქართველოში" თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ 2009 წელი შეაჯამა და გამორჩეულები დააჯილდოვა. საზეიმო საღამოს თფფ-ის ხელმძღვანელები - პრეზიდენტი **გრიგოლ ცაავა**, გენერალური მდივანი **ნიკოლოზ დოლიძე** და ვიცე-პრეზიდენტი **რევაზ მგელაძე** უძღვებოდნენ.

თავდაპირველად, ორგანიზატორებმა თფფ-ის ტექნიკური სპონსორის, გერმანულ კომპანია „ზალერის" მიერ დამზადებული სპორტული ქურთუკები დედაქალაქის მოწინავე საფეხბურთო სკოლების მესვეურთ გადასცეს. მერე კი თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ მატჩებზე მომსახურე სამი მსაჯი - **გიორგი ყრუაშვილი, ბაკურ ნინუა** და **გიორგი ელიკაშვილი** გამოარჩიეს. შემდეგ კი საუკეთესოები დაასახელეს და დააჯილდოვეს ცნობილმა პერსონებმა - **რევაზ არველაძემ, მერაბ ჟორდანიამ** და **მურად ანჯაფარიძემ**. დედაქალაქის საფეხბურთო სკოლებში მომუშავე მწვრთნელთაგან 5 საუკეთესო გამოვლინდა:

1. **გიორგი დევდარიანი** (ოლიმპი) - 18 ქულა
2. **შოთა ჭეიშვილი** (ოლიმპი) - 17 ქულა
3. **თენგიზ სულაქველიძე-უმცროსი** (თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემია) - 13 ქულა
4. **ვასილ მაისურაძე** (დინამოს აკადემია) - 9 ქულა
5. **გოჩა ავსაჯანიშვილი** (35-ე სკოლა) - 9 ქულა.

გამოკითხვაში გამარჯვებულ **გიორგი დევდარიანს** თფფ-ის მიერ დაწესებული 1 500 ლარი გადაეცა. დევდარიანმა ჯილდოსთვის მადლობა გადაიხადა და განაცხადა, რომ თანხას მიუსაფარ ბავშვთა რომელიმე სახლს გადაურიცხავს.

2009 წლის საუკეთესო გუნდის გამოსავლენად ანკეტაში 29 კანდიდატი იყო დასახელებული. საუკეთესო ხუთეული ასე დალაგდა:

1. **თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემია 1994** (მწვ. თენგიზ სულაქველიძე-უმცროსი) - 17 ქულა
2. **დინამოს აკადემია 1993** (მწვ. ვასილ მაისურაძე) - 15 ქულა
3. **ოლიმპი 1997** (მწვ. ნოდარ ჭელიძე) - 14 ქულა
4. **ნორჩი დინამოელი 1995** (მწვ. რევაზ ბარამიძე) - 9 ქულა
5. **საბურთალო 1993** (მწვ. თემურ ფოცხვერია) - 6 ქულა

ამ ნომინაციაში გამარჯვებულ თენგის სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიის გუნდს „ზალერის" წარმოების ერთი კომპლექტი სათამაშო ფორმა გადაეცა.

ამას გარდა გამოვლინდა 2009 წლის საუკეთესო საფეხბურთო სკოლაც. გამოკითხვაში სულ 12 ნომინანტი იყო წარდგენილი. რჩეულთა ხუთეული ასე დალაგდა:

1. **ოლიმპი** (ხელმძღვანელი მამუკა გუგეშაშვილი) - 30 ქულა
2. **თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემია** (ხელმძღვანელი თენგიზ სულაქველიძე-უმცროსი) - 21 ქულა
3. **35-ე საფეხბურთო სკოლა** (ხელმძღვანელი არჩილ არველაძე) - 19 ქულა
4. **საბურთალო** (ხელმძღვანელი კახა ამირიძე) - 18 ქულა
5. **დინამოს აკადემია** (ხელმძღვანელი თენგიზ უგრეხელიძე) - 12 ქულა.

2009 წლის საუკეთესო საფეხბურთო სკოლად დასახელებულ „ოლიმპს" თფფ-მ საჩუქრად 3 000 ლარი გადასცეს.

*„2009 წელი შევაჯამეთ და გამარჯვებულები გამოვავლინეთ. ვფიქრობ, კარგი საღამო იყო და ყველა კმაყოფილი დარჩა. გამოკითხვაში გამარჯვებულებსა და საერთოდ - ყველა საფეხბურთო სკოლას, გუნდს, მოთამაშეებსა და მწვრთნელებს ახალ წელს ვულოცავთ და წარმატებებს ვუსურვებთ. გვინდა, დედაქალაქისა და მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის 2010 წელი უფრო უკეთესი იყოს და იმედია ასეც იქნება"*, - აღნიშნა თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **გრიგოლ ცაავამ**.

**დავით ცაბაძე**

---

ლეგიონი

# დვალიშვილი დუბლით ხსნის

## ხიზანიშვილი ბლექბერნს დაუბრუნდა




„ლელოს" მიერ გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულმა **ლადო დვალიშვილმა** 2010 წელიც დიდებულად დაიწყო - ისრაელის ჩემპიონატის მე-16 ტურში ქართველმა ფორვარდმა დუბლი შეასრულა. შაბათს ჩვენებურის „მაქაბი" აკოს „ჰაპოელს" ეწვია და 3:0 მოუგო. ჩემპიონთა რიგებში დვალიშვილმა თავი 43-ე და 44-ე წუთებზე გამოიჩინა. ლადომ **კატანის** მიერ 34-ე წუთზე გატანილ გოლშიც მიიღო მონაწილეობა. 43-ე წუთზე კი მან **რაფაელოვის** მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულს თავი დაუხვედრა და მასპინძელთა კარის ცხრიანში გაიტანა, ჰაიფელთა გულშემატკივრებს ჯერ გატანილი გოლის ზეიმი არ ჰქონდათ დასრულებული, რომ დვალიშვილმა მეტოქე მცველ **იციკ კოეჰენს** ბურთი „მოჰპარა" და არც მეკარეს დაუტოვა შანსი. ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა. მეორე ტაიმის დასაწყისში ლადოს ჰეთ-თრიკის შესრულებაც შეეძლო, მან მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი, მაგრამ მცველმა **გევა ბერკაიმ** კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი. ისრაელის ლიგაში მის ანგარიშზე 16 მატჩში 9 გატანილი გოლია, ეს ლადოს მეორე დუბლია. „მაქაბი" 45 ქულით პირველ ადგილზეა (15 მოგება და 1 მარცხი). ქართველი ფორვარდი ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილზეა. **ზურაბ მენთეშაშვილის** „ჰაპოელი" დღეს თამაშობს, თელავიველები იერუსალიმის „ბეითარს" მასპინძლობენ. „ჰაპოელი" 34 ქულით მე-2 ადგილზეა.

კვიპროსის ჩემპიონატში **კლიმენტი ნიტაიშვილის** „ნეა სალამინა" შინ 1:2 დამარცხდა აპეპ-თან. კლიმენტიმ **რუი ლიმას** მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდების შემდეგ გახსნა ანგარიში, მაგრამ მისმა გუნდმა ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. ეს 30 წლის ფორვარდის მე-3 გოლია მიმდინარე სეზონში. **ლევან მაღრაძე** ყოფილ გუნდ „აპოლონთან" დამარცხდა, მისმა ახლანდელმა გუნდმა, „ერმისმა" 1:2 წააგო, ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა. **ლევან ქებაძის** „ეთნიკოსი" ლიმასოლის აელ-ს სტუმრად 2:2 დაუზავდა. ვეტერანმა ქართველმა ფორვარდმა შეუცვლელად ითამაშა. „ერმისი" 16 ქულით მე-9 ადგილზეა, ხოლო „ნეა სალამინა" 5 ქულით უიმედო აუტსაიდერია.

**ზურაბ ხიზანიშვილმა** „ბლექბერნში" ბოლოს 25 აგვისტოს, ლიგის თასზე ითამაშა. ამის შემდეგ ქართველი მცველი „ნიუკასლში" გაანათხოვრეს, სადაც დეკემბრის ბოლოს იჯარის ვადა დაუსრულდა. და აი, 2 იანვარს ზურაბმა კვლავ ითამაშა „ბლექბერნში", ამჯერად - ასოციაციის თასზე (მე-3 ეტაპი). „ვარდები" სტუმრად „ასტონ ვილასთან" დამარცხდნენ (1:3) და გათამაშებას გამოეთიშნენ. ხიზანიშვილმა 53-ე წუთზე **დევიდ დანი** შეცვალა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეგიონერები

## დღის ფოტოფაქტი




გუშინ ჰერტამ ახალწვეულები წარადგინა. ლევან კობიაშვილს 21-ნომრიანი მაისურა ერგო.

# თარგამაძემ დარბაზში გაიტანა



უტევს დავით თარგამაძე

**დავით თარგამაძეს** არაერთხელ გამოუთქვამს „ფრაიბურგის“ დატოვებისა და სხვა კლუბში იჯარით თამაშის სურვილი. შესაძლოა, ასეც მოხდეს, მაგრამ ჯერჯერობით, ახალგაზრდა ქართველი ნახევარმცველი „ფრაიბურგის“ განკარგულებაშია და ბუნდესლიგის მეორე წრისთვის მასთან ერთად ემზადება.

სავარაუდოდ, 9 იანვარს „ფრაიბურგი“ შეკრებაზე ესპანეთის კურორტ კამპოამორში თარგამაძესთან ერთად გაემგზავრება, მანამდე კი **რობინ დუტის** გუნდმა დარბაზის ფეხბურთში გამართულ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ცნობისათვის, მსგავსი ტურნირები გერმანიაში ტრადიციულია და იქ მხოლოდ „დიდი ფეხბურთის“ გუნდები ასპარეზობენ ხელოვნურ საფარზე, შემცირებული შემადგენლობით.

„ფრაიბურგმა“ მანჰაიმში ჩატარებულ ტურნირზე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აქ თარგამაძე თავისი გუნდის ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა და ტურნირზე ორი გოლი გაიტანა. მან „მანჰაიმისა“ და „დუისბურგის“ კარი დალაშქრა. ცნობისათვის, „მანჰაიმი“ „ფრაიბურგმა“ 3:0 გაანადგურა, „დუისბურგთან“ კი 3:5 დამარცხდა. სხვათა შორის, პირველ-მეორე ადგილი სწორედ ამ გუნდებმა დაიკავეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ბაქო ადამიას დაემშვიდობა



გიორგი ადამია

აზერბაიჯანული წყაროების ინფორმაციით, „ბაქოს“ თურქმა მწვრთნელმა **ბიულენთ ქორქმაზმა გიორგი ადამია** იმ ფეხბურთელთა სიაში არ შეიყვანა, რომლებიც ანთალიაში შეკრებაზე გაემგზავრებიან.

აქედან გამომდინარე, ბაქოური კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ქართველ ფეხბურთელს არ გაუხანგრძლივოს კონტრაქტი, რომელიც 2009 წლის დეკემბერში ამოეწურა. ადამიას ნება დართეს, თავისუფალი აგენტის სტატუსით ნებისმიერ კლუბთან აწარმოოს მოლაპარაკება.

ადამიას „ბაქოში“ სულ 28 მატჩი აქვს ჩატარებული და 2 გოლი გაიტანა. მიმდინარე სეზონში კი მან აზერბაიჯანში 16 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და მეტოქეთა კარი ერთხელაც ვერ დალაშქრა.

ამის მიუხედავად, ადამიასთან კონტრაქტის გაწყვეტა მაინც მოულოდნელობად უნდა მივიჩნიოთ, რადგან იგი „ბაქოს“ ერთ-ერთი ლიდერი იყო და თავდაპირველი ინფორმაციით, მისი ღირსება თანამეგობრობის თასზეც უნდა დაეცვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მეტოქე

# თბილისამდე ანგოლა

მოგეხსენებათ, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე **თემურ ქეცბაიას** დებიუტი 3 მარტს, ესტონეთთან თბილისურ ამხანაგურ შეხვედრაში შედგება. ვიდრე ახალი მწვრთნელის რჩეულთა სავარაუდო სიაც ჯერ უცნობია, ჩვენი მეტოქე ახალი წლის წინ ამხანაგურ მატჩს მართავს - **ტარმო რუუტლის** გუნდი პორტუგალიაში, „ვილა რეალ დე სანტ ანტონიოზე“, ანგოლის ნაკრებს გაეჯიბრა და მინიმალური ანგარიშით, 1:0 დაამარცხა. აფრიკელთა კარში ეს ერთადერთი ბურთი დანიური „სილკებორგის“ თავდამსხმელმა **კაიმარ სააგმა** მატჩის 79-ე წუთზე გაიტანა. ალსანიშნავია, რომ სააგი მეორე ტაიმის დასაწყისიდან ჩაერთო თამაშში.

მოდი, ვნახოთ, თუ რას წარმოადგენს ჩვენი მეტოქე და რომელი კლუბის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. რუუტლიმ ანგოლის წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობა ათამაშა:

**მიკელ აკსალუ** (ფლორა), **ტიონ შიშოვი** (ლევადია), **იგორ მოროზოვი** (ლევადია), **ტაიო ტენისტე** (ლევადია)/51. **გერტ კამსი** (ფლორა)/, **ტარმო კინკი** (დიორ ეტო, უნგრეთი)/64. **კრისტენ ვიკმაი** (იონკოპინგი სოდრა, შვედეთი)/, **ეინო პური** (ლევადია)/46. **ჟოელ ლინდპერე** (ტრომსიო, ნორვეგია)/, **კონსტანტინ ვასილიევი** (ნაფტა ლენდავა, სლოვენია), **ანდრეი სიდორენკოვი** (სონდერიკი, დანია), **ატს პური** (ტურკუ, ფინეთი), **ვლადიმირ ვოსკობოინიკოვი** (ლუჩი, რუსეთი)/46. **კაიმარ სააგი** (სილკებორგი, დანია).

როგორც გაცხადდა, ტარმო რუუტლიმ ანგოლასთან კლასიკური 4-4-2 სისტემით დაიწყო თამაში. თუმცა მატჩის მსვლელობისას 4-5-1 და 4-3-3 სქემებიც მოსინჯა. ანგოლასთან მოგების შემდეგ ესტონელთა გუნდის თავკაცი კმაყოფილი იყო.

*„ჩინებულია, რომ წელიწადი მოგებით დავასრულეთ. ანგოლასთან გამარჯვებამ ჩვენი გუნდის ფეხბურთელებს საკუთარი ძალების რწმენა შესძინა. თუმცა ამ გამარჯვებამ ეიფორიაში არ უნდა ჩაგვაგდოს. 2010 წელს უფრო წარმატებით უნდა ვიასპარეზოთ, მით უმეტეს, სწორედ გაისად ჩავებმებით ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში და გაცილებით მეტი მოგვეთხოვება, გასულ შესარჩევში ვიასპარეზეთ“*, - განაცხადა ტარმო რუუთლიმ.

შეგახსენებთ, რომ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ესტონეთს ჯგუფში მეტოქეებად ესპანეთი, ბოსნია, თურქეთი, ბელგია და სომხეთი ჰყავდა. ჩვენმა მომავალმა მეტოქემ 2 მატჩი მოიგო (სომხეთთან და ბელგიასთან), ჯამში 8 ქულა დააგროვა და ბოლოდან მეორე, მე-5 ადგილზე გავიდა. 2009 წლის დეკემბრის ფიფას რეიტინგში ესტონეთი საქართველოზე 22 საფეხურით წინ, 102-ე ადგილზე იყო...

**დავით ცაბაძე**

ვიტ ჯორჯია

# გელა გომელაური
# საქართველოში უკეთ მოვემზადებით



გელა გომელაური

**„ვიტ ჯორჯიას“ წევრებმა სამედიცინო შემოწმება გასული წლის ბოლოს გაიარეს, სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას კი გუნდი გუშინ შეუდგა. უკვე გაცნობეთ, რომ საქართველოს მოქმედი ჩემპიონები საზღვარგარეთულ შეკრებაზე არ გაემგზავრებიან. „ვიტ ჯორჯიას“ მთავარ მწვრთნელს, გელა გომელაურს გუნდის უახლოესი გეგმების შესახებ გავესაუბრეთ.**

- პირველ რიგში, შობა-ახალ წელს ვულოცავ მთელ საქართველოს, განსაკუთრებით კი გაზეთ „ლელოს“, რომელიც ქართული ფეხბურთის სამსახურში ერთგულად დგას. ჩვენი გუნდი გუშინ შეიკრიბა. მანამდე სამედიცინო შემოწმება გვქონდა და საბედნიეროდ, ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა. შესაბამისად, სრული შემადგენლობით ვვარჯიშობთ და სეზონის განახლებას დიდი იმედებით ველით.

**- საკადრო ცვლილებების შესახებ რისი თქმა შეგიძლიათ?**

- ჯერჯერობით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ გუნდი დატოვა მცველმა ამირან ყველაშვილმა, რომელიც კარიერას ზუგდიდის „ბაიაში“ გააგრძელებს. „ვიტ ჯორჯიაში“ გადმოვიდა მეკარეების მწვრთნელი ლევან აბაშიძე, რომელიც წლების განმავლობაში თბილისის „ამერში“ მუშაობდა და დიდი გამოცდილება დაუგროვდა. დანარჩენი საკადრო სიახლეები კი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ ზამთარს „ვიტ ჯორჯიადან“ სხვა აღარავინ წავიდეს.

**- ახალი ფეხბურთელების მოწვევას აპირებთ?**

- საკმაოდ ძლიერი კონტინგენტი გვყავს და თუ რომელიმე წამყვანი ფეხბურთელი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში არ წავიდა, შეგვიძლია, სეზონი ამჟამინდელი შემადგენლობით ჩავამთავროთ. თუმცა თუ შესაძლებლობა მოგვეცა, ერთიორი ძლიერი ფეხბურთელის დამატებაზე უარს ნამდვილად არ ვიტყვით. ოღონდ ერთი პირობით - ეს მოთამაშეები თავისუფალი აგენტები უნდა იყვნენ. მოკლედ, სეზონის განახლებას ან უცვლელი შემადგენლობით, ანაც მინიმალური ცვლილებებით შევხვდებით.

**- საკონტროლო მატჩები უკვე დაგეგმეთ?**

- ცხინვალის „სპარტაკთან“ უკვე მივაღწიეთ შეთანხმებას. ამის გარდა, ამხანაგური შეხვედრები დაგეგმილი გვაქვს ბოლნისის „სიონთან“ და ზაქათალის „სიმურგთან“. რა თქმა უნდა, სპარინგპარტნიორების რიცხვი კიდევ გაიზრდება. პირველი სამი ამხანაგური მატჩის თარიღი დადგენილია - 13, 17 და 21 იანვარი.

**- შეკრებაზე სად გაემგზავრებით?**

- 20 იანვრამდე თბილისში ვივარჯიშებთ, შემდეგ კი ურეკში გავემგზავრებით, სადაც სეზონის განახლებამდე დავრჩებით.

**- უცხოურ შეკრებაზე რატომ თქვით უარი?**

- კლუბის ხელმძღვანელობისა და მწვრთნელების აზრები ერთმანეთს დაემთხვა - სეზონის მეორე ნახევრისთვის საქართველოში უკეთ მოვემზადებით. საკმაოდ შრომატევადი სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი, რასაც ადგილზე უფრო სრულყოფილად გავართმევთ თავს. თურქულ შეკრებაზე გამგზავრება გადაწყვეტილი გვქონდა, პოტენციურ მეტოქეებთანაც ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს, მაგრამ საბოლოოდ, გადავწყვიტეთ, რომ საქართველოში უფრო სრულფასოვნად მოვემზადებოდით.

**- მიზნების შესახებ კიდევ ერთხელ გკითხავთ...**

- ჩვენი მიზანი უცვლელია - საქართველოს ჩემპიონობის შენარჩუნება და თასის მოპოვება. ბუნებრივია, ამ ორი ამოცანიდან უფრო რეალური თასის გათამაშებაზე გამარჯვებაა, მაგრამ არც ჩემპიონობის იმედი დაგვიკარგავს.

**- გუნდის სათამაშო სქემასა და სტილში დიდი ცვლილებების შეტანას აპირებთ?**

- ყველა მწვრთნელს თავისი სტილი აქვს და მეც შევეცდები, ჩემი იდეები სრულყოფილად განვახორციელო. „ვიტ ჯორჯია“ აქამდეც სოლიდური გუნდი იყო და ყველაფერს ვილონებ იმისთვის, რომ პროგრესირება განაგრძოს. მთავარია, გუნდის თამაშში თანამედროვე ფეხბურთის ელემენტები დავინახოთ, რაც ჩვენი ჩემპიონატის დონის ამაღლებასაც შეუწყობს ხელს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სამტრედია

# მზადება ურეკში

როგორც შევიტყვეთ, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები „სამტრედიაშიც“ მოსალოდნელია. ამ თემაზე კომენტარი იმერული კლუბის ერთ-ერთ მთავარ მწვრთნელ **ლევან ანჯაფარიძეს** ვთხოვეთ.

*„ჯერჯერობით ბევრი სიახლე არ გვაქვს, მაგრამ ბუნებრივია, შემადგენლობაში ცვლილებები ჩვენც გვექნება. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ გუნდი დატოვა მცველმა გიორგი კვესიეშვილმა, რომელიც კარიერას ზუგდიდის „ბაიაში“ გააგრძელებს. ალბათ, „სამტრედიადან“ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი წავა, მათ ნაცვლად კი ახალ მოთამაშეებს დავიმატებთ. ყველაფერი მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც შეკრებაზე გადავალთ. შეკრება 15 იანვრამდე დაიწყება და სეზონის მეორე ნახევრისთვის ურეკში მოვემზადებით“*, - გვითხრა ანჯაფარიძემ.

ანჯაფარიძემ ისიც გვითხრა, რომ კლუბს ფინანსური პრობლემები არ აწუხებს და ამიტომაც რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელის დამატება პრობლემა არ იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U 17

# დღეიდან გაგრძელდება...

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრებს ხანმოკლე საახალწლო არდადეგები უსრულდებათ. მიმდინარე წლის პირველ ვარჯიშებს **გიორგი დევდარიანის** გუნდი დღეს და ხვალ მართავს. ამას კიდევ რამდენიმედღიანი შესვენება მოსდევს და 10 იანვრიდან ინტენსიური წვრთნა დაიწყება, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდამდე ფაქტობრივად, უწყვეტად გაგრძელდება.

დღეისთვის ის ბირთვიც ცნობილი გახდება, საიდანაც ნაკრების მთავარი მწვრთნელი იმ 18 ფეხბურთელს შეარჩევს, რომლებიც საქართველოს ღირსებას ელიტრაუნდში დაიცავენ. როგორც იცით, ზუგდიდური შეკრების შემდეგ ნაკრების კანდიდატთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სპარტაკი

ინტერვიუ ვლადიმერ ხაჩიძესთან

# განსხვავებული კურსი

ამ ჩემპიონატის პირველ ეტაპსა და მთლიანად, გასულ სეზონს თუ შევადარებთ, გუნდებს შორის ყველაზე სერიოზულ პროგრესს ცხინვალის „სპარტაკმა“ მიაღწია. შეგახსენებთ, რომ წინა სეზონის შედეგების მიხედვით, „სპარტაკი“ სულაც უმაღლესი ლიგიდან გავარდა; თუმცა კლუბს იმან უშველა, რომ სხვა გუნდები ვერ აკმაყოფილებდნენ ლიცენზირების აუცილებელ პირობებს და აქედან გამომდინარე, პირველი ლიგის ნაცვლად, ახალი სეზონი „სპარტაკმა“ უძლიერესთა ჯგუფში დაიწყო. ოღონდ, უკვე სეზონის წინ იყო ცნობილი, რომ გუნდს აშკარად განსხვავებული მიზნები ექნებოდა; ყოველივე ამას კი ერთდროულად რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: კლუბშიც და გუნდშიც სერიოზული საკადრო ცვლილებები მო[illegible]ა და ახალი მწვრთნელ-ფეხბურთელებით გაძლიერებული „სპარტაკი“ უკვე თავიდანვე ბევრ სიურპრიზს გვპირდებოდა...

პირველ ეტაპზე „სპარტაკის“ ასპარეზობა ამას წინათ უკვე შევაფასეთ; ახლა კი, ალბათ, სჯობს, გუნდის მთ[illegible]რ მწვრთნელს, ვლადიმერ ხაჩიძეს მოვუსმინოთ, ვისი ხელმძღვანელობითაც „სპარტაკმა“ უმაღლესი ლიგის გუნდებიდან ერთ-ერთმა ყველაზე ადრე დაიწყო მეორე ეტაპისათვის მზადება.

– 26 დეკემბრიდან უკვე მზადება დავიწყეთ; ფაქტობრივად, ყველა ფეხბურთელი ვარჯიშობდა ჩივაძისა და ცხადაძის გარდა, რომლებთაც მცირე ტრავმები ჰქონდათ. სამი იანვრიდან კი უკვე სრულად შევიკრიბეთ და დღეში ორჯერადი ვარჯიშები გვექნება.

**– ადრე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოსდა, მოსამზადებელი ეტაპის მეორე პერიოდს უცხოეთში, კერძოდ თურქეთში გაატარებდით.**

– სამწუხაროდ, ჩვენს კლუბს ამის ფინანსური საშუალება არ გააჩნია და ვიდრე მეორე ეტაპი დაიწყება, მზადებას ადგილზე, კერძოდ, თბილისში, „ავაზას“ სტადიონზე გავაგრძელებთ.

**– სეზონის დაწყებამდე, ალბათ, საკონტროლო მატჩებსაც ჩაატარებთ.**

– ფაქტობრივად, გარკვეულია, რომ „ოლიმპს“, „ვიტ ჯორჯიასა“ და საქართველოში შეკრებაზე ჩამოსულ აზერბაიჯანის „სიმურგს“ უნდა გავეჯიბროთ; თარიღებიც შეთანხმებული გვაქვს: 19, 21 და 25 ნოემბერი. თუმცა, ამას გარდა, დიდი ალბათობაა, მანამდე და მერეც რამდენიმე სპარინგ-მატჩი ჩავატაროთ.

**– მოსამზადებელ პერიოდში ყველაზე საინტერესო, რაღა თქმა უნდა, ნებისმიერ გუნდში მომხდარი ცვლილებებია.**

– მეორე ეტაპზე „სპარტაკი“ პირველისგან განსხვავებული შემადგენლობით იასპარეზებს; ფეხბურთელების ერთ ნაწილს კლუბთან მოქმედი კონტრაქტი დაუმთავრდა, მეორე ნაწილი ტრანსფერზე დავაყენეთ, ზოგმა – თვითონ მოისურვა წასვლა და ასე შემდეგ...

**– შეგიძლიათ, გუნდიდან წასული ფეხბურთელების გვარები დაგვიკონკრეტოთ?**

– გივი დიდავა, რევაზ გოცირიძე, პაატა დათუნაიშვილი, აქვსენტი გილაური, გიორგი კვახაძე, ბექა შეყრილაძე, ამირან გვენცაძე, ლაშა დეკანოსიძე, – ყველა ეს ფეხბურთელი სხვადასხვა მიზეზის გამო მეორე ეტაპიდან ჩვენს გუნდში აღარ იქნებიან.

**– სერიოზული დანაკლისია და სანაცვლოდ, ვის დამატებას აპირებთ?**

– საჯაროდ მინდა კლუბის პოზიცია გავახმოვანო: „სპარტაკი“ ამიერიდან კურსს გუნდის გაახალგაზრდავებაზე დაიწყებს. ახლაც და მომდევნო დღეებშიც რამდენიმე პერსპექტიულ ფეხბურთელს დავაკვირდებით, ძირითადად 17-18 წლის ბიჭებს. აი, ამჟამადაც, გორიდან ორი ნიჭიერი ბიჭი ჩამოვიყვანეთ ერთიც – საჩხერიდან არის...

**– ნიჭიერი ფეხბურთელების გუნდში აყვანა, თავისთავად, კარგი ფაქტია; მაგრამ, ამასთან, გამოცდილ მოთამაშეთაგან არავის დამატებას აპირებთ?**



ვლადიმერ ხაჩიძე

– ჯერჯერობით, უფრო ზუსტად, ამ ეტაპზე გამოცდილი ახალწვეული არა გვყავს...

**– პირველ ეტაპზე „სპარტაკის“ შემადგენლობაში ორი კოტ'დივუარელი ახალგაზრდა თამაშობდა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, გუნდში კვლავ შესაძლებელია უცხოელი ფეხბურთელების გამოჩენა.**

– ამჟამად სინჯებზე გვყავს კამერუნელი მეკარე; ვნახოთ, როგორ მოგვაწონებს თავს და გადაწყვეტილებასაც ამის მერე მივიღებთ. ამას გარდა, დღედღეზე ველოდებით „ნანტის“ ყოფილი ფეხბურთელის ჩამოსვლას, თავის დროზე პორტუგალიის უმაღლეს ლიგაშიც რომ აქვს ნათამაშები.

**– ვიდრე მეორე ეტაპის და საერთოდ, სამომავლო გეგმებზე ვისაუბრებდეთ, პირველ ეტაპზე გვინდა „სპარტაკის“ ასპარეზობა შევაფასოთ. ჩვენი აზრით, ჩემპიონატში მეხუთე ადგილი და თასის ნახევარფინალში გასვლა ურიგო შედეგი ნამდვილად არ უნდა იყოს.**

– გეთანხმებით – ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის; თუმცა, მეორე მხრივ, შეიძლებოდა უკეთესად გვეასპარეზა და ასევე შეიძლებოდა, რომ უფრო – უარესადაც. სამწუხაროდ, სეზონის შუაგულში ჩავარდნას ვერ ავცდით; თუმცა, როგორც მწვრთნელი, მოვლენების ასეთი განვითარებისთვის „შემზადებულიც“ ვიყავი. მოგეხსენებათ, რომ ახალი სეზონისათვის მზადება ძალიან გვიან, ფაქტობრივად, ფორსმაჟორულ სიტუაციაში დავიწყეთ. თავიდან, მართლაც კარგად დავიწყეთ, მერე ის „მოსალოდნელი“ ჩავარდნა მოჰყვა, აი, ბოლოსკენ კი ისევ უკეთ ავთამაშდით. მეტსაც გეტყვით – ჩემპიონატში შესვენება რომ არ გამოცხადებულიყო, წარმატებულ სვლას კიდევ გავაგრძელებდით...

**– „სპარტაკი“ თასის ნახევარფინალშია გასული, იქიდან კი ფინალამდე ხომ ერთი ნაბიჯია დარჩენილი. თუმცა, ერთიანად გაახალგაზრდავებულ-გადახალისებული შემადგენლობით რამდენად რეალური იქნება ფინალის საგზურის მოპოვება?**

– რა თქმა უნდა, პირველი წრის ძირითადი ბირთვი რომ შეგვენარჩუნებინა, ცუდი ნამდვილად არ იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს, უმეტესობა გამოცდილი ფეხბურთელები იყვნენ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ წინასწარ წასაგებად განწირული ვიყოთ; პირიქით – არაფრის დათმობას არ ვაპირებთ და ყველა ღონეს ვიხმართ, ფინალის საგზური რომ მოვიპოვოთ.

**– ჩემპიონატში როგორღა იქნება საქმე? პირველ სამეულთან ჩამორჩენა სოლიდურია, გავარდნის საფრთხეც არ გემუქრებათ...**

– უმოტივაციოდ ნამდვილად არ ვიქნებით და ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ. რა თქმა უნდა, მედლებისათვის ბრძოლაში, ალბათ, ვერ ჩავერევით, მაგრამ ნებისმიერ მატჩში მხოლოდ მაქსიმალური შედეგის მისაღწევად ვიბრძოლებთ.

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**

## სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება/საკონტ. მატჩები |
|---|---|---|---|
| ოლიმპი<br>თემურ მახარაძე | ბაბუნაშვილი (?), ფოფხაძე (?), გ. თოდუა (?), აბრამიძე (?), ჟერონიმო, ჟონათასი, სალესი (სამივე ბრაზილიაში) | გ. კვარაცხელია (მტზ-რიპო, ბელარუსი), ხიდეშელი, თარხნიშვილი, ხუბუა, (სამივე სიონი), რ. ჯიქია (ბაია), ა. გილაური, პ. დათუნაიშვილი (ორივე სპარტაკი), ნიორაძე (35-ე სკოლა), გაბისკირია (მეორე მწვრთნელი, IBSU) | – |
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | – | – | 3-6 იანვარი - თბილისი<br>7-18 იანვარი - თურქეთი<br>22 იანვარი-4 თებერვალი - ესპანეთი |
| ვიტ ჯორჯია<br>გელა გომელაური | ყველაშვილი (ბაია), ლურწკაია (მეკარეების მწვრთნელი) | აბაშიძე (მეკარეების მწვრთნელი) | 3 იანვრიდან - თბილისში |
| დინამო<br>კახა კაჭარავა | სომხიშვილი (ბაია), ხმალაძე (?), კრშკო (?) | – | 3 იანვრიდან - თბილისში<br>18 იანვრიდან - თურქეთში |
| სპარტაკი<br>ვლადიმერ ხაჩიძე | რ. გოცირიძე (?), დიდავა (?), გ. კვახაძე (?), ლ. დეკანოსიძე (?), შეყრილაძე (?), გვენცაძე (?), კეტაშვილი(?), შ. ჯიშკარიანი (?), პ. დათუნაიშვილი ა. გილაური, (ორივე ოლიმპი) | – | 26 დეკემბერი - თბილისში |
| სამტრედია<br>მამუკა მესიაჩენკო<br>ლევან ანჯაფარიძე | კვესეიშვილი (ბაია), ლ.ვაშაკიძე, ბ. ხაჭიპერაძე, ზ. ხაჭიპერაძე, ჯიქიძე, კირთაძე, ჯინჭარაძე, კაკალაძე (?), ჯანგიძე (?) | კუპრეიშვილი (გაგრა), ჯოჯუა (კოლხეთი 1913), ჟვანია (ბაია) | 22 დეკემბრიდან - სამტრედიაში<br>15 იანვრიდან - ურეკში |
| სიონი<br>ხვიჩა ქასრაშვილი | ხუბუა, თარხნიშვილი, ხიდეშელი (სამივე ოლიმპი) | – | – |
| გაგრა<br>კახა კარანაძე | კუპრეიშვილი (სამტრედია), ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი, რაქვიაშვილი, გოგიჩაიშვილი | – | 24 დეკემბრიდან - ბილისში<br>16 იანვრიდან - ანთალიაში |
| ბაია<br>ელგუჯა ქომეთიანი | ბ. შეროზია (მთ. მწვრთნელი, კოლხეთი 1913), ძალამიძე (ცსკა, რუსეთი), რ. ჯიქია (ოლიმპი), ჟვანია (სამტრედია) | ს. ჭედია (მთ. მწვრთნელის კონსულტანტი), სომხიშვილი (დინამო), კვესეიშვილი (სამტრედია), ყველაშვილი (ვიტ ჯორჯია), სახოკია (?) | 5 იანვრიდან - ზუგდიდში |
| ლოკომოტივი<br>გელა სანაია | – | – | – |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი*

ზლატანი დიეგო გოდინთან ორთაბრძოლაში ვერაფერს გახდა



# გრანდები მძიმედ იწყებენ

„კამპ ნოუზე" „ბარსელონა" და „ვილიარეალი" ხურდებოდნენ, როცა კატალონიის ცენტრიდან 350 კილომეტრში, „მესტალიაზე" სერბმა **ნიკოლა ჟიგიჩმა** მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე „ვალენსიას" სამი ქულა მოუტანა. ეს იყო პრიმერა დივიზიონის პირველი გოლი 2010 წელს. ტურის მთავარი მოვლენა კი ჩემპიონის წაფორხილება იყო „ვილიარეალთან". კატალონიელთა ბედად ვერც „სამეფო კლუბმა" მოიგო, არადა „რეალს" პირველ ადგილზე გადასვლა შეეძლო.

ჟიგიჩმა ამ სეზონში ჯამში 90 წუთი ითამაშა (ეს წუთები ხუთ მატჩში განაწილდა), მაგრამ ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა მან პირადად მოუტანა სამი ქულა „ლოს ჩეს", აქამდე მან თავი სანტანდერში გამოიჩინა მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე. მოკლედ, „ვალენსიას" ჟიგიჩი 6 ქულით შეენია, გუნდი კი 32 ქულით მე-3 ადგილზე დამკვიდრდა, ორი გრანდის შემდეგ.

„ვალენსია" მთელი მატჩის განმავლობაში სჯობდა „ესპანიოლს", საგოლე მომენტებიც უამრავი ჰქონდა, მაგრამ 92-ე წუთამდე ცალკე **კარლოს კამენი**, ცალკე კატალონიური გუნდის დაცვის ხაზი ყოჩაღობდა, ერთხელ კი **მაურისიო პოჩეტინოს** გუნდი ძელმაც იხსნა. თუმცა მთლად ცალკარას მატჩს ვერ დავარქმევთ, სტუმრებს მეორე ტაიმში ორი საგოლე მომენტი ჰქონდათ. კარლოს კამენი აფრიკის ერთა თასზე წასვლის წინ ბოლო მატჩს თამაშობდა პრიმერაში, გოლკიპერმა არ გაახარა ჩემპიონატის ბომბარდირი **დავიდ ვილია**, ორი-სამჯერ მოიგერია მისი დარტყმული ბურთი (ერთხელ ბოლო მომენტში, ფეხით). თამაშის დასრულებას 15 წუთი უკლდა, როცა ვილიამ თავურით სცადა გატანა, ამჯერად კამენი ვერას გახდა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. აქ კი „მესტალიაზე" შეკრებილებმა ჩათვალეს, რომ მათი დღე არ იყო, მაგრამ შეცდნენ... **ხოაკინის** ჩაწოდებულს შეცვლაზე შესულმა ორმეტრიანმა ჟიგიჩმა თავი დაუხვედრა - 1:0.

*„მეორე ტაიმში ჩვენ ხუთი აშკარა საგოლე მომენტი გვქონდა. ასე რომ, მიმაჩნია, გამარჯვებას ჩვენ ვიმსახურებდით. პირველ ტაიმში გუნდმა ბურთის კონტროლი სათანადოდ ვერ შეძლო, თუმცა მეორეში ყველაფერი გამოსწორდა. ჟიგიჩი ძალიან მონადინებულია, ყოველთვის ფიქრობს როგორ გამოადგეს გუნდს"*, - განაცხადა **უნაი ემერიმ**. ჩვენ კი ჟიგიჩთან ერთად ხოაკინის დიდებულ თამაშს ალვნიშნავთ.

სეზონში პირველად „ბარსამ" ვერ მოიგო „კამპ ნოუზე". ჩემპიონი კვლავაც დაუმარცხებელია, მაგრამ ახლა უკვე 4 ფრე აქვს. თამაშის წინ მოედანზე საზეიმოდ გამოიტანეს ის ექვსი ტიტული, რომელიც „ბლაუგრანამ" შარშან მოიგო, **ლეო მესიმ** კი (რომელსაც მწვრთნელი ასვენებდა) თავისი ინდივიდუალური პრიზები აჩვენა პუბლიკას. სასტარტო შემადგენლობაში პირველად მოხვდა 19 წლის მექსიკელი **ჯონათან დოს სანტოსი**. სხვათა შორის, დოს სანტოსი „ბარსას" ყოფილი ფორვარდის (ამჟამად ტოტენჰემელი) **ჯოვანის** უმცროსი ძმაა. „ვილიარეალთან" მატჩიც მასპინძელთათვის შესანიშნავად დაიწყო - მე-7 წუთზე **ტიერი ანრის** ყუმბარისებური დარტყმა ხარიხამ აისხლიტა, ბურთს პირველმა **პედრომ** მიუსწრო. „ვილიარეალის" ფეხბურთელები გოლს აპროტესტებდნენ, რადგან მათი აზრით პედრო თამაშგარე მდგომარეობაში იყო, მაგრამ უშედეგოდ - 1:0. მე-20 წუთზე **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** „ბარსას" უპირატესობის გამყარება შეეძლო, მაგრამ მან ბურთი სტუმართა კარს გადააცილა. ოთხ წუთში **დიეგო ლოპესმა** ანრის თავური მოიგერია. მოგვიანებით, გატანა პედროს შეეძლო, რომელსაც ანრიმ ჭკვიანური პასი გადააწოდა. „ბარსამ" თამაში ვერ „მოკლა" და ამისთვის მეორე ტაიმში დაისაჯა.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა **დავიდ ფუსტერმა** ხელიდან ბრწყინვალე შანსი გაუშვა, არადა მას მხოლოდ მეკარე **ვალდესის** მოტყუება რჩებოდა. ორიოდ წუთში ფუსტერმა მაინც გაიტანა, თანაც საკმაოდ მახვილი კუთხიდან - 1:1. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამის შემდეგ „ბარსელონას" თამაში უფრო აირია, გუნდი სპონტანურად უტევდა და „ვილიარეალის" კარგად მოთამაშე დაცვის ხაზს სერიოზულ პრობლემებს ვერ უქმნიდა. და მაინც, ბოლოს (თამაშის დასრულებამდე 9 წუთით ადრე) ზლატან იბრაჰიმოვიჩს შეეძლო გამარჯვების გოლის გატანა, შვედმა საჯარიმოს კუთხიდან ააცილა ლოპესის კარს.

ქულების დაკარგვის მიუხედავად **ხოსეპ გვარდიოლა** ოპტიმისტია: *„ძალიან დაძაბული მატჩი გამოდგა. მცირე შესვენების შემდეგ ძლიერ გუნდთან მოგვიწია დაპირისპირებამ. ეს შედეგი ჩვენ უფრო გაგვაძლიერებს"*.

„ატლეტიკომ" წელიწადი გამარჯვებით დაიწყო, მადრიდულმა კლუბმა მესამეადგილოსანი „სევილია" დაამარცხა. ამ შეხვედრაშიც გამარჯვების გოლი თავურით და მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე გავიდა - 2:1. ისე, უპრიანი იქნება თუ ასე ვიტყვით, „სევილიას" ცენტრალურ მცველთა და ნახევარმცველთა უნიათო თამაშმა ანდალუსიური კლუბის მარცხი გამოიწვია.

„როხიბლანკოსს" პრიმერაში ბოლო 56 წლის განმავლობაში უცუდესი სტარტი ჰქონდა, თუმცა **კიკე ფლორესის** გუნდი ნელ-ნელა გამოდის კრიზისიდან, „სევილიას" კი კარგი სტარტის შემდეგ ცუდი დროება უდგას - ანდალუსიური კლუბის ხელმძღვანელები შემოდგომით ჩემპიონობაზეც კი აცხადებდნენ პრეტენზიას. ანგარიში სტუმრებმა პირველი ტაიმის მიწურულს გახსნეს, **დიეგო პეროტის** კუთხურს **რენატო დირნეის** ბრწყინვალე თავური მოყვა - 0:1.

მეორე ტაიმში კი **ივიცა დრაგუტინოვიჩისა** და **სებასტიან სკილაჩის** დუეტმა „ივაჟკაცა", ჯერ ფრანგმა მცველმა გაუსწორა ბურთი დასარტყმელად გამზადებულ **დიეგო ფორლანს**, მერე კი, როცა ურუგვაელმა ვერ ივარგა, სერბმა თავად გაიტანა საკუთარ კარში - 1:1. სხვათა შორის გამოცდილმა დრაგომ ნოემბერში ჩემპიონთა ლიგის მატჩში „უნირეას" წინააღმდეგაც გაიტანა საკუთარ კარში (ის თამაში ესპანურმა გუნდმა 0:1 წააგო). 73-ე წუთზე „სევილია" **ალდო დუშერმა** დაალალატა. უხეშობით გამორჩეულმა არგენტინელმა რამდენიმე წუთით ადრე მიიღო ყვითელი ბარათი, მაგრამ **ვალერა** მაინც არ დაინდო და „სევილია" 10 კაცის ამარა დატოვა.

მატჩის ბედი მე-3 დამატებულ წუთზე გადაწყდა, **სიმაოს** ჩამოწოდებულს „ატლეტიკოს" კაპიტანი **ანტონიო ლოპესი** თავით გამოეხმაურა - 2:1. სამშაბათს **მანოლო ხიმენესის** გუნდს ესპანეთის თასის მატჩი ელის „ბარსელონასთან". სხვათა შორის, მატჩის ერთ-ერთმა ანტიგმირმა სებასტიან სკილაჩიმ კოჭის ტრავმა მიიღო და „ბარსასთან" თამაშს გამოტოვებს. ლა ლიგის შემდეგ თამაშს („ტენერიფეს" წინააღმდეგ) ზლატან იბრაჰიმოვიჩი გამოტოვებს, შვედმა სეზონში მე-5 ყვითელი ბარათი მიიღო.

სანამ გუშინდელ მატჩებზე გადავალთ, იტალიურ „ლა რეპუბლიკაში" გამოქვეყნებულ ცნობას შემოგთავაზებთ - „რეალი" „მილანს" ბრაზილიელი **პატოს** სანაცვლოდ 63 მილიონ ევროს სთავაზობს.

„ალმერიამ" ბოლო წუთზელა დაამარცხა აუტსაიდერი „ხერესი" - 1:0. ეს მასპინძელთა ახალი მწვრთნელის, **ხუან მანუელ ლილიოს** პირველი გამარჯვებაა. გამარჯვების გოლი შეცვლაზე შესულმა **ხოსე ორტისმა** გაიტანა, მან ჩინებულად შეასრულა საჯარიმო დარტყმა. კარგ ფორმაშია „ხეტაფე", **მიჩელის** გუნდმა ბოლო 6 მატჩში 5 მოიგო, ამჯერად მადრიდის გარეუბნის ბინადრებმა **ფრანსისკო კასკეროს** გოლის წყალობით „ვალიადოლიდი" დაამარცხეს - 1:0. „მალიორკამ" მნიშვნელოვანი სამი ქულა ჩაიწერა ბილბაოს „ატლეტიკთან" მატჩში - 2:0. მეორე ტაიმში გოლები **ხულიო ალვარესმა** და **არიც ადურისმა** გაიტანეს.

მადრიდის „რეალი" ნავარას ესტუმრა. პამპლონელები დაცვის ხაზის სიმტკიცით არიან განთქმულები და „ოსასუნას" ნავარაში დამარცხება ყველას უჭირს (ეს ამ სეზონში ვერც „ბარსელონამ" შეძლო). თამაშით „ოსასუნა" სჯობდა „სამეფო კლუბს", „რეალის" საუკეთესო შანსი კი **გონსალო იგუაინს** მეორე ტაიმში მიეცა, მაგრამ მან ეს ვერ გამოიყენა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## მომდევნო ტური

9 იანვარი: ვალიადოლიდი-ატლეტიკო, სევილია-რასინგი, ვილიარეალი-ალმერია.
10 იანვარი: დეპორტივო-ოსასუნა, ესპანიოლი-სარაგოსა, მალაგა-ბილბაო, სპორტინგი-ხეტაფე, ხერესი-ვალენსია, რეალი-მალიორკა, ტენერიფე-ბარსელონა.

### ვალენსია-ესპანიოლი 1:0

**ვალენსია (4-2-3-1):** სესარი - მიგელი, ნავარო, ალექსისი, ბრუნო - ალბელდა (79. მარჩენა), ბანეგა (73. ფერნანდეში) - ხოაკინი, მატა, ალბა (63. ჟიგიჩი) - ვილია.

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - რონკალია, პარეხა, ფორლინი, ჩიკა - მოისესი, მარკესი - ლ. გარსია, ვერდიუ (78. პილუდი), კორომინასი (60. ნაკამურა) - კალეხონი (91. პედრასა).

**გოლი:** 1:0 ჟიგიჩი (92)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 6-0; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 17-11 (8-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 48 000

### ბარსელონა-ვილიარეალი 1:1

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პიკე, პუიოლი, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი, დოს სანტოსი (57. ინიესტა) - პედრო (85. კრკიჩი), იბრაჰიმოვიჩი, ანრი.

**ვილიარეალი (4-2-3-1):** დ. ლოპესი - ხ. ვენტა, გოდინი, მარკანო, კაპდევილია - სენა, ბრუნო - კანი, ფუსტერი (90. ეგურენი), კასორლა (67. ესკუდერო) - ნილმარი (75. როსი).

**გოლები:** 1:0 პედრო (7), 1:1 ფუსტერი (50)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 22-16; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 12-8 (3-2); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 90 000

### ატლეტიკო-სევილია 2:1

**ატლეტიკო (4-4-2):** ს. ასენხო - ვალერა, პერეა, დომინგესი, ა. ლოპესი - სიმაო, ასუნსაო, რ. გარსია (82. სანჩანა), რეიესი (65. ხურადო) - იბრა, ფორლანი.

**სევილია (4-2-3-1):** პალოპი - კონკო, სკილაჩი (61. ადრიანო), დრაგუტინოვიჩი, ნავარო - დუშერი, რომარიკი (69. კონე) - ხ. ნავასი, რენატო, პეროტი - ნეგრედო (74. ლოლო)

**გოლები:** 0:1 რენატო (44), 1:1 დრაგუტინოვიჩი (48-საკ. კარში), 2:1 ა. ლოპესი (93)

**გაფრთხილება:** 3-5; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 21-16; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 12-7 (3-1); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 35 000

### სარაგოსა-დეპორტივო 0:0

**სარაგოსა (4-2-3-1):** კარასო - დიოგო, გონი, პულიდო, პარედესი (88. ბაბიჩი) - პონსიო, აგილარი (58. ხ. ლოპესი) - პენანტი, ანდერი, ლაფიტა - არისმენდი (75. ბრაულიო).

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - მ. პაბლო, კოლოტო, ლოპო, ფილიპე - ტომასი, დომინგესი (78. სერხიო) - როდრიგესი, ვალერონი (65. რიკი), გუარდადო - ადრიანი (73. ალვარესი).

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 21-20; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 17-9 (4-3); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 20 000

### რასინგი-ტენერიფე 2:0

**რასინგი (4-2-3-1):** კოლტორტი - პინილიოსი, ენრიკე, ტორეხონი, კრისტიანი - კოლსა, ლასენი - მუნიტისი, კანალიესი (68. არანა), სერანო (70. გეიხო) - ტჩიტე (60. სისკო).

**ტენერიფე (4-2-3-1):** არაგონესესი - ხუანლუ, ლუნა, სისილია, ბელვისი - მ. ალონსო (83. რომანი), რიკარდო - კომე (59. ანხელი), ალფარო, აიოსე (78. დინეი) - ნინო.

**გოლები:** 1:0 კოლსა (71), 2:0 სისკო (74)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 21-15; **თამაშგარე:** 12-3; **კარში დარტყმა:** 8-9 (2-3); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 12 000

### სპორტინგი-მალაგა 2:2

**სპორტინგი (4-2-3-1):** პაბლო - ლორა (30. სასტრე), ბოტია, გრეგორი, კანელია - მატაბუენა (46. მიჩელი), კამაჩო (65. კარმელო) - მალდონადო, დე ლას კუევასი, კასტრო - ბარალი.

**მალაგა (4-2-3-1):** მუნუა - მტილიგა, გონსალესი, ველიგტონი, მ. ტორესი - ხუანიტო (59. აპონიო), ხ. ტორესი - ფერნანდო, ბა (50. პედრიტო), დუდა (69. ლუკე) - ფორესტიერი.

**გოლები:** 1:0 დუდა (9), 1:1 გრეგორი (47), 1:2 ველიგტონი (60), 2:2 კანელია (69)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 7-0; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 18-7 (7-3); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 15 000

### ხეტაფე-ვალიადოლიდი 1:0

**ხეტაფე (4-2-3-1):** კოდინა - კორტესი, დიასი, მარიო, მანე - პარეხო (56. კასკერო), ბოატენგი - პ. ლეონი (70. რიოსი), ალბინი, გავილანი (78. მანუ) - სოლდადო.

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ვილიარი - ბარაგანი (69. ლოპესი), არსო, ნივალდო, მარკოსი - ბორხა (85. მარკიტოსი), პელე - ალემანი (61. მედუნჯანინი), კანობიო, სესმა - ბუენო.

**გოლი:** 1:0 კასკერო (83)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 17-21; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 18-10 (7-3); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 9 000

### ალმერია-ხერესი 1:0

**ალმერია (4-2-3-1):** ალვესი - მასედო (71. ხ. ორტისი), ჩიკო, აკასიეტე, სისმა - მბამი, ბერნარდელო - კორონა (64. გოიტომი), სორიანო, კრუსატი (82. ორტისი) - პიატი.

**ხერესი (4-2-3-1):** რენანი - ფრანსისი, ხიოდა, პრიეტო, კასადო - მორენო, ბერგანტინიოსი - კალვო (58. არმენტეროსი), აბელი (69. ანტონიტო), მომო (87. სანჩესი) - ბერმეხო.

**გოლი:** 1:0 ორტისი (89)

**გაფრთხილება:** 3-5; **კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 17-12; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 12-10 (4-2); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 14 000

### მალიორკა-ბილბაო 2:0

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - მატიონი, ხოსემი, რუბენი, აიოსე - სუარესი, მარტი - ალვარესი, ვალერო (89. პესოლანო), კასტრო - ადურისი (87. კეიტა).

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ამორებიეტა, კასტილიო - გურპეგი (58. დე მარკოსი), ორბაისი, მარტინესი - სუსაეტა (75. ეჩებერია), ლორენტე, იესტე (58. მუნიანი).

**გოლები:** 1:0 ალვარესი (49), 2:0 ადურისი (66)

**გაფრთხილება:** 5-2; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 14-23; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 17-4 (6-3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 12 000

### ოსასუნა-რეალი 0:0

**ოსასუნა (4-4-2):** რიკარდო - ასპილიკუეტა, როვერსიო, ფლანიო, მონრეალი - ხუანფრანი (79. რუპერი), პუნიალი, ნეკუნამი, კამუნიასი (90. კალეხა) - არანდა (63. მასუდი), პანდიანი.

**რეალი (4-4-2):** კასილიასი - ს. რამოსი, ალბიოლი, გარაი, არბელოა - ლ. დიარა, ჩაბი ალონსო, ვან დერ ვაარტი (63. ბენზემა), მარსელო (82. გრანერო) - რონალდო, იგუაინი (72. რაული).

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 11-14; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 6-19 (2-4); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 18 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 16 | 12 | 4 | 0 | 37-10 | 40 |
| 2. რეალი | 16 | 12 | 2 | 2 | 40-13 | 38 |
| 3. ვალენსია | 16 | 9 | 5 | 2 | 28-16 | 32 |
| 4. სევილია | 16 | 9 | 3 | 4 | 27-15 | 30 |
| 5. მალიორკა | 16 | 9 | 3 | 4 | 30-18 | 30 |
| 6. დეპორტივო | 16 | 8 | 4 | 4 | 19-16 | [illegible] |
| 7. ხეტაფე | 16 | 9 | 0 | 7 | 26-22 | 27 |
| 8. ბილბაო | 16 | 8 | 2 | 6 | 21-20 | 26 |
| 9. ვილიარეალი | 16 | 6 | 4 | 6 | 25-20 | 22 |
| 10. სპორტინგი | 16 | 5 | 6 | 5 | 17-17 | 21 |
| 11. ატლეტიკო | 16 | 4 | 5 | 7 | 23-28 | 17 |
| 12. ოსასუნა | 16 | 4 | 5 | 7 | 14-19 | 17 |
| 13. ვალიადოლიდი | 16 | 3 | 7 | 6 | 22-27 | 16 |
| 14. რასინგი | 16 | 4 | 4 | 8 | 19-25 | [illegible] |
| 15. ალმერია | 16 | 4 | 4 | 8 | 16-26 | 16 |
| 16. ესპანიოლი | 16 | 4 | 4 | 8 | 10-22 | 16 |
| 17. ტენერიფე | 16 | 4 | 3 | 9 | 15-30 | 15 |
| 18. მალაგა | 16 | 2 | 7 | 7 | 19-23 | 13 |
| 19. სარაგოსა | 16 | 3 | 4 | 9 | 17-35 | 13 |
| 20. ხერესი | 16 | 1 | 4 | 11 | 6-29 | 7 |

**ბომბარდირები:** 12 - ვილია (ვალენსია); 11 - იბრაჰიმოვიჩი (ბარსელონა); 10 - იგუაინი (რეალი), სოლდადო (ხეტაფე); 9 - მესი (ბარსელონა); 8 - ადურისი (მალიორკა); ლ. ფაბიანო (სევილია); 7 - აგუერო (ატლეტიკო), რონალდო (რეალი).

## სეგუნდა დივიზიონი

### XVIII ტური

**კასტელონი-ნუმანსია 0:1**
გოლი: 0:1 დელ პინო (2)

**რეალ უნიონი-სალამანკა 1:1**
გოლები: 0:1 სევილია (61), 1:1 გოიკოეჩეა (79)
გაძევება: დომინგესი (65. უნიონი)

**უელვა-ხირონა 2:2**
გოლები: 1:0 კოლუნგა (1), 1:1 მიგე (47), 2:1 ანტონი (53), 2:2 მიგე (63)

**კარტახენა-კორდობა 0:0**

**ბეტისი-უესკა 1:1**
გოლები: 1:0 ვეგა (37), 1:1 კამაჩო (89)
გაძევება: არსუ (51. ბეტისი), როდრი (81. ბეტისი)

**ალბასეტე-ერკულესი 1:2**
გოლები: 1:0 სალესი (40), 1:1 კრისტიანი (73-პენ), 1:2 როდრიგესი (90)

**რაიო ვალეკანო-ლევანტე 0:0**
გაძევება: სალვა (45. ვალეკანო), როდასი (75. ლევანტე), ტიტო (88. ვალეკანო)

**ვილიარეალი B-სოსიედადი 1:1**
გოლები: 0:1 ზურუტუზა (75), 1:1 რუბენი (78)
გაძევება: მუსაჩიო (54. ვილიარეალი), ესტრადა (90. რეალ სოსიედადი)

**ელჩე-ლას პალმასი 2:5**
გოლები: 1:0 კრესპი (4), 1:1 ხუანპა (32), 2:1 ტრეხო (43), 2:2 რონდონი (49), 2:3 ლეონი (51), 2:4 რონდონი (54), 2:5 ლოპესი (69)

**სელტა-მურსია 1:1**
გოლები: 0:1 მეხია (59), 1:1 ხოსელუ (89)
გაძევება: მეხია (64. მურსია)

**კადისი-ხიმნასტიკი 0:1**
გოლი: 0:1 მორანი (41)
გაძევება: ენრიკე (51. კადისი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ერკულესი | 18 | 10 | 6 | 2 | 25-10 | 36 |
| 2. სოსიედადი | 18 | 10 | 6 | 2 | 27-16 | 36 |
| 3. კარტახენა | 18 | 8 | 6 | 4 | 26-17 | 30 |
| 4. ნუმანსია | 18 | 8 | 5 | 5 | 25-23 | 29 |
| 5. რაიო | 18 | 7 | 7 | 4 | 28-18 | 28 |
| 6. ხიმნასტიკი | 18 | 8 | 4 | 6 | 17-17 | 28 |
| 7. ბეტისი | 18 | 7 | 6 | 5 | 28-19 | 27 |
| 8. სალამანკა | 18 | 7 | 6 | 5 | 23-22 | 27 |
| 9. კორდობა | 18 | 5 | 9 | 4 | 16-18 | 24 |
| 10. ვილიარეალი B | 18 | 6 | 6 | 6 | 22-25 | 24 |
| 11. ლას პალმასი | 18 | 5 | 8 | 5 | 19-17 | 23 |
| 12. ლევანტე | 18 | 5 | 8 | 5 | 21-20 | 23 |
| 13. ელჩე | 18 | 6 | 5 | 7 | 29-32 | 23 |
| 14. უესკა | 18 | 5 | 7 | 6 | 17-18 | 22 |
| 15. უელვა | 18 | 6 | 4 | 8 | 17-20 | 22 |
| 16. ალბასეტე | 18 | 6 | 4 | 8 | 27-32 | 22 |
| 17. ხირონა | 18 | 5 | 6 | 7 | 26-28 | 21 |
| 18. სელტა | 18 | 4 | 8 | 6 | 17-22 | 20 |
| 19. კადისი | 18 | 4 | 7 | 7 | 17-26 | 19 |
| 20. უნიონი | 18 | 4 | 5 | 9 | 15-22 | 17 |
| 21. მურსია | 18 | 2 | 9 | 7 | 21-26 | 15 |
| 22. კასტელონი | 18 | 3 | 2 | 13 | 18-33 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

### I ლიგა

XXV ტური

| | |
|---|---|
| ჰარტლპული-ოლდჰემი | 2:1 |
| უიკომბი-ნორვიჩი | 0:1 |

### II ლიგა

XXV ტური

| | |
|---|---|
| ბორნმუთი-ნორთჰემპტონი | 0:2 |
| ბრედფორდი-ჩელტენემი | 1:1 |
| ჩესტერფილდი-შრიუსბერი | 0:1 |
| გრიმსბი-ბერი | 1:1 |

### კონფერენსი

XXV ტური

| | |
|---|---|
| ისტბურნი-ქროული | 0:2 |
| გრეისი-ებსფლიტი | 0:3 |
| სტივენიჯი-კემბრიჯი | 4:1 |
| ჰეიესი-უიმბლდონი | 1:0 |

## ინგლისის თასი

### 1/32 ფინალი

| | |
|---|---|
| ასტონ ვილა-ბლექბერნი | 3:1 |
| ბლექპული-იფსვიჩი | 1:2 |
| ბოლტონი-ლინკოლნი | 4:0 |
| ევერტონი-კარლაილი | 3:1 |
| ფულჰემი-სუინდონი | 1:0 |
| ჰადერსფილდი-ვესტ ბრომვიჩი | 0:2 |
| ლესტერი-სუონსი | 2:1 |
| მიდლსბრო-მანჩესტერ სიტი | 0:1 |
| მილუოლი-დერბი | 1:1 |
| მილტონი-ბარნლი | 1:2 |
| ნოტინგემი-ბირმინგემი | 0:0 |
| პლიმუთი-ნიუკასლი | 0:1 |
| პორტსმუთი-კოვენტრი | 1:1 |
| პრესტონი-კოლჩესტერი | 7:0 |
| სკანთორპი-ბარნსლი | 1:0 |
| უენსდი-კრ. პალასი | 1:2 |
| საუთჰემპტონი-ლუტონი | 1:0 |
| სანდერლენდი-ბაროუ | 3:0 |
| ტოტენჰემი-პიტერბრო | 4:0 |
| უიგანი-ჰალი | 4:1 |
| ტორკი-ბრაიტონი | 0:1 |
| სტოკი-იორკი | 3:1 |
| რედინგი-ლივერპული | 1:1 |
| მანჩესტერ იუნ-ლიდსი | 0:1 |
| ჩელსი-უოტფორდი | 5:0 |
| შეფილდი-ქუინზ პარკი | 1:1 |
| ვესტ ჰემი-არსენალი | 1:2 |
| ტრანმერი-ვულვზი | 0:1 |

## პორტუგალიის თასი

| | |
|---|---|
| ოლივეირენსე-პორტუ | 0:2 |

## პორტუგალია

### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| აკადემიკა-ეშტორილი | 2:1 |
| ლეირია-ტროფენსე | 1:1 |
| გიმარაეში-რიუ ავე | 1:2 |
| ბენფიკა-ნასიონალი | 1:0 |
| სპორტინგი-ბრაგა | 2:1 |

## შოტლანდია

XIX ტური

| | |
|---|---|
| დანდი იუნ-აბერდინი | 0:1 |
| სტ. მირენი-კილმარნოკი | 1:0 |
| სელტიკი-რეინჯერსი | 1:1 |
| ჰიბერნიანი-ჰართსი | 1:1 |

### I დივიზიონი

XX ტური

| | |
|---|---|
| დანდი-ეირდრი | 0:1 |
| პარტიკი-მორტონი | დღეს |

## კვიპროსი

XV ტური

| | |
|---|---|
| ენოსისი-აპოპ | 3:1 |
| ერმისი-აპოლონი | 1:2 |
| აელ-ეთნიკოსი | 2:2 |
| ნეა სალამისი-აკეპ | 1:2 |
| აეპ-აპოელ | 0:1 |
| არისი-ანორთოსისი | 0:3 |
| ომონია-დოქსა | დღეს |

## საბერძნეთი

### II დივიზიონი

XV ტური

| | |
|---|---|
| აგროტიკოსი-ტრასიველოსი | 0:0 |
| დიაგორასი-ანაგენისი | 1:0 |
| დოხა-ეთნიკოსი (ა) | 2:2 |
| ილიუპოლი-ეთნიკოსი (პ) | 0:2 |
| კალამატა-იონიკოსი | 1:0 |
| ოფი-ილისიაკოსი | 2:0 |
| ოლიმპიაკოსი (ვ)-პანსერაიკოსი | 2:0 |
| პანაიტოლიკოსი-კერკირა | დღეს |
| პიერიკოსი-როდოსი | დღეს |

## უელსი

XIX ტური

| | |
|---|---|
| ტნს-უელშპული | 4:0 |
| ჰავერფორდვესტი-ებერისტვითი | 0:1 |
| რილი-პრესტატინი | 1:1 |

შალკე

# ყენიას ახალი კონკურენტი ჰყავს!

### გელზენკირხენელებმა ბაიერნიდან ბაუმიოჰანი გადაიბირეს, ედუ - 2013 წლამდე, ფოლციც მაგათთან ვარჯიშობს

**ფელიქს მაგათს**, რომელიც „შალკეს" მენეჯერი და მთავარი მწვრთნელია, ფული არ აქვს იმისათვის, რომ გუნდი ისე გააძლიეროს, როგორც მას უნდა, მაგრამ მაინც შეძლო და იანვრის პირველივე დღეებში საინტერესო ტრანსფერები გაჩარხა.

შაბათს ტრავმირებული **ლევან ყენიას** გუნდი ესპანეთში გაემგზავრა, სადაც ერთკვირიან შეკრებას გაივლის და ყველასათვის სიურპრიზი იყო ის, რომ გელზენკირხენელებს შეკრებაზე 26 წლის მარჯვენა მცველი **მორიტც ფოლციც** გაჰყვათ. ეს უკანასკნელი დიდი ხნის განმავლობაში ტრავმირებული იყო და ახლა სურს, რომ მაგათს თავი მოაწონოს. შესაძლოა, მკითხველებს არ ახსოვდეთ, ვინ არის მორიტც ფოლცი. ეს ის ფეხბურთელია, რომელიც 17 წლის ასაკში „შალკედან" ლონდონის „არსენალში" გადავიდა და უდიდეს ტალანტად მიიჩნეოდა. „არსენალის" შემდეგ ფოლცი „ფულჰემსა" და „იფსვიჩში" თამაშობდა - ორივე გუნდში განათხოვრებული იყო. ერთ დროს გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრს, 2008 წლის დეკემბრის შემდეგ არც ერთ ოფიციალურ მატჩში აღარ მიუღია მონაწილეობა, რადგან უმძიმესი ტრავმა მიიღო.

მაგათის თქმით, ყველაფერი შესაძლებელია - მათ შორის ისიც, რომ „შალკემ" ფოლცი გადაიბიროს, მაგრამ ფეხბურთელის შეკრებაზე წაყვანა, პირველ რიგში, მისი ფორმის აღდგენას ემსახურება. მთავარი ის არის, რომ ფოლცი ახლა უკლუბოდაა, თავისუფალი აგენტია და თუ მაგათს თავი მოაწონა, ბრწყინვალე შანსი აქვს, „შალკეში" აიყვანონ.

შვებულებიდან დაბრუნება, როგორც ყოველთვის, დააგვიანა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა **რაფინიამ**, რომელსაც კლუბის ხელმძღვანელებისთვის არაფერი შეუტყობინებია და დათქმულ დღეს გელზენკირხენში არ გამოცხადდა. მარჯვენა მცველმა მოგვიანებით ბოდიში მოიხადა და თქვა, რომ სამშობლოდან გერმანიაში ჩასვლა პირადი მიზეზების გამო დააგვიანდა. მაგრამ მაგათი რაფინიაზე ძალიანაა გაბრაზებული.

*„როცა ვამბობ, რომ მუშაობას ამა და ამ დღეს ვიწყებთ, მინდა, რომ ბაზაზე ყველა ფეხბურთელი დროულად გამოცხადდეს. და თუ ფეხბურთელი რაღაც მიზეზით ამას ვერ ახერხებს, პირადად უნდა შემატყობინოს, მომიბოდიშოს და ამიხსნას, რა მიზეზით ვერ ჩამოდის. რაფინიას ჩემთვის არ დაურეკავს და არაფერი უთქვამს. აქ საქმე ეხება დისციპლინარულ დარღვევას, რაც ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელია,"* - აცხადებს „დესპოტი ფელიქსი".

რაფინიას დააგვიანდა, მაგრამ ბრაზილიელი გუნდს ესპანეთში გაჰყვა. შალკელებმა პირენეიზე პირველი ვარჯიში შაბათს გამართეს და წვრთნაში მონაწილეობა მიიღო ბრაზილიელმა თავდამსხმელმა **ედუმ**, რომელმაც „შალკესთან" კონტრაქტი 2013 წლამდე გააფორმა. ედუ 28 წლისაა და ბუნდესლიგაში თამაშის გამოცდილება აქვს: „ბოხუმისა" და „მაინცის" რიგებში მას 44 მატჩში 7 გოლი აქვს გატანილი, რაც თავდამსხმელისთვის კარგი შედეგი ნამდვილად არ არის, მაგრამ რაც მთავარია, ედუ მაგათს მოსწონს. ბრაზილიელი ბოლოს სამხრეთ კორეაში (!) თამაშობდა.

სამაგიეროდ, „შალკეს" განაცხადში ამიერიდან ველარ აღმოაჩენთ **ლუბოშ ჰანცელის** გვარს. შეგახსენებთ, რომ სლოვაკეთის ნაკრების ფეხბურთელი გელზენკირხენელებმა ზაფხულში „სპარტაკ ტრნავადან" ინათხოვრეს. „შალკეს" მარცხენა მცველის შესყიდვის უფლება ჰქონდა, მაგრამ მაგათმა ჰანცელისთვის კონტრაქტის გაფორმებაზე უარი თქვა. 22 წლის ჰანცელმა პირველ წრეში მხოლოდ ერთხელ ითამაშა და ისიც სულ რაღაც ერთი წუთი - „ვერდერთან" გასვლით მატჩში, რომელიც გელზენკირხენელებმა 2:0 მოიგეს.

ყველაზე მთავარი და საინტერესო სატრანსფერო სიახლე კი ბოლოსთვის შემოვინახეთ: გუშინ გაირკვა და ოფიციალურად დადასტურდა, რომ მიუნხენის „ბაიერნის" შემტევი ნახევარმცველი **ალექსანდერ ბაუმიოჰანი** კარიერას „შალკეში" გააგრძელებს. „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა გუშინვე დაადასტურეს, რომ მაგათთან შეთანხმებას მიაღწიეს და რომ 22 წლის ბაუმიოჰანი „შალკეში" გადადის. ამ უკანასკნელს რეკორდმაისტერთან კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებდა. სატრანსფერო თანხაზე არაფერი თქმულა, საზღაურის ოდენობას ორივე კლუბი ასაიდუმლოებს.

ალექსანდერ ბაუმიოჰანი უაღრესად ნიჭიერი ფლეიმეიკერია და ის მიუნხენის „ბაიერნში" ზაფხულში მიონხენგლადბახის „ბორუსიადან" (სადაც წინა სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა) უფასოდ გადავიდა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, რეკორდმაისტერის ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. აღსანიშნავია, რომ ბაუმიოჰანი „შალკეს" აღზრდილია და გელზენკირხენული კლუბის ღირსებას 2000-დან 2007 წლამდე იცავდა. ამრიგად, ახალგაზრდა გამთამაშებელი მაგათმა „შალკეში" დააბრუნა. შესაბამისად, ლევან ყენიას ფლეიმეიკერის პოზიციაზე კიდევ ერთი სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა. დღეისათვის მაგათს სამი ტიპური ფლეიმეიკერი ჰყავს - **ივან რაკიტიჩი**, ბაუმიოჰანი და ყენია.

**გოტფრიდ ლენცი**



ალექსანდერ ბაუმიოჰანი კარიერას შალკეში გააგრძელებს

ბაიერნი

# ჟერომ ბოატენგი მოდისო...

### რეკორდმაისტერმა ოტლი და ბრენო ნიურნბერგს ათხოვა

როგორც მოსალოდნელი იყო, მიუნხენის „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა პირველი იანვრიდან უსარგებლო და სათადარიგოთა სკამის მხეხავი ფეხბურთელების გაყიდვა/განათხოვრება დაიწყეს. **ლუკა ტონის** „რომაში" განათხოვრების შემდეგ, მიუნხენელებმა კიდევ ორი ფეხბურთელი „მოიშორეს": ბრაზილიელი მცველი **ბრენო** და საყრდენი ნახევარმცველი **ანდრეას ოტლი** სეზონის მეორე ნახევარს „ნიურნბერგში" გაატარებენ.

ამავდროულად, „მიუნხენერ თაგესცაითუნგი" იტყობინება, რომ მიუნხენელები „ჰამბურგისა" და გერმანიის ნაკრების მარჯვენა მცველით, **ჟერომ ბოატენგით** არიან დაინტერესებულები. 21 წლის ბოატენგის შეძენა რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელის, **ლუის ვან გაალის** სურვილი ყოფილა. ბოატენგი ახალგაზრდაა და დიდი მომავლის მქონე ფეხბურთელად მიიჩნევა. რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, მას დაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში - ფლანგებზე და ცენტრშიც.

ჟერომ ბოატენგს „ჰამბურგთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს და მის ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ზაფხულში მას გუნდის დატოვება 12 მილიონ ევროდ შეუძლია. ჰამბურგელებმა შემოდგომიდან არაერთხელ შესთავაზეს ახალი ხელშეკრულების გაფორმება, მაგრამ ფეხბურთელი ჯერჯერობით ვერ დაითანხმეს.

*„ჰამბურგში" თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, მაგრამ არავინ იცის, რა მოხდება ზაფხულში,"* - ამბობს ბოატენგი.

**გოტფრიდ ლენცი**

დაბრუნება



დევიდ ბექჰემმა მანჩესტერ იუნაიტედი გაიხსენა...

# ბექჰემი წარსულის წინააღმდეგ

**დევიდ ბექჰემი** ამბობს, რომ თუ „მანჩესტერ იუნაიტედის" კარში გოლს გაიტანს, არ იზეიმებს. ის კი არა, კენჭისყრის ღამეს ცრემლიც წასკდომია. ასეა: „მილანის" „დროებით" ვარსკვლავს ემოცია მოეძალა. საქმე კი ის გახლავთ, რომ ჩემპიონთა ლიგის წილისყრამ მილანელები მისი ბავშვობის, სიყმაწვილის და დიდების მწვერვალზე ყოფნის დროინდელ გუნდს, „მანჩესტერ იუნაიტედს" შეახვედრა და ბექჰემმა ეს რომ გაიგო, გული აუჩქროლდა.

როგორც მოგახსენეთ (ანკი რა შეხსენება ამას უნდა), ბექჰემი, მიუხედავად იმისა, რომ ლონდონელია, ბავშვობიდან „მანჩესტერ იუნაიტედს" ქომაგობდა, ხოლო ფეხბურთელობის პერიოდში ამ გუნდის მაისურით 394 თამაში ჩაატარა და 85 გოლი გაიტანა, რის შემდეგაც მადრიდის „რეალში" გადავიდა. ბექჰემის დახმარებით „იუნაიტედმა" ექვსჯერ ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ორჯერ ფეხბურთის ასოციაციის თასს დაეუფლა, ხოლო 1999 წელს, დაუვიწყარ ფინალში მიუნხენის „ბაიერნის" 2:1 ძლევით, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულიც შეიქნა. და აი, ცხოვრებამ დაასახელა ის დღე, როდესაც ბექზი სერ **ალექს ფერგიუსონსა** და მის ბიჭებს უნდა დაუპირისპირდეს. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დევიდმა ასე თქვა:

*„თუ გოლს გავიტან, არ ვიზეიმებ. გოლის გატანა, რასაკვირველია, მინდა, მაგრამ ზეიმი გამორიცხულია. რად უნდა ლაპარაკი, როდესაც დიდი მატჩია, მის ორომტრიალში, უნებლიეთ, შეიძლება ასეც მოიქცე და ისეც. გამორიცხული არაფერია, თუმცა საკუთარ თავზე პასუხს ვაგებ - მე ინსტინქტურადაც კი არ შემეშლება".*

ეს ამბავი საზოგადოებას გაზეთმა „სანმა" უამბო, რომელიც „ლოს ანჯელეს გელექსიდან" „მილანში" ხელმეორედ გადაბარგებული დევიდ ბექჰემის მორიგ წარდგენას ინგლისური ჟურნალ-გაზეთებიდან მარტო ესწრებოდა. მოგეხსენებათ, ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ყველა ღონეს ხმარობს, რათა მსოფლიოს მოახლოებული ჩემპიონატის წინ ევროპაში, ეროვნული გუნდის თავკაცის, **ფაბიო კაპელოს** თვალწინ იტრიალოს და სამხრეთ აფრიკაში წააყვანინოს თავი. მაგრამ, ბედმა, როგორც ხედავთ, ევროპაში გადმობარგების სანაცვლოდ მსხვერპლი მოითხოვა: თავისი ცხოვრების მთავარი გუნდის წინააღმდეგ უნდა ითამაშოს - ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური დაპირისპირების პირველი მატჩი 16 თებერვალს მილანში, „სან სიროზე" გაიმართება. აი, რაც შეეხება კიდევ უფრო ემოციურ მომენტს, ბექჰემის „ოლდ ტრეფორდზე" დაბრუნებას, ეს ამბავი 10 მარტს მოხდება.

*„კენჭისყრის შედეგები რომ შევიტყვე, კინაღამ ვიტირე. ჩემთან, ლოს ანჯელესში მეძინა, ღამის სამი საათი იყო, როდესაც მესიჯი მივიღე, „მილანი" „მანჩესტერ იუნაიტედს" შეხვდაო. საერთოდ, ძალიან ემოციური ვარ და რომ წარმოვიდგინე, მანჩესტერში „მილანის" ფეხბურთელის რანგში რომ უნდა ჩავიდე, ძალიან ავღელდი. მანჩესტერი ხომ ჩემთვის განსაკუთრებული ადგილია. მე იქაურ ფენებთან, მწვრთნელთან და კლუბის თანამშრომლებთან კარგი ურთიერთობა და წარსული მაკავშირებს. ეს გახლდათ გუნდი, სადაც ყოველთვის მინდოდა თამაში. „მანჩესტერ იუნაიტედი" ყოველთვის ჩემი ოცნების კლუბი იყო. დღემდე მენატრება „იუნაიტედში" თამაში. „ოლდ ტრეფორდზე" შვიდი წელიწადია ფეხი არ მიმიდგამს, არადა, მთელი ამ ხნის განმავლობაში დღე არ ყოფილა, იქაურობა რომ არ მომნატრებოდა. და აი, ახლა, იქ „მილანის" ფორმით მისვლა ჩემი ცხოვრების დიდი წამი იქნება. რასაკვირველია, ემოციურად განსაკუთრებული საღამო მელოდება, მაგრამ საქმე საქმეა. რასაკვირველია, „იუნაიტედის" ჩემპიონთა ლიგიდან გამოგდებაზე ფიქრი მიჭირს, მაგრამ პროფესიონალი ვარ და თუ რამე არ მინდა, ეს, უპირველეს ყოვლისა, წაგებაა".*

შემდეგ ბექჰემს უთხრეს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" „მილანთან" შეხვედრაში შეჯიბრებას გამოეთიშება, ეს კი იმიტომ მოხდება, რომ გასულ ზაფხულს 80 მილიონ ფუნტს დახარბდა და **კრისტიანო რონალდო** მადრიდის „რეალს" მიჰყიდა. ამაზე ბექზმა მიუგო:

*„როდესაც კრისტიანოს დონის ფეხბურთელს უშვებ, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრს კარგავ და თან არა მხოლოდ მოედანზე, არამედ გასახდელშიც. მაგრამ ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ დღეს „მანჩესტერ იუნაიტედი" შარშანდელზე უფრო სუსტი გუნდია, რადგან მას ბევრი დიდი ფეხბურთელი ჰყავს. ასეთ კლუბებში, როგორებიც არიან „იუნაიტედი", „რეალი" თუ „მილანი", ეს ისტორია ხშირად მეორდება - დიდი ვარსკვლავი მიდის, დიდი კლუბი კი ცხოვრებას განაგრძობს".*

ამრიგად, დევიდ ბექჰემის მანჩესტერში დაბრუნებისგან უკვე შეიქმნა დიდი ამბავი, თუმცა არ არის გამორიცხული, ინგლისელმა ფანებმა თავიანთი გმირი სრულიად განსხვავებულ როლშიც იხილონ. საქმე ის გახლავთ, რომ დადის ჭორები, თითქოს მილანელთა ბრაზილიელ თავკაც **ლეონარდოს** ბექჰემის მარჯვენა მცველობა განუზრახავს. რას ფიქრობს ამაზე 34 წლის ვეტერანი? მარად დიპლომატიური ბექზის კომენტარი ასეთია:

*„ცხოვრების განმავლობაში, ვარჯიშებზე, უამრავ პოზიციაზე მითამაშია. მეკარეც კი ვყოფილვარ. ამასთან, ყველამ კარგად იცის, რომ კარიერა ნახევარდაცვაში მაქვს გატარებული, თუმცა, ალბათ ბევრ სხვა პოზიციაზეც შემიძლია თამაში. დარწმუნებული ვარ, ლეონარდომ იცის, რომელი ამპლუა იქნება ჩემთვის ყველაზე მისაღები და გუნდისთვის ყველაზე სასარგებლო".*

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია 2009

# ყველაზე, ყველაზე, ყველაზე...

**საფეხბურთო** იტალიამ 2009 წელი უკვე შეაჯამა - გამოქვეყნდა არაერთი ანალიტიკური სტატია, სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და ა.შ. თუმცა, მოდით, ნომინაციების თემაზე უფრო ვრცლად ვისაუბროთ. მაგალითად, „კალჩო 2000"-მა ჩაატარა გამოკითხვა: თუ ვინ იმოსება ყველაზე გემოვნებიანად და პირიქით, ვინ ვერ უწყობს ფეხს თანამედროვე მოდის ტენდენციებს. ბუნებრივია, გამოკითხვა მხოლოდ საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლებს შეეხოთ. შედეგები მართლაც საინტერესოა და თქვენის ნებართვით, ამ საკითხს უფრო ვრცლად შევეხებით.

აქედანვე გეტყვით, რომ ინტერაქტივში უბრალო გულშემატკივრებთან ერთად, ცნობილმა დიზაინერებმაც მიიღეს მონაწილეობა. თუ რიგითი ქომაგის ხმა ერთი ქულით ფასდებოდა, დიზაინერის და ამ საქმის პროფესიონალის მხარდაჭერა 50 ქულით გახლდათ შეფასებული. შედეგები იტალიელთათვის არცთუ სასიამოვნო უნდა იყოს, რადგან ყველაზე გემოვნებიანი ადამიანის სტატუსი პორტუგალიელმა მწვრთნელმა **ჟოზე მოურინიომ** მოიპოვა.

ჟოზეს ძირითადად კლასიკური სამოსი აცვია. პიჯაკს და პალტოს მაშინ სწყალობს, როდესაც „ინტერს" თამაში აქვს, წვეულებებს კი ხშირად ფრაკში გამოწყობილიც კი სტუმრობს. თუმცა, ერთია, როდესაც კარგი ტანისამოსი გაცვია და მეორე, როდესაც კარგი ტანისამოსი კარგად გაცვია. მოურინიო მართლაც შესანიშნავად ირგებს ტანსაცმელს, გეგონებათ, თითოეულ პიჯაკს სპეციალურად თავის ტანზე იკერავს. ეს ამბავი თავად პორტუგალიელმა უარყო, როდესაც „კალჩო 2000"-ის ჟურნალისტს ესაუბრა:

*„იტალიელ ჟურნალისტებთან არცთუ კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ასეთი აღიარება ძალიან მსიამოვნებს. ვერ ვიტყვი, რომ თანამედროვე მოდას თვალს ვადევნებ, მაგრამ იმას კი დავადასტურებ, რომ კარგად ჩაცმა ბავშვობიდან მიყვარს. თავს გემოვნებიან ადამიანად ვთვლი და მიხარია, რომ ეს სხვებმაც აღიარეს. ხშირად მთხოვენ, რომ ერთმანეთს ინგლისი და იტალია შევადარო, ასეთი კითხვები მაბნევს, მაგრამ ახლა ვხვდები, რა მაკლდა ბრიტანეთში - მოდა. ინგლისელები ძალიან კარგად იცვამენ, მაგრამ ამ თემაზე საერთოდ არ ლაპარაკობენ. იტალიაში კი ჩაცმას უდიდესი ყურადღება ექცევა და ეს გამოკითხვაც ამისი ნათელი დადასტურებაა. სამოსს ნამდვილად არ ვიკერავ, მირჩევნია, მილანის ბუტიკებში ვისეირნო და ისე შევარჩიო სასურველი პიჯაკი თუ ფეხსაცმელი".*

იტალიელი ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ მოურინიო სპორტულ ტანსაცმელსაც კარგად იხდენს. შეგიძლიათ მიბრძანდეთ „ინტერის" საწვრთნელ ბაზაზე და ამაში თავადაც დარწმუნდებით. კიდევ ერთხელ ვთქვათ, რომ მთავარი არა კარგი ტანსაცმელი, არამედ სამოსის კარგად მორგების ხელოვნებაა. მაგალითად, **ლუიჯი დელ ნერიც** მუდამ კარგ პიჯაკებს იცვამს, მაგრამ რად გინდა... საყელო ყოველთვის გასასწორებელი აქვს, რამდენჯერმე კი ღილების არაპროპორციულად შეკვრაშია შემჩნეული. აღარაფერს ვამბობთ ჰალსტუხზე, რომელიც ყოველთვის ირიბ მდგომარეობაშია. თანაც, ისეთი სიარულის მანერა აქვს, სულ რომ იდეალურად იმოსებოდეს, მაინც არ გამოჩნდებოდა. არაა, დელ ნერი და მოდა, - როგორც ცა და დედამიწა.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ უგემოვნობაში დელ ნერის სხვა მწვრთნელმა აჯობა. ლუიჯი კარგ პიჯაკებს მაინც ყიდულობს და აი ის, საერთოდ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, გეტყვით, რომ ყველაზე უგემოვნო ადამიანი **ჩეზარე პრანდელი** გახლავთ.

დააკვირდით მის ქურთუკს, ასე XX საუკუნის დასაწყისშიც კი არ ეცვათ. პრანდელის ქურთუკი მართლაც გაოცებას იწვევს: ზომით ყოველთვის პატარაა და მასში ისეა გაჭედილი, გეგონებათ, რომ დახრჩობის პირას იყოს მისული. ფერი? - მწვანე, წითელი ან მუქი ლურჯი, რომელიც არასდროს ეხამება მის კაშნეს. და როგორ მოგწონთ დუტი სპორტულ შარვალთან ერთად? - ასე მხოლოდ მარკეტში თუ ჩაისეირნებ. რას ამბობს ამ ყველაფერზე თავად პრანდელი? - მოვუსმინოთ ჩეზარეს:

*„თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ სხვა ქურთუკის ყიდვის საშუალება არ მაქვს, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის. საბედნიეროდ, მატერიალურად ისე არ მიჭირს, რომ გარდერობის განახლება ვერ შევძლო. სიმართლე გითხრათ, ამის არანაირი სურვილი არ მაქვს. საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობ თავს იმ სამოსში, რომელსაც ასე ძალიან აკრიტიკებთ. ასეთი შეფასება ნამდვილად არ მწყენია, რადგან მოდის ტენდენციების მიმდევარი არასდროს ვყოფილვარ. ახლა მადლობის გადახდას ვაპირებდი, მაგრამ უმჯობესია გავჩუმდე, რადგან ვიცი, რომ ამის გამოც მასხრად ამიგდებთ. არადა, რადგან შეწუხდით და ჩემს ჩაცმულობაზე ამდენი იმსჯელეთ, ბუნებრივად მიჩნდება სურვილი, რომ მადლიერება გამოვხატო. ასეა თუ ისე, ახალ წელს გილოცავთ".*

პრანდელი რომ შესანიშნავი პიროვნებაა, იტალიაში კარგად იციან. ამიტომაც გაბედეს ჟურნალისტებმა და გამოკითხვის შედეგები სულ სიხარულით აცნობეს. წარმოიდგინეთ, ასეთი რამ **ფაბიო კაპელოსთვის** რომ ეთქვათ - უკეთეს შემთხვევაში, ტელეფონს უსიტყვოდ გათიშავდა, უარეს შემთხვევაში კი ჟურნალისტს უშვერი სიტყვებით აგინებდა. სიტყვამ მოიტანა და, იტალიურმა სპორტულმა რადიომ არანაკლებ საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა: ყველაზე ზრდილობიანი და უზრდელი სპეციალისტები გამოავლინეს. გამოიკითხნენ მხოლოდ და მხოლოდ ჟურნალისტები და მართლაც საინტერესო შედეგები მივიღეთ.

ყველაზე ზრდილობიან, უშუალო და სასიამოვნო მოსაუბრედ „ჯენოას" თავკაცი **ჯანპიერო გასპერინი** დაასახელეს. თურმე, როდესაც არ უნდა დაურეკოთ, ყოველთვის თავაზიანად გიპასუხებთ. სხვათა შორის, ეს მის მატჩისწინა და მატჩისშემდგომ კომენტარებშიც კარგად ჩანს. მაშინაც კი, როდესაც მისი გუნდი აშკარა ფავორიტია, შანსებს თანაბრად აფასებს და მეტოქის მიმართ კომპლიმენტებად იღვრება. გასპერინისთან ურთიერთობა ჟურნალისტებისთვის ერთი სიამოვნებაა, მაგრამ ის იშვიათი გამონაკლისია, რადგან ზოგადად, მწვრთნელები რთული ხალხია. არის ერთი სპეციალისტი, რომლისგანაც ძალიან ბევრ იტალიელ ჟურნალისტს ახსოვს წყენა - ეს ადამიანი **მარჩელო ლიპი** გახლავთ. თუ აპენინელებს დავუჯერებთ, მარტო **კასანოს** გამო, ლიპის ათი ჟურნალისტი მაინც ეყოლება გამოლანძღული. ვინც ვერ მიხვდა, თუ რა შუაშია აქ კასანო, ახლავე აგიხსნით: 2009 წელს, მედიის წარმომადგენლებმა მაესტროს ყველაზე მეტჯერ ასეთი შინაარსის კითხვა დაუსვეს: *რატომ არ იძახებთ ანტონიო კასანოს?* - ამ კითხვას მარჩელო წყობიდან გამოჰყავს. ისე, ყოჩაღ გასპერინის, იყო თავაზიანი იტალიელ ჟურნალისტებთან ურთიერთობისას, გმირობის ტოლფასია.

სხვათა შორის, მედიის წარმომადგენლებთან ლიპის თბილისშიც მოუვიდა კონფლიქტი. „სკუადრა აძურას" მთავარმა მწვრთნელმა თანამემამულეებისთვის მცირე ბრიფინგი მოაწყო, პირველივე კითხვა კი ასეთი დაუსვეს: *რატომ არ ჩამოიყვანეთ კასანო?* - მაესტრო გაცეცხლდა, აყვირდა და ბრიფინგი ჩაშალა, კითხვის ავტორი კი ასეთი სიტყვებით შეამკო: Testa di cazzo (მოგვიტევეთ, მაგრამ თავად უნდა გადათარგმნოთ).

ტელეკომპანია Rai-მ ათი ყველაზე სასაცილო გამონათქვამი გამოარჩია, რომლებიც, რაღა თქმა უნდა, ფეხბურთელებს ეკუთვნით. თითოეულ მათგანზე ნამდვილად ვერ მოგითხრობთ, მაგრამ პირველ ადგილოსანზე აუცილებლად უნდა შევაჩეროთ თქვენი ყურადღება. ალბათ უკვე ძალიან გაინტერესებთ, ვინ გაამხიარულა ასე იტალიური საფეხბურთო საზოგადოება - ვინ და **კრისტიან ვიერიმ**. ერთ დროს მრისხანე ფორვარდი ძალიან სერიოზული გამომეტყველებით წარდგა ჟურნალისტების წინაშე და განაცხადა, რომ საფეხბურთო კარიერას მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ასრულებდა. ბურთის გორება სიამოვნებას აღარ მანიჭებს, თორემ რამდენიმე წელი კიდევ შემეძლო უმაღლეს დონეზე ასპარეზობაო. ეს სიტყვები Rai-ს ეთერში, საფეხბურთო გადაცემაში გააჟღერეს, რომელსაც სტუდიაში ასობით ადამიანი ადევნებდა თვალს - წამყვანი დაეთანხმა კრისტიანს და დანანებით აღნიშნა, მასზე იმხელა მოთხოვნაა, მიკვირს, კარიერას რომ ასრულებს, ეტყობა, ფეხბურთი მართლა ძალიან მობეზრდაო - სტუდიაში დამონტაჟებულ ეკრანზე კი რამდენიმე კვირის წინ ერთ-ერთ კურორტზე გადაღებული ფოტო ჩანდა, რომელშიც ვიერი ფეხბურთელზე მეტად სუმოისტს ჰგავს. თუ რა სიცილ-ხარხარი მოჰყვა ამ ფოტოს გამოჩენას, ალბათ თავადაც ხვდებით, ვიერი კი მას შემდეგ პრესასთან ურთიერთობას აშკარად ერიდება.

აი, ასეთი ამბები ხდებოდა 2009 წელს იტალიურ საფეხბურთო სამყაროში, დანარჩენზე კი 2010-ში ვისაუბროთ.

**ლაშა ნიკლაური**


ჩეზარე პრანდელი


კრისტიან ვიერი



# მაიამი ეამა

„ლივერპულის" უკრაინელი ფეხბურთელი **ანდრეი ვორონინი**, როგორც მოსალოდნელი იყო, პრემიერლიგას დატოვებს და 2,5 მილიონი ფუნტის საფასურად ბერლინის „ჰერტაში" გადაბარგდება - ყოველ შემთხვევაში, ამ ტრანსფერს წინ არაფერი უდგას. მაგრამ, როგორც ინგლისელი პაპარაცების მიერ გადაღებული ფოტოებიდან ჩანს, 30 წლის ოდესელი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ლიგასთან განშორებას მაინცდამაინც არ განიცდის. მაშინ, როდესაც მისი ლივერპულელი თანაგუნდელები ინგლისურ ჭყაპში ვარჯიშით და სათასო თუ სხვა თამაშებით ცხრაპირ ოფლს იღვრიან, იგი და მისი პირმშვენიერი მეუღლე **იულია** ამერიკაში, მაიამი ბიჩზე ნებივრობენ.

როგორც მოგახსენეთ, უკრაინელი, რომელიც გასულ სეზონში მერსისაიდელებს ბერლინში ჰყავდათ გაქირავებული, ისევ გერმანიის გზას ადგას. „ჰერტა" ბუნდესლიგაში მეოთხე ადგილზე გავიდა და ამ საქმეში მიონხენგლადბახის „ბორუსიას", „მაინცის", „კიოლნის" და ლევერკუზენის „ბაიერის" ყოფილმა მოთამაშემ 11 გოლით მიიღო მონაწილეობა. შეადარეთ: „ლივერპულში" 27 შეხვედრაში ვორონინმა ხუთ გოლზე მეტი ვერ შეაგდო.

ცნობისათვის: მიმდინარე სეზონში „ჰერტა" 17 ტურის შემდეგ 6 ქულით ბოლო ადგილზეა. ბერლინელებს ვორონინის გადაბირება გასულ ზაფხულსაც უნდოდათ, მაგრამ „ლივერპულს" ფასზე ვერ შეუთანხმდნენ.

მერსისაიდელ წითლებს, სავარაუდოდ, დატოვებს იტალიელი **ანდრეა დოსენაც**, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მადრიდის „ატლეტიკო" ეპატიჟებოდა, როგორც ჩანს, „ნაპოლიში" გადავა. შეგახსენებთ, რომ 28 წლის მარცხენა მცველი „ლივერპულმა" 7 მილიონად „უდინეზესგან" იყიდა, მაგრამ წელიწად-ნახევარში 22 შეხვედრის მეტი არ ჩაუტარებია.

**ილია ბაბუნაშვილი**

ტრანსფერი

# ტონი რომას ფეხბურთელია

## წვეულება, თამაში, პრესკონფერენცია

სატრანსფერო ფანჯარა რამდენიმე დღეა, რაც გაიხსნა, მაგრამ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაზე ხმაურიანი გარიგება უკვე შედგა. **ლუკა ტონიმ** მიუნხენის „ბაიერნი" დატოვა და „რომაში" გადაბარგდა. ამ ტრანსფერზე კარგა ხანს საუბრობდნენ და აი შედეგიც, ტონი სერია A-ს დაუბრუნდა.

მას შემდეგ, რაც ბავარიულ კლუბს **ლუის ვან გაალი** ჩაუდგა სათავეში, ლუკამ ღრმა თადარიგში გადაინაცვლა. ეგ კი არა, განაცხადშიც იშვიათად ხვდებოდა, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ მსოფლიოს ჩემპიონი კლუბს გამოიცვლიდა. სხვა შემთხვევაში, ეს ალბათ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში მოხდებოდა, მაგრამ არა 2010 წელს. ლუკას სანაკრებო კარიერა ჯერ არ დაუსრულებია და დიდი სურვილი აქვს, რომ მსოფლიოს საფეხბურთო ფორუმზე გაემგზავროს. აქვე ვთქვათ, რომ ტონის ჯერ სრულფასოვანი კონტრაქტი არ გაუფორმებია, ის მხოლოდ არენდის წესით იასპარეზებს დედაქალაქურ კლუბში. საიჯარო ხელშეკრულება ივნისამდეა გათვლილი, თუმცა აქედანვე გადაწყვეტილია, რომ თუ მხარეები თანამშრომლობით კმაყოფილნი დარჩნენ, ზაფხულში ხანგრძლივვადიანი კონტრაქტი გაფორმდება. სხვათა შორის, „რომაში" გადასვლით ლუკამ 1.5 მილიონ ევროზე თქვა უარი. საქმე იმაშია, რომ ნახევარ სეზონში ფეხბურთელი მხოლოდ 3.1 მილიონ ევროს მიიღებს, მიუნხენში დარჩენის შემთხვევაში კი 4.6 მილიონით გამდიდრდებოდა.

მსოფლიოს ჩემპიონი ნამდვილად არ მისტირის იმ მილიონ-ნახევარს, პირიქით, უბედნიერესია, რომ ბედი „რომას" დაუკავშირა. იტალიის დედაქალაქში ჩასვლისთანავე, დიდი საახალწლო წვეულება მოაწყო, რომელზეც მეგობრები და ახალი თანაგუნდელები დაპატიჟა. ეს ყველაფერი 31 დეკემბერს მოხდა, გუშინ დილით კი „ჯალოროსის" შემადგენლობაში პირველი შეხვედრა გამართა. „რომა" ამხანაგურად თანაქალაქელ „ჩისკოს" ეპაექრა, ლუკამ კი 61 წუთი დაყო მინდორზე. მართალია, გოლი არ გაუტანია, მაგრამ საგოლე პასი მიითვალა აქტივში. აღსანიშნავია, რომ ამ ერთი შეხედვით უინტერესო პაექრობას 15 ათას გულშემატკივარზე მეტი დაესწრო. ბუნებრივია, ამის მიზეზი რომაული კლუბის ახალი შენაძენი, ლუკა ტონი გახლავთ. თამაშის შემდეგ „ბაიერნის" ექსფორვარდმა პრესკონფერენცია მოაწყო და შემდეგი განაცხადა:

*„უბედნიერესი ადამიანი ვარ, რადგან იმ გუნდში გადავედი, რომელშიც ყოველთვის მსურდა თამაში. ჩემი მიზანია „ჯალოროსის" მაისურით რაც შეიძლება მეტი გოლი გავიტანო და ტროფეებისთვის ვიბრძოლო. თუ დამიჯერებთ, ასეთი ენთუზიაზმი კარიერის საწყის წლებშიც კი არ მქონია. ალბათ, არ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ ჩემი მთავარი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებაა. მიუნხენის „ბაიერნში" აღარ მენდობოდნენ და ნათელი იყო, რომ თუ კლუბს არ გამოვიცვლიდი, მუნდიალზე ვერ გავემგზავრებოდი. „რომაში" მაფასებენ, მენდობიან და დარწმუნებული ვარ, რომ მარჩელო ლიპის ყურადღებას მივიქცევ".*

ტონიმ **გაბრიელ ბატისტუტა** გაიხსენა და იმედი გამოთქვა, რომ ისევე წარმატებით იასპარეზებს „ჯალოროსიში", როგორც თავის დროზე არგენტინელი თამაშობდა: *„ბატისტუტამ „ფიორენტინაში" ასპარეზობით გაითქვა სახელი, შემდეგ კი „რომაში" გადავიდა და სკუდეტო მოიგო. იმედია, მეც ასევე გამიმართლებს და დედაქალაქურ კლუბთან ერთად დიდ წარმატებებს მივაღწევ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „ჯალოროსის" მესვეურებს, მათ უდიდესი ნდობა გამომიცხადეს, რასაც აუცილებლად გავამართლებ".*

ტონის ტრანსფერს „ტრიგორიაზე" ალტაცებით შეხვდნენ, კლუბის პრეზიდენტის, **როზელა სენსის** სიტყვები ამის ნათელი დადასტურებაა: *„ძალიან კმაყოფილი ვარ და მჯერა, რომ ლუკასთან ერთად, უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ეს არის ყველაზე დიდი ტრანსფერი, რომელიც ჩემი პრეზიდენტობის დროს განხორციელდა. მართალია, ჯერჯერობით საიჯარო ხელშეკრულებაა გაფორმებული, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ზაფხულში სრულფასოვან კონტრაქტს მოვაწერთ ხელს".*

ტონის ტრანსფერს „რომას" ყოფილი თავკაცი **ლუჩანო სპალეტიც** გამოეხმაურა: *„ლუკას სახით „რომამ" სერიოზული შევსება მიიღო. ყველაფერთან ერთად, აღნიშნული ტრანსფერი გუნდის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც დადებითად აისახება. მსოფლიოს ჩემპიონია, გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. როდესაც ფეხბურთელებს თვითრწმენა აკლიათ, იქ სერიოზულ წარმატებებზე ლაპარაკი ზედმეტია. შეიძლება ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ ვფიქრობ, რომ „რომა" მიმდინარე სეზონში სკუდეტოსთვის იბრძოლებს".*

**ლაშა წიკლაური**




## ვიოლას პირველი შენაძენი

პირველი შენაძენი გააკეთა ფლორენციის „ფიორენტინამ", გაიფორმა რა „უდინეზეს" უკანახაზელი **ფელიპე დიასი**. ხელშეკრულება საიჯაროა, ხანგრძლივვადიანი კონტრაქტის გაფორმების პერსპექტივით. „ვიოლა" ერთბაშად სამ ფრონტზე იბრძვის და ბუნებრივია, რომ კლუბის მესვეურები შევსებაზე სერიოზულად ფიქრობენ, როგორც ხედავთ, ზრუნავენ კიდეც.

ფელიპე ბედნიერია ახალ კლუბში გადასვლით, რაც ჟურნალისტებთან საუბრისას არ დაუმალავს: *„შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ძალიან დიდი სურვილი ავისრულე. „ფიორენტინასთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში ვიასპარეზებ, რაზეც ყოველთვის ვოცნებობდი. „ვიოლაში" დიდი კონკურენციაა, თუმცა ეს არ მაშინებს. ჩეზარე პრანდელიმ კარგად იცის ჩემი შესაძლებლობები და ამადაც გახლდათ ტრანსფერის მთავარი ინიციატორი. ვფიქრობ, სასტარტო შემადგენლობაში ფეხს მოვიკიდებ და გუნდს წარმატებების მიღწევაში დავეხმარები".*

**ლაშა წიკლაური**

მოსალოდნელი ტრანსფერები



ემილ ჰესკი


პატრიკ ვიეირა

# მდიდრები ბაზარზე გავიდნენ

„ჩელსი" და „მანჩესტერ სიტი" იანვრის სატრანსფერო ბაზარზე **ემილ ჰესკისა** და **პატრიკ ვიეირას** მოთხოვნით შევიდნენ. ლონდონელთა მწვრთნელს **კარლო ანჩელოტის** აფრიკის თასზე ოთხი კვირით გაშვებული **დიდიე დროგბას** შემცვლელი გოლების გამტანი სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი შიშობს, რომ სასურველ შედეგებს ველარ მიაღწევს და ლიდერობას დაკარგავს. არადა, ამ სეზონში „ლურჯები" ლამის უკვე გამარჯვებულებად გამოაცხადეს.

ასე და ამგვარად, უახლოეს დღეებში ლონდონიდან ბირმინგემში, „ასტონ ვილას" საბაკო ანგარიშზე, 4 მილიონი ფუნტის გადარიცხვაა მოსალოდნელი, სანაცვლოდ კი ინგლისის ნაკრების ფორვარდი, ჰესკი მანქანაში ჩაჯდება და დედაქალაქისკენ გაეშურება. ჰესკი 32 წლისაა და „ასტონ ვილაში" იშვიათი თამაშის გამო შესაძლოა ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომ** აღარ გამოიძახოს. ამიტომ მისი ბირმინგემიდან სხვა გუნდში გადასვლა მაინცდამაინც მოულოდნელი არ უნდა იყოს, თუმცა მისი შეძენა „ლივერპულს", „უიგანსა" და „სანდერლენდსაც" სურთ. „ვილას" მწვრთნელმა, **მარტინ ონილმა** თავდამსხმელის გაყიდვა არ დაადასტურა, მაგრამ არც უარყოფით მოუკლავს თავი: *„ამ ინფორმაციას არ ვადასტურებ. ფეხბურთელების გაყიდვა ნამდვილად არ მსურს, თუმცა სატრანსფერო სეზონია და რა მოხდება, წარმოდგენა არ მაქვს".*

რაც შეეხება ანჩელოტის თანამემამულეს, „მანჩესტერ სიტის" ახალ თავკაცს **რობერტო მანჩინის**, მას ფრანგ ვეტერანთან, **პატრიკ ვიეირასთან** სურს თანამშრომლობის აღდგენა. მოგეხსენებათ, მანჩინი იტალიაში „ინტერს" ედგა სათავეში, ვიეირა კი სანსიროელთა გუნდში თამაშობდა. მათ, ერთობლივად, ორჯერ მოიპოვეს „სკუდეტო".

ცნობისათვის: სწორედ რობერტო მანჩინი გახლდათ ის მწვრთნელი, რომელმაც პატრიკ ვიეირა, 2006 წელს, 8 მილიონი ფუნტის ეკვივალენტურ თანხად (მაშინდელი კურსით) „იუვენტუსიდან" გადაიბირა. შემდეგ კი „ინტერის" თავკაცის თანამდებობაზე მანჩინი **ჟოზე მოურინიომ** შეცვალა და ვიეირაც „ნერაძურის" ძირითადის იშვიათი მონაწილე გახდა.

ვიეირა ივნისში 34 წლის გახდა. ვეტერან ვარსკვლავს ძალიან უნდა საფრანგეთის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატში თამაში, მაგრამ ისე ნუ წარმოიდგენთ, თითქოს „ბერიკაცი" ახალგაზრდობას ეპოტინებოდეს - ვიეირას შეძენით გარდა მარტო „მანჩესტერ სიტი", „ტოტენჰემი" და მისი ყოფილი გუნდი, „არსენალიც" არიან დაინტერესებულნი. მოკლედ, კონკურენციაა, თუმცა, იტალიური წყაროების თანახმად, მანჩინიმ პირადი ნაცნობობა დაატრიალა და ფეხბურთელის ქირით გადაყვანის საქმე გვარიანად წასწია წინ.

თუმცა, როგორც ამბობენ, „მანჩესტერ სიტის" არაბი მეპატრონეების ფულით ჯიბეგავსებულმა მანჩინიმ სატრანსფერო ბაზარს სხვა გეგმებითაც მიაშურა. ეს გეგმები ვიეირას შეძენაზე გაცილებით დიდია, სულ მცირე 40-მილიონიანი - ფუნტზეა ლაპარაკი. კერძოდ, ამბობენ, ისტლენდელები მადრიდის „ატლეტიკოს" არგენტინელი და „ბაიერნის" ფრანგი ვარსკვლავების, **სერხიო აგუეროსა** და **ფრენკ რიბერის** ყიდვას ეშურებიანო.

**ილია ბაბუნაშვილი**

# მილანი კასანოს უმიზნებს

კარგა ხანს ამბობდა **ადრიანო გალიანი**, ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას არ ვაპირებთო, თუმცა, „პალერმოსთან" განცდილი მარცხის შემდეგ სულ სხვანაირად ალაპარაკდა. მაშინ „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა შემდეგი განაცხადა:

*„უნდა ვაღიაროთ, რომ სიცილიელებმა ეს გამარჯვება დაიმსახურეს. ყველა კომპონენტში დაგვჯაბნეს და სამი ქულა წაიღეს. ჩვენ კი ნათლად დავინახეთ, რომ ერთი კარგი გარემარბის დამატება არ გვაწყენდა. ალეშანდრე პატო და რონალდინიო თავის საქმეს ჩინებულად აკეთებენ, მაგრამ თუ რომელიმე მათგანი მწყობრიდან გამოვიდა, გამოუვალ მდგომარეობაში ვვარდებით. ასე რომ, ამ საკითხზე სერიოზულად გვმართებს დაფიქრება და მეტიც, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა".*

გალიანი მართალია, გარემარბად არც **კლას იან ჰუნტელაარი** ვარგა, არც **მარკო ბორიელო** და მით უმეტეს, არც **ფილიპო ინძაგი**. ამიტომ, იტალიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება. თუ „გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, „მილანი" მზადაა გენუის „სამპდორიადან" **ანტონიო კასანო** გადაიბიროს. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ჭირვეული ფორვარდი ჯერ კლუბის მესვეურებს წაეკიდა, შემდეგ კი გულშემატკივრებთანაც გაიფუჭა ურთიერთობა. ასე რომ, სწორედ ის დრო უდგას, ახალ ნავსაყუდელზე იფიქროს - **ლეონარდოსთვის** კი კასანოს გადაბირება, წესით, იდეალური ვარიანტი უნდა იყოს. ანტონიო შესანიშნავად ფლობს ბურთს და რაც მთავარია, უნივერსალური თვისებებით გახლავთ დაჯილდოებული: ფლანგზეც შეუძლია თამაში, ცენტრფორვარდის პოზიციაზეც და პლეიმეიკერადაც. ლეოს სწორედ ასეთი შემტევი სჭირდება და ეს არაერთხელ აქვს ნათქვამი. თუ მილანელებმა კასანო გადაიბირეს, **რონალდინიოს** და **ალეშანდრე პატოს** ღირსეული შემცვლელი ეყოლებათ. შეგვიძლია მეორე ვარიანტიც განვიხილოთ: მაგალითად, პატო ცენტრფორვარდის პოზიციაზე, რონი და კასანო კი ფლანგებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტონიოს გამთამაშებლადაც შეუძლია თამაში და თუ ლეონარდო რომბისებურ 4-4-2-ს აირჩევს, ფორვარდების უკან მისი გამწესება თავისუფლად შეეძლება. მოკლედ, ცხადზე ცხადია, რომ კასანო „მილანს" ძალიან სჭირდება. რაც მთავარია, ბრაზილიელი სპეციალისტი კასანოს ჭირვეულ ხასიათს არ უშინდება და მზად არის, მასთან უშუალო, მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს.

ამ საკითხზე ჯერჯერობით არაფერი უთქვამს თავად კასანოს, მაგრამ, სავარაუდოდ, „მილანში" გადასვლის წინააღმდეგი არ უნდა იყოს. შესაძლოა, ერთი წლის წინ არ ეჩქარა გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ დღეს სხვა რეალობაა - ანტონიოს გენუაში აღარ დაედგომება და ამ ზამთარს თუ არა, ზაფხულში მაინც მოუწევს ნავსაყუდელის გამოცვლა. ამიტომ, მილანურ ვარიანტზე, წესით უარი არ უნდა თქვას. თუ „გაძეტა დელო სპორტს" ვენდობით, ამ გარიგებას მხოლოდ ფინანსური საკითხები თუ შეაფერხებს. ავტორიტეტული გამოცემა გვიმტკიცებს, რომ წამყვანი ფეხბურთელის სანაცვლოდ გენუელები 25 მილიონ ევროს მოითხოვენ, რაც ეკონომიკური კრიზისის პირობებში მართლაც რომ დიდძალი თანხაა. ვნახოთ, უახლოეს დღეებში ბევრ რამეს უნდა მოეფინოს ნათელი.

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასული წლის უცნაური მოვლენები



34 პენალტი!


მასიმო ბუსაკა



დარენ ბენტის გოლი

# შეშლილი, შეშლილი, შეშლილი 2009

**მკვდარი, რომელიც სინამდვილეში ცოცხალია; მეკარე, რომელიც კარს აპატარავებს; მსაჯი, რომელიც გულშემატკივრებს შუათითს უჩვენებს; ზარმაცი ფეხბურთელი, რომელიც ტრამვაიში ჯდება და პლასტიკატის ბურთი, რომელიც პრემიერლიგის მატჩის ბედს წყვეტს... მოკლედ, თქვენ წინაშეა 2009 წლის კურიოზული და უცნაური მოვლენები...**

**2 იანვარი**
18 გაძევება ერთ მატჩში

ესპანეთის მოყვარულთა ლიგაში გამართული მატჩი, რომელშიც ერთმანეთს ლინენსეს „რეკრეატივო" და ალხესირასის „სალადილო" ხვდებოდნენ, ადგილობრივ გულშემატკივრებს არასდროს დაავიწყდებათ. ყურადღების ცენტრში იყო მატჩის მთავარი არბიტრი **ხოსე მანუელ ბარო ესკანდონი**, რომელმაც 54-ე წუთზე მასპინძელთა ერთ-ერთ ფეხბურთელს წითელი ბარათი აუფრიალა. მოთამაშეები და მაყურებლები მსაჯს იმდენად არ დაეთანხმნენ, რომ მოედანზე მასობრივი შეხლა-შემოხლა და მუშტი-კრივი გაჩაღდა. ესკანდონმა მატჩი შეწყვიტა, მოგვიანებით გუნდები გასახდელებში მოინახულა და საერთო ჯამში 18 ფეხბურთელს წითელი ბარათი აუფრიალა.

**22 იანვარი**
უკაცრავად, მაგრამ
ჩემი ქმარი ცოცხალია!

წუთიერი დუმილი, მისასამძიმრებელი ტრანსპარანტები, სტადიონის დიქტორის ჭირისუფლური ხმა - ინგლისური მოყვარულთა გუნდის, „ბიშოპ აუკლენდის" ფეხბურთელები ამ გუნდის ძველი ფეხბურთელის, **ტომი ფარერის** გარდაცვალების ცნობით ძალიან იყვნენ დამწუხრებულები. მეორე დღეს გუნდის მენეჯერმა **ტერი ჯექსონმა** ფეხბურთელის ქვრივს დაურეკა და პირადად სურდა მისამძიმრება, მაგრამ ჰოი საოცრებავ, მისის ფარერმა ჯექსონს უთხრა, რომ მისი მეუღლე ცოცხალია და ორიოდ წუთის წინ, ახალი გაზეთების საყიდლად კიოსკისკენ წავიდა. *„რა ხუმრობაა? - თქვა სახლში დაბრუნებულმა მისტერ ფარერმა, რომელიც 86 წლისაა, - ისე, ძალიან მიხარია, რომ გუნდმა ასეთი პატივი მომაგო. ამას ნამდვილად არ ველოდი. რაც არ უნდა იყოს, ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას მერე, რაც ამ გუნდში უკანასკნელად ვითამაშე".*

„ბიშოპ აუკლანდის" ხელმძღვანელებმა მისტერ ფარერს, რა თქმა უნდა, მოუბოდიშეს და დიდხანს სიცოცხლე უსურვეს.

**4 თებერვალი**
აიაქსის ფეარ პლეი

ჰოლანდიის თასის მატჩის დროს „აიაქსის" ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო, რის გამოც „კამბურის" მოთამაშეებმა ბურთი პატიოსნად გადააგდეს აუტში. ამსტერდამელებმა იცოდნენ, რომ მეტოქისთვის ბურთი უნდა დაებრუნებინათ, მაგრამ „აიაქსის" ფეხბურთელმა დარტყმისას ტრაექტორია ვერ გათვალა და 40 მეტრის დისტანციიდან გოლი გაიტანა! ამსტერდამელებს, რა თქმა უნდა, შერცხვათ და გულის სიღრმეში არც მსაჯს სურდა გოლის ჩათვლა, მაგრამ ვერაფერს გახდებოდა და თითი მოედნის ცენტრისკენ გაიშვირა. მაგრამ „აიაქსმა" იმავე წუთზე „კამბურს" გოლი გაატანინა - ამსტერდამელები არც კი განძრეულან...

**8 მარტი**
მსაჯმა მეკარეს პენალტის აღება სთხოვა

ბელგიის პირველი ლიგის მატჩის დროს „გენტსა" და „ტუბიცეს" შორის, არბიტრმა **პეტერ ვერვეკენმა** პენალტი დანიშნა და მერე მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა. ყოველ შემთხვევაში, სტუმართა მეკარე **ნიკოლას არდუინი** მატჩის შემდეგ ამბობდა: *„მსაჯი მეუბნებოდა, ძალიან გთხოვ, გადამარჩინე, ეს პენალტი აიღეო."* თვითონ არბიტრი კი ასეთ ფაქტს უარყოფდა და აცხადებდა: *„როგორც ჩანს, არდუინმა ვერ გაიგო, რა ვუთხარი. მე ის გავამხნევე და ვეუბნებოდი, გამოასწორე შეცდომა-მეთქი."*

**26 მარტი**
სირბილი? არ ჯობია,
ტრამვაით წავიდე?

ხსენებულ დღეს, მესამე ბუნდესლიგაში მოასპარეზე კლუბ „ბრაუნშვაიგის" ხელმძღვანელებმა ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ 18 წლის ფეხბურთელი **სელიმ აიდემირი** გუნდიდან მოკვეთილი და დისკვალიფიცირებულია. მიზეზი ოფიციალურად არ დასახელებულა, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, თუ რატომ დაისაჯა ახალგაზრდა მოთამაშე. გუნდური კროსის დროს თავდამსხმელს სირბილი დაეზარა და ხრიკი მოიფიქრა: ერთ-ერთ უბანში ის ტრამვაიში შეხტა, მომდევნო კვარტალში ჩამოვიდა და გუნდს იქ შეუერთდა. ზაფხულში აიდემირი „ბრაუნშვაიგიდან" გააგდეს. როგორც ჩანს, ამ კლუბის შეფები იუმორთან მწყრალად არიან.

**1 მაისი**
22 წლის ხულიგანი

ავსტრიის მეორე ლიგის კლუბის, „ლუშტენაუს" ფეხბურთელ **მარტინ დოლინგერს** „აუსტრიასთან" დერბიში არ უთამაშია, რადგან განაცხადში არ შეიყვანეს და შეხვედრას თვალყური ტრიბუნებიდან მიადევნა. უკანასკნელ წუთამდე ანგარიში 1:1 იყო, მსაჯის მიერ დამატებულ დროში კი „აუსტრიას" ფეხბურთელებმა გამარჯვების გოლი გაიტანეს, რამაც 22 წლის დოლინგერი ისე განარისხა, რომ საფინალო სასტვენის შემდეგ მეტოქეს გასახდელში შეუვარდა და ფეხბურთელებს ჩხუბი აუტეხა, მერე კი მსაჯს და მატჩის კომისარსაც გააწნა თითო-თითო სილა. დოლინგერი, რა თქმა უნდა, პოლიციამ დააკავა. ის გუნდიდან უვადოდ მოკვეთეს და 20-მატჩიანი დისკვალიფიკაციაც მიუსაჯეს. დოლინგერმა მხოლოდ ახლაღა მოახერხა თამაშის განახლება - ხულიგანი მოთამაშე ჰოლანდიაში ასპარეზობს და „ფორტუნა სიტარდის" ფეხბურთელია.

**2 მაისი**
პენალტების წვიმა

როდესაც „ოლიმპიაკოსის" მეკარე **ანტონიოს ნიკოპოლიდისი** საბერძნეთის თასის ფინალში, თერთმეტმეტრიანის დასარტყმელად ემზადებოდა, თამაშის დაწყებიდან 195 წუთი (!) იყო გასული! შეხვედრის ძირითადი დრო 3:3 დამთავრდა, დამატებული ტაიმების შემდეგ კი ტაბლოზე 4:4 ეწერა. სანამ ნიკოპოლიდისი პენალტს დაარტყამდა, მას 17-ჯერ დაურტყეს თერთმეტმეტრიანი. აქედან, 2 მოიგერია, ერთი ძელს მოხვდა, დანარჩენი კი გაუშვა. პენალტების სერიაში ანგარიში 14:14 იყო. ნიკოპოლიდისმა დაარტყა და გაიტანა - „ოლიმპიაკოსი" თასის მფლობელი გახდა.

*„სწორედ ამიტომ არის ფეხბურთი პლანეტის ულამაზესი სპორტი!"* - განაცხადა მატჩის შემდეგ ბედნიერმა მეკარემ. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა: 34 პენალტი არ არის რეკორდი! 1975 წელს, არგენტინის თასის მატჩის ბედი მხოლოდ 44-ე თერთმეტმეტრიანის შემდეგ გადაწყდა!

**20 სექტემბერი**
როცა მსაჯი მაყურებლებს აგინებს

ორი აზრი არ არსებობს: **მასიმო ბუსაკა** შვეიცარიაში საუკეთესო მსაჯია. მეტიც: ბუსაკა მსოფლიო მასშტაბითაც ერთ-ერთ საუკეთესო არბიტრად მიიჩნევა, რადგან რეგულარულად მსაჯობს ჩემპიონთა ლიგაში და ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე. შესაბამისად, მას უკვე ძალიან ბევრი რამ აქვს გამოცდილი. 20 სექტემბერს კი, გამოცდილ მსაჯს ძალიან მძიმე დღე ჰქონდა. შვეიცარიის თასის მატჩის დროს, რომელშიც ერთმანეთს „ბადენი" და „იანგ ბოიზი" ხვდებოდნენ, სტუმართა გუნდის ქომაგები ბუსაკას რამდენიმე წუთის განმავლობაში შეურაცხყოფდნენ. ბუსაკა ისე გაბრაზდა, რომ გულშემატკივრებს შუა თითი უჩვენა! ამის გამო მას სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. მოგვიანებით არბიტრმა ბოდიში მოიხადა.

**22 სექტემბერი**
მეკარემ კარი დააპატარავა

შვედეთის ჩემპიონატში, „გიოტებორგსა" და „ორებროს" დაპირისპირების დაწყებიდან 20 წუთი იყო გასული, როცა მსაჯმა **შტეფან იუჰანსონმა** „იყნოსა", რომ რაღაც ვერ იყო წესრიგში. მართლაც: აღმოჩნდა, რომ სტუმართა კარი პატარა იყო! სტუმართა გუნდის კარი თვითონ მეკარემ, **კიმ კრისტიანსენმა** დააპატარავა, რომელმაც მოგვიანებით თქვა: *„ზოგ სტადიონზე ძელები არ არის ხოლმე მყარი და აქაც ასე იყო. შესაბამისად, კარი რამდენიმე სანტიმეტრით დავაპატარავე. სინდისი ნამდვილად არ მქენჯნის, ასეთი რამ ხშირად გამიკეთებია. კარის ძელების სიმყარეზე მასპინძლებმა უნდა იზრუნონ და ასეთი შემთხვევებისგან თავი დაიზღვიონ. თუ არადა, მსაჯი უნდა იყოს ფხიზლად."*

მეკარეს მსაჯი იუჰანსონიც დაეთანხმა და „გიოტებორგის" კარის დარაჯი არ დაუსჯია...

**17 ოქტომბერი**
ბურთმა ბურთი გაიტანა

ინგლისის პრემიერლიგა, „სანდერლენდისა" და „ლივერპულის" მატჩის მეოთხე წუთი: **დარენ ბენტმა** მეტოქის კარისკენ დაარტყა. ბურთი მოედანზე გადმოგდებულ დიდ „წყლის ბურთს" მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და კარში გავიდა! მსაჯმა გოლი ჩათვალა და ეს იყო გოლი, რომელმაც შეხვედრის ბედი გადაწყვიტა. ამის გამო, საფეხბურთო ინგლისი „ლივერპულს" მთელი კვირის განმავლობაში დასცინოდა. ყველაზე სასაცილო ის არის, რომ ის ბურთი „ლივერპულის" ფანის გადმოგდებული იყო, რადგან მასზე სწორედ მერსისაიდელთა ლოგო იყო დახატული.

მეორე დღეს ფან-შოპში პლასტიკატის ყველა ბურთი გაიყიდა და მომდევნო ტურში, „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრაში ფანებმა მოედანზე ასამდე ასეთი ბურთი გადმოაგდეს.

**21 ნოემბერი**
ცხოველთმოყვარე მეკარე

ხორვატული „ჩაკოვეჩის" მეკარე **ივან ბანოვიჩმა** ერთ-ერთი მატჩის დროს შენიშნა, რომ მის საჯარიმოში კატა ნებივრობდა, ცხოველი შეეცოდა, დაიჭირა, „საშიში ზონიდან" გაიყვანა და კარის უკან, 20 მეტრის მოშორებით დასვა. მატჩის არბიტრმა ბანოვიჩის ცხოველთმოყვარეობისა ვერაფერი გაიგო და მეკარეს მოედნის დატოვებისთვის ყვითელი ბარათი უჩვენა. სამაგიეროდ, ცხოველების დაცვის ორგანიზაცია „პეტამ" ბანოვიჩი ცხოველთა გმირად შერაცხა...

**გოტფრიდ ლენცი**


ანტონიოს ნიკოპოლიდისის პენალტი


ტომი ფარერი ცოცხალია!


სელიმ აიდემირი

ქართული სპორტი

მთავარი რედაქტორის სვეტი

## ვისწავლოთ შეცდომებზე

შეცდომებზე ჭკუის სწავლაც ერთი სიბრძნეთაგანია. მით უფრო, თუ ეს შეცდომები საკუთარია. 2009 წელი, ვფიქრობთ, ოპტიმისტურ ნოტზე დავასრულეთ. რას ვგულისხმობთ და რა გვაძლევს ამის თქმის უფლებას? ის, რომ ბოლო ხანებში იერარქიის ყველა საფეხურზე, არათუ აფერადებენ ქართულ სპორტში შესამჩნევ ნაკლოვანებებს, არამედ საერთოდ აღარ ჩქმალავენ. თვითკრიტიკა უცხო რამ აღარ არის, თუმცა არცთუ იშვიათად ქვეტექსტში ნიშნისმოგებაც შეინიშნება. თავს მეტწილად ახლა ის ხალხი იწონებს, ვისაც თავის დროზე არ დაუჯერეს და უპრინციპობამ თუ აჩქარებამ სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა. ავიღოთ ფეხბურთი, გავიხსენოთ ძიუდო ანდა გაცილებით 2009 წლის ნაკლებრეზონანსული სხვა მოვლენები.
აშკარად შეინიშნება ერთი ტენდენცია, რომელზეც აუცილებლად ღირს ყურადღების გამახვილება. რაც უფრო დაუფარავად, ხმამაღლა და საჯაროდ ვაღიარებთ ქართულ სპორტში თავჩენილ ნაკლოვანებებს, მით უფრო მეტი და მეტი პრობლემები გამოდის წინა პლანზე. ეს კარგია, იმიტომ, რომ ხარვეზები თავისით არ გამოსწორდება და მას რაც უფრო მეტს და მეტხანს ნავაყრით ნაცარს, მით უარესი. ბოლოს და ბოლოს, ჩვენს გამოსასწორებელს სხვა არ მიხედავს, სპორტი კი დინამიკური, სწრაფად წინმავალი სფეროა და დახანება პირდაპირპროპორციულია ჩამორჩენა-მაჩანჩალობისა. გვინდა ეს? ცხადია, არ გვინდა. ამიტომაც სპორტული პრესა განზე ვერ დარჩება, მიგვაჩნია, რომ მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართულ სპორტულ სამყაროში მასმედიის უფრო აქტიური ჩართულობა და პროცესებში უშუალო მონაწილეობა, რაც, მაგალითად, „ლელოსთვის" არასდროს ყოფილა უმნიშვნელო რამ. კვლავაც შეუზღუდავად მიეცემა გასაქანი ჩვენს გაზეთში აზრთა სხვადასხვაობას, ხომ თქმულა: „ბევრი მოსაზრება ბევრ შეცდომას აგვაცილებს", ანუ ნაკლებს ვინანებთ. შეცდომების მხილება და სამომავლო გეგმებზე გათვლით მისი ანალიზის აუცილებლობა კი კითხვის ნიშნის ქვეშ აღარასოდეს უნდა დადგეს. მხოლოდ ასე მოვიმკით სასურველ შედეგს, რომელიც ყველამ კარგად ვიცით, რა წონისაც არის.

რაგბი — ლეგიონერები



მამუკა გორგოძე (მარჯვნივ)

# აქვსენტი ლიდერია, ხინჩაგიშვილმა ლელო მიითვალა, გორგოძემ ისევ იჩხუბა

საშობაო არდადეგების შემდეგ საფრანგეთის ელიტური, პირველი დივიზიონის გუნდებმა ზედიზედ ორი ტურის შეხვედრები გამართეს. მე-16 და მე-17 ტურების მატჩების მერე პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლა საგრძნობლად გაცხარდა. მედლებისთვის მებრძოლთა რაოდენობა ცხრა გუნდამდე გაიზარდა, მათ შორისაა ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდი - „კასტრი", „კლერმონი", „ტულონი" და „ბრივი".

**აქვსენტი გიორგაძის** „კასტრმა", რომელიც გათამაშების ლიდერია, ორივე ტურის შეხვედრები დამაჯერებლად მოიგო და სატურნირო ცხრილში უახლოეს მდევარ **დავით ზირაქიშვილის** „კლერმონს" ოთხი ქულით გაუსწრო.

მე-17 ტურში კასტრელებმა აუტსაიდერ „ალბის" უმასპინძლეს და დიდი ანგარიშით - 44:10 დაამარცხეს. გიორგაძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო.

საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივმა". მე-16 ტურში, 30 დეკემბერს, სტუმრად „კლერმონთან" კატასტროფული მარცხის შემდეგ - 10:52, ბრიველებმა საკუთარ მოედანზე ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი „პერპინიანი" დაამარცხეს - 29:9.

ხინჩაგიშვილმა, რომელმაც სრულად ითამაშა, მე-14 წუთზე კატალონიელებს ლელო გაუტანა და გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. „ბრივმა" ამ გამარჯვების მერე 38 ქულა დააგროვა, მე-9 ადგილზეა და მიუხედავად ამისა, პლეი ოფში ანუ საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის კარგი შანსი აქვს.

სტუმრად ბასკურ „ბიარიცთან" დამარცხდა **მამუკა გორგოძისა და გიორგი ჩხაიძის** „მონპელიე" - 10:26. ჩხაიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. გორგოძე თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო. მე-16 ტურში კი მონპელიელებმა შინ დაამარცხეს ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი „სტად ფრანსე" - 25:23. მატჩის მთავარი პერსონაჟი გორგოძე იყო, მან რაკში თამაშისას მეტოქის განზრახ უხეში თამაში ვერ აიტანა და სამ პარიზელს მუშტების სეტყვა დააყარა. „გულივერა" არბიტრმა ათი წუთით გააძევა.

პარიზელები მე-17 ტურში ფრეს - 6:6 დასჯერდნენ **გოდერძი შველიძისა და ბექა შეყლაშვილის** „მონტობანთან". შველიძე თამაშში 55-ე წუთიდან ჩაერთო. შეყლაშვილი განაცხადში არ იყო.

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

**XVII ტური: ბიარიცი - მონპელიე 26:10, ბრივი - პერპინიანი 29:9, მონტობანი - სტად ფრანსე 6:6, მეტრო რასინგი - ბურგუენი 17:18, კასტრი - ალბი 44:10, კლერმონი - ტულონი 39:3**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. კასტრი - 56 ქულა, 2. კლერმონი - 52, 3. მეტრო რასინგი - 48, 4. ტულუზი - 45, 5. პერპინიანი - 45, 6. ბიარიცი - 42, 7. ტულონი - 42, 8. სტად ფრანსე - 41, 9. ბრივი - 38, 10. მონპელიე - 33, 11. მონტობანი - 32, 12. ბურგუენი - 31, 13. ბაიონი - 24, 14. ალბი - 19.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ერთა თასი

# ოთხი ქართველი რუსეთის ნაკრებში

ევროპის ერთა თასზე, რომელიც 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპია, საქართველოს ნაკრები რუსეთის ეროვნულ გუნდს გათამაშების ბოლო მატჩში 20 მარტს დაუპირისპირდება. რუსები 7 იანვარს სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრებიან საწვრთნელ შეკრებაზე, სადაც სამ საკონტროლო შეხვედრას გამართავენ.

რუსთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ნიკოლაი ნერუშმა** თან 34 მორაგბე იახლა. მათ შორის ოთხი ქართველია: **გიორგი მინაძე, კარლო მაღლაკელიძე** (ორივე - პენზა), ძმები **გრიგორი და ვალერი ცნობილაძეები** (ორივე - სმენა). მინაძეს და მაღლაკელიძეს რუსეთის ნაკრებში უკვე უთამაშიათ, ძმებმა ცნობილაძეებმა კი რუსეთის მოქალაქეობა ახლახან მიიღეს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**საქართველოს რაგბის კავშირი და ქართული სარაგბო თემი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების წევრი, კლუბ „ლოკომოტივის" მოთამაშე, ვეტერანი მორაგბე**
**გია გიუნაშვილი**
**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

ჭადრაკი

## ფიდეს რჩეულნი

გასული წლის სექტემბრიდან ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია ყოველ ორ თვეში ერთხელ აქვეყნებს მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეთა რეიტინგ-ლისტებს. 2009 წლის დეკემბრის მიწურულს მამაკაცთა ტოპ-ასეულს 2810 პუნქტით სათავეში ჩაუდგა ნორვეგიელი ვუნდერკინდი **მაგნუს კარლსენი**. საუკეთესო ათეულში მომდევნო ადგილებზე მოდიან ბულგარელი **ვესელინ ტოპალოვი** (2805), ინდოელი **ვიშვანათან ანანდი** (2790), რუსი **ვლადიმირ კრამნიკი** (2788), სომეხი **ლევონ არონიანი** (2781), ისრაელელი **ბორის გელფანდი** (2761), აზერბაიჯანელი **ვუგარ გაშიმოვი** (2759), უკრაინელი **ვასილი ივანჩუკი** (2749), ჩინელი **ვან იუე** (2749) და რუსი **პიოტრ სვიდლერი** (2744).

მამაკაცების 2700-იანთა კლუბში დაიმკვიდრა ადგილი ქართველმა დიდოსტატმა **ბაადურ ჯობავამ**, რომელიც 2704 პუნქტით პირველ ასეულში ოცდამეთორმეტეა. იგი სათავეში უდგას საქართველოს რჩეულთა ათეულს, რომელშიც მასთან ერთად შედიან **ზურაბ აზმაიფარაშვილი** (2637), **მიხეილ მჭედლიშვილი** (2634), **თორნიკე სანიკიძე** (2615), **თამაზ გელაშვილი** (2614), **ლევან ფანცულაია** (2598), **ზვიად იზორია** (2592), **გიორგი ყაჭეიშვილი** (2582) და **დავით არუთინიანი** (2566). თავიანთი მონაგრით მათ მამაკაცთა პირველ ასეულში ვერ შეაღწიეს.

ქართველი ვაჟებისგან განსხვავებით ჩვენი ქალბატონები მრავლად არიან ტოპ-ასეულში. გულდასაწყვეტი მხოლოდ ის არის, რომ პირველ ათეულში არავინ გვყავს. საამისოდ ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონ **მაია ჩიბურდანიძეს** ორი ქულა დააკლდა. 2514 ქულით იგი მეთერთმეტე ადგილზეა. ქართველ დიდოსტატს უსწრებენ უნგრელი **იუდით პოლგარი** (2682), ინდოელი **ჰამფი კონერუ** (2614), ჩინელი **ჰოუ იფანი** (2590), ბულგარელი ევროპის ჩემპიონი **ანტუანეტა სტეფანოვა** (2545), რუსი **ნადეჟდა კოსინცევა** (2533), შვედი ევროპის ჩემპიონი **პია კრამლინგი** (2528), სლოვენიელი **ანა მუზიჩუკი** (2532), რუსი მსოფლიოს ჩემპიონი **ალექსანდრა კოსტენიუკი** (2523), ორ-ორგზის ევროპის ჩემპიონები — უკრაინელი **კატერინა ლახნო** (2518) და რუსი **ტატიანა კოსინცევა** (2515). ქართველთაგან ტოპ-ასეულში, ჩიბურდანიძის გარდა, შედიან: 14. **ნანა ძაგნიძე** (2506), 19. **ლელა ჯავახიშვილი** (2493), 33. **ბელა ხოტენაშვილი** (2461), 49. **სოფიკო ხუხაშვილი** (2438), 53. **სალომე მელია** (2431), 59. **ნინო ხურციძე** (2414), 64. **ანა მათნაძე** (2407), 68. **თამარ წერეთელი** (2403), 91. **მაია ლომინეიშვილი** (2371) და 98. **ნონა გაფრინდაშვილი** (2360).

20-წლიან ჭაბუკებსაც მაგნუს კარლსენი უდგას სათავეში. საუკეთესო ოცეულში აქ ჩვენებურთაგან არავინაა. ამ ასაკის გოგონებს ჩინელი ჰოუ იფანი მეწინავეობს. მე-17 ადგილზეა **ქეთი ნანალაშვილი** (2312), რომელმაც შარშან 18-წლიანთა მსოფლიოს და ევროპის პირველობებზე ვერცხლის მედლები დაიმსახურა — მხოლოდ უარესი კოეფიციენტით ჩამორჩა რუს **ოლგა გირიას**.

იმედია, ქართველი მოჭადრაკეები 2010 წლის პირველი მარტისთვის, სანამ ფიდეს ახალი რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდება, შედეგებს გააუმჯობესებენ.

**ვაჟა დანელია**

## ლიდერებს ქულით ჩამორჩება

ქართველი დიდოსტატი **ბაადურ ჯობავა** იტალიურ რეჯო-ემილიაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. პირველობისთვის 9 დიდოსტატი და ერთი საერთაშორისო ოსტატი იბრძვის წრიული სისტემით. პირველ ორ ტურში ჯობავამ ქულა-ნახევრის მოპოვება შეძლო. მესამე ტურში მან უნგრელ **ზოლტან ალმაშისთან** წააგო, მეოთხეში იტალიელ ვოკატუროს აჯობა, მეხუთეში კი ამერიკელ **გატა კამსკის** დანებდა.

ხუთი ტურის შემდეგ 3,5-3,5 ქულით ალმაში და კამსკი ლიდერობენ. ჯობავას 2,5 ქულა აქვს.

**ვაჟა დანელია**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი



## ქიდევ ერთი საგზური

წლეულს 12 თებერვალს ვანკუვერში საზეიმოდ გაიხსნება ზამთრის ოლიმპიური თამაშები, რომელშიც მონაწილეობის უფლება საქართველოდან ფიგურულად მოციგურავეებმა — **ელენე გედევანიშვილმა**, ცეკვებში **ოთარ ჯაფარიძემ** და **ალისონ ლინ რიდმა**, სამთო-მოთხილამურეებმა — **იასონ აბრამაშვილმა** (+ ერთი სპორტსმენი) და **ნინო წიკლაურმა** კარგა ხანია მოიპოვეს. საახალწლოდ მათ რიგებს მოციგავე **ნოდარ ქუმარიტაშვილი** შეუერთდა. როგორც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საიტი იუწყება, სეოკ-მა საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციიდან ოფიციალური წერილი მიიღო, რომელშიც დადასტურებულია, რომ მსოფლიოს თასებზე ნაჩვენები შედეგებით საქართველომ სპორტის ამ სახეობაში ვანკუვერის ლიცენზია დაიმსახურა. საგულისხმოა, ოლიმპიადის საგზურისთვის მებრძოლი მოციგავეები — **ლევან გურეშიძე** და ნოდარ ქუმარიტაშვილი მსოფლიოს თასის რამდენიმე ეტაპზე საასპარეზოდ სეოკ-მა დააფინანსა.

ვაჟა დანელია

კალათბურთი

# ზაზა ფაჩულია ნილისყრას მოუთმენლად ველი

## ატლანტას უხალისო ახალი წელი

**ზაზა ფაჩულიას** და მის თანაგუნდელებს წინასაახალწლოდ ხასიათი „კლივლენდმა“ გაუფუჭა - ჯორჯიელებმა **ლებრონ ჯეიმსის** გუნდთან ჯერ ატლანტაში წააგეს, შემდეგ - კლივლენდში.

ვერ ვიტყვით, რომ „ჰოქსის“ ნაგებები ალოგიკური იყო, გასულ სეზონში ჯორჯიელები პლეი ოფში სწორედ „კლივლენდ კავალიერსთან“ დამარცხდნენ 0:4. მას შემდეგ „კავალერებმა“ **შაკილ ონილი** დაიმატეს, რითაც წინა ხაზი საგრძნობლად გააძლიერეს.

მიუხედავად იმისა, რომ „კლივლენდი“ ორივე მატჩში ფავორიტი იყო, ზაზას გუნდს ორივე შემთხვევაში ჰქონდა გამარჯვების შანსი. პირველ თამაშში, ატლანტაში მეოთხე პერიოდის წინ ზაზა ფაჩულიას ჩატენვის შემდეგ „ატლანტას“ ჩამორჩენა ქულამდე შემცირდა - 74:75. მეოთხე „რაუნდში“ კი „ქორებს“ მეტოქის კალათისკენ გზა „დაეკარგათ“ და 12 წუთში ოდენ 10 ქულა ჩააგდეს. ერთ პერიოდში 10 ქულის მოგროვება საქართველოში არ არის გასაკვირი, თორემ ამერიკაში მეტისმეტად დაბალ მაჩვენებლად ითვლება. მით უმეტეს, როცა საქმე „ატლანტას“ დარ შედეგიან გუნდს ეხება.

ასე და ამგვარად, მეოთხე პერიოდში „კლივლენდმა“ 20:10 მოიგო და საშინაო შეხვედრის წინ ხალისიანი განწყობა შეიქმნა.

■ ■ ■

განმეორებითი შეხვედრა მეორე დღესვე შედგა. მასში ჯორჯიელი ვარსკვლავები ინდივიდუალურადაც და გუნდურადაც ვერაფერს გახდნენ ლებრონ ჯეიმსთან, რომელსაც 48 ქულის ჩასაგდებად 43 წუთიც ეყო.

ლებრონის კარგი თამაშის მიუხედავად, „ატლანტა“ გამარჯვების შანსს ბოლო წამებამდე ინარჩუნებდა. სირენამდე 17 წამით ადრე ტაბლოზე 101:101 ეწერა, თუმცა ბოლო შეტევა **ანდერსონ ვარეჟაომ** სამქულიანით დააგვირგვინა და სტუმრებს ყოველგვარი იმედი გადაუწურა. საფინალო ანგარიში კი კლივლენდელი **მუნის** საჯარიმოების შემდეგ დაფიქსირდა - 106:101.

■ ■ ■

2 იანვარს „ატლანტა“ აღმოსავლეთის კონფერენციის არაფრით გამორჩეულ „ნიუ იორკს“ ესტუმრა და, შეიძლება ითქვას, მოგებული თამაში წააგო. მეოთხე პერიოდის წინ „ქორები“ 80:67-ს იგებდნენ. ბოლო მეოთხედში მათ „იმდენი მოახერხეს“, რომ საფინალო სირენამდე 11 წამით ადრე **რობინსონს** ანგარიში გაათანაბრებინეს - 99:99.

დაინიშნა დამატებითი დრო, თუმცა ზაზას თანაგუნდელები ვერც ოვერტაიმში „გამოფხიზლდნენ“ და ზედიზედ მესამე მატჩი წააგეს - 108:112.

■ ■ ■

მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** ზაზა ფაჩულიას სათამაშო დრო მათემატიკური პროგრესიით შეუმცირა: 4-4 წუთი აკლო. ჯერ 18 წუთი ათამაშა, შემდეგ - 12, ბოლოს - 8. იმედი დავიტოვოთ, რომ მომდევნო მატჩში მწვრთნელი ლოგიკას არ მიჰყვება და ზაზას 4 წუთს არ ათამაშებს... „ატლანტა“ მომდევნო მატჩს დღეს მაიამიში ჩაატარებს.

სამი ნაგების შემდეგ „ჰოქსი“ საგრძნობლად ჩამორჩა სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში თავის უშუალო კონკურენტ „ორლანდოს“. „მეჯიქს“ 24 მოგების წილ 9 ნაგება აქვს, „ატლანტას“ - 21 მოგება და 11 მარცხი.

| ატლანტა-კლივლენდი | 84:95 |
|---|---|
| ზაზა ფაჩულია: 18 წუთი, 3 ქულა, 3 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება, 2 შეცდომა, 4 ფოლი | |
| **I პერიოდი** | |
| 01:24 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 00:44 | ფოლი: 1 |
| 00:19 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| **II პერიოდი** | |
| 09:56 | ჩაჭრა: 1 (უილიამსს ჩაუჭრა) |
| 06:43 | ფოლი: 2 |
| 06:43 | შეცდომა: 1 |
| 05:06 | ზაზა სმიტმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 03:47 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 02:25 | ფოლი: 3 |
| 00:53 | საჯარიმოები: 2/1 (1ქ, 72:75) |
| 00:32 | ჩატენვა: 3ქ (74:75) |
| 00:17 | დაფარება: 1 |
| 00:17 | ზაზა ბიბიმ შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 11:43 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 10:33 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 |
| 10:31 | შეცდომა: 2 |
| 10:26 | ჩაჭრა: 2 (უილიამსს ჩაუჭრა) |
| 05:57 | ფოლი: 4 |
| 05:57 | ზაზა სმიტმა შეცვალა |

| კლივლენდი-ატლანტა | 106:101 |
|---|---|
| ზაზა ფაჩულია: 12 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა, 1 დაფარება, 2 ფოლი | |
| **I პერიოდი** | |
| 05:38 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 05:29 | ფოლი: 1 |
| 02:54 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 02:54 | ორქულიანი: 2ქ (24:19) |
| 01:54 | ფოლი: 2 |
| 01:54 | ზაზა კოლინსმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 04:51 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 04:41 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 01:22 | დაფარება: 1 (უესტს დაუფარა) |
| 01:20 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| **IV პერიოდი** | |
| 08:59 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |

| ნიუ იორკი-ატლან. | 112:108 დ.დ. |
|---|---|
| ზაზა ფაჩულია: 8 წუთი, 5 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება | |
| **II პერიოდი** | |
| 10:30 | ორქულიანი: 2ქ (31:24) |
| 09:45 | დაფარება: 1 (ლენდრის დაუფ.) |
| 08:50 | ორქულიანი: 4ქ (33:27) |
| 08:50 | საჯარიმო: 1/1 (5ქ, 34:27) |
| 07:59 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:10 | პასი: 1 (ჰორფორდი 2ქ, 36:29) |
| 06:30 | ზაზა სმიტმა შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 11:27 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 09:30 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |

ვაჟა სიმონიშვილი

ქართველები NBA-ში




## ფაჩულია: ნეტავ, ვინ მოხვდება ჩვენს ჯგუფში?

**ისევე, როგორც ნაკრების ყველა წევრი, ზაზა ფაჩულიაც მოუთმენლად ელის 16 იანვარს. სწორედ ამ დღეს უნდა გაირკვეს საქართველოს ნაკრების მეტოქეების ვინაობა. ზაზასთან საუბრისას ეროვნულ გუნდსაც შევეხეთ და „კლივლენდთან“ დაპირისპირებებზეც ვილაპარაკეთ. რადგან კალენდარულად შედარებით ახლოს „კავალიერსთან“ დაპირისპირებებია, ამიტომ ჯერ მათ შევეხოთ.**

- „კლივლენდ კავალიერსი“ ბოლო დროს თამაშს თამაშზე კი იგებს, მაგრამ ჩვენ უშანსოდ არ ვყოფილვართ. ატლანტაში უნდა მოგვეგო, მაგრამ მეოთხე პერიოდში ბურთი ვერ ჩავაგდეთ. შეტევაში უზუსტობის გამო მატჩიც წავაგეთ.

**- გაცილებით რთული უნდა ყოფილიყო სტუმრად გამარჯვება.**

- გასვლითი შეხვედრის მოგება ყოველთვის ძნელია. მით უმეტეს იმ გუნდის წინააღმდეგ, რომელშიც ლებრონ ჯეიმსი თამაშობს. ამის მიუხედავად, ბოლომდე ვიბრძოლეთ და ბოლო წამებზე დავმარცხდით.

**- ასევე ბოლო წამებზე დათმეთ „ნიუ იორკთან“, თუმცა ახლა საქართველოს ნაკრებზე გკითხავ. გეცოდინება, რომ ოფიციალური მატჩები 2 აგვისტოს იწყება და 28-ში მთავრდება...**

- 2 აგვისტოს რომ იწყება ვიცი. ეს ერთი მხრივ კარგია, მეორე მხრივ - ცუდი...

**- ცუდი იმიტომაა, რომ გადატვირთული გრაფიკი გექნებათ?**

- ეგ პრობლემად არ მიმაჩნია. ამერიკაში 20 დღეში გაცილებით მეტ მატჩს ვთამაშობ და ასეთი რიტმის გაძლება არ გამიჭირდება. 2-დან 28-მდე 8 მატჩის ჩატარება ნამდვილად არ გადაგვღლის. რასაც აქ ვმოგზაურობ, იმასთან შედარებით სანაკრებო მგზავრობა არაფერია. ამერიკაში შარშან 101 თამაში ჩავატარე.

**- მაშ, რა მხრივაა ცუდი?**

- ცუდი იმიტომაა, რომ „ატლანტასთან“ ჩატარებული სეზონის შემდეგ დასასვენებლად მცირე დრო მექნება. ამერიკაში თამაშებს, ალბათ, ივნისში დავასრულებთ და სანაკრებო მატჩებამდე დიდი დრო აღარ დარჩება.

**- 2 აგვისტოს დაწყება კარგი რითაა?**

- ოფიციალური შეხვედრების აგვისტოს პირველ რიცხვებში თამაში კარგი იმიტომაა, რომ საკლუბოდან სანაკრებო კალათბურთზე ისე გადავერთვები, ფორმიდან არ ამოვვარდები. ძალიან მაინტერესებს, ვინ იქნება ჩვენს ჯგუფში...

**- მეგონა, წილისყრას დეკემბერში ჩაატარებდნენ, მაგრამ 16 იანვრისთვის გადაიტანეს.**

- მეც მეგონა, დეკემბერშივე გვეცოდინებოდა მეტოქეების ვინაობა, მაგრამ არა უშავს, 16 იანვარიც მალე მოვა.

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი



ოქსანა (მარჯვნივ) ჯერ საახალწლო წვეულებას დაესწრო

## შემდეგი გაჩერება ავსტრალიის ღია პირველობა

ახალი საჩოგბურთო სეზონი ჩვენებურთაგან **ოქსანა კალაშნიკოვამ** (180) გახსნა, რომელმაც 1 იანვარს ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში ითამაშა. ეს საერთაშორისო ტურნირი WTA-ს ეგიდით ტარდება (220 ათასი $). ბუნებრივია, ჩვენებურს რეიტინგმა მხოლოდ საკვალიფიკაციო ბადის საგზური მისცა. იქ კი მას კენჭისყრაში არ გაუმართლა - მე-4 ნომრად განთესილი ესპანელი **არანჩა პარა სანტონია** (93) შეხვდა. კალაშნიკოვამ დიდი ბრძოლა გაუმართა მსოფლიო რეიტინგში მასზე თითქმის ასი საფეხურით წინ მყოფ ჩოგბურთელს, მეორე სეტი ტაი-ბრეიკშიც მოუგო, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა - 5:7, 7:6 (4), 3:6. ნაგების მიუხედავად, ავსტრალიაში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ოქსანას თამაში: *„საოცარი გვარ-სახელის მქონე ოქსანა კალაშნიკოვა, ვფიქრობთ, საინტერესო ჩოგბურთელია. ის ძალიან მაღალია და ბურთებს დიდი ძალით ურტყამს, თუმცა მიზანს ქართველი ყოველთვის ვერ ახვედრებს“.*

ოქსანა ავსტრალიაში რჩება, სადაც წლის პირველი „დიდი სლემის“ ტურნირისთვის მოემზადება. ავსტრალიის ღია პირველობა მელბურნში 18 იანვარს იწყება, თუმცა საკვალიფიკაციო ბადე, სადაც ჩვენებურს მოუწევს თამაში, რამდენიმე დღით ადრე გაიმართება. წლეულს, ავსტრალიის ღია პირველობის ისტორიაში პირველად, საკვალიფიკაციო ბადეში სამი ქართველი იქნება, მელბურნში **ანა ტატიშვილი** და **მაკა ჩახნაშვილიც** ითამაშებენ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## ცქიტიშვილი რეალთან...

ვიდრე ჩვენ ვისვენებდით, **ნიკა ცქიტიშვილმა** ორი მატჩი ჩაატარა. მისმა „ფუენლაბრადამ“ ჯერ ვალიადოლიდიდან წამოიღო გამარჯვება (87:83), გუშინ, იმავეს გამეორება „რეალთან“ სტუმრად ჩატარებულ მატჩში სცადა, მაგრამ ამჯერად ხელი მოეცარა.

| იტალიის ჩემპიონატი | |
|---|---|
| **კანტუ-აველინო** | **85:61** |
| მანუჩარ მარკოიშვილი: 28 წუთი, 11 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი | |
| **კრემონა-ბოლონია** | **69:74** |
| ვიქტორ სანიკიძე: 12 წუთი, 5 ქულა, 4 მოხსნა | |
| **გერმანიის ჩემპიონატი** | |
| **მიტელდოიჩერი-ტაიგერსი** | **79:87** |
| ლაშა გამყრელიძე: 21 წუთი, 4 ქულა, 1 მოხსნა, 3 პასი | |




მადრიდში მეოთხე პერიოდის წინ „ფუენლაბრადა“ „რეალს“ ოდენ 4 ქულით ჩამორჩებოდა, თუმცა მეოთხე პერიოდში მასპინძლებმა 10-ქულიანი ფორა მოიპოვეს და საბოლოოდ 88:72 იმარჯვეს.

ვალიადოლიდში ცქიტომ სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა, 27 წუთში 10 ქულა და 3 მოხსნა მიითვალა. ნიკამ 4-დან 3 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

რაც შეეხება მადრიდის „რეალთან“ მატჩს, სკიტას მონაგარი წინა შეხვედრის მსგავსი იყო: 27 წუთი, 10 ქულა, 4 მოხსნა. ნიკამ 6-დან 2 ორქულიანი და 3-დან 2 სამქულიანი გამოიყენა.

ბოლოს დავძენთ, რომ „ფუენლაბრადას“ მთავარი მწვრთნელი შეეცვალა. **ლუის გუილი**, რომელსაც ქართველი ფორვარდი ძალიან მოსწონდა, **სალვა მალდონადომ** შეცვალა. „ფუენლას“ ახალმა მწვრთნელმა სახელი „გრან კანარიაში“ მუშაობით გაითქვა.

ვაჟა სიმონიშვილი

ამბები

კრივი

## ბრძოლა სანაკრებო ადგილებისთვის

საქართველოს ნაკრები 21 იანვარს წლის პირველ შეკრებას დაიწყებს. ადგილი ჯერ არ დადგენილა, ქართველი მოკრივეები ან ბაკურიანში გაემგზავრებიან, ან სომხეთის სამთო კურორტ წახკაძორში. წლის პირველი უმთავრესი ტურნირი ევროპის ჩემპიონატია, რომელსაც მაისში სანკტ-პეტერბურგი უმასპინძლებს. მანამდე საქართველოს ნაკრები ოთხ შეკრებას გაივლის, დაგეგმილია ერთობლივი ვარჯიშები თურქეთისა და სომხეთის ნაკრებებთან. რაც მთავარია, უნდა გაირკვეს ნაკრების ძირითადი შემადგენლობა, რისთვისაც რამდენიმე საკონტროლო ბრძოლა ჩატარდება.

ნიჩბოსნობა

## გაზრდილი ბიუჯეტით

ამ სახეობას დაფინანსება გაეზარდა და მიმდინარე წელი შეკრებებითა და ტურნირებით დატვირთული იქნება. თებერვალში ბაზალეთის ტბაზე ნიჩბოსნები გაფართოებული შემადგენლობით გაივლიან საერთო ფიზიკურ მომზადებას. ზამთარში შეკრება მოეწყობა ბაკურიანში ან წახკაძორში, ზაფხულში კი, ადგილობრივი ტურნირების გარდა, ქართველი ნიჩბოსნები ბაქოსა და ერევანშიც მოსინჯავენ ძალებს.

სამთო თხილამურობა

## ჩემპიონატი იწყება

9 იანვარს ბაკურიანში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი იწყება. საბედნიეროდ, ბაკურიანში თოვლი უკვე უხვადაა და ტურნირს გადადების საფრთხე არ უნდა დაემუქროს. გაგაცნობთ წლევანდელი ჩემპიონატის სრულ განრიგს.

I ეტაპი. 9-10 იანვარი. **ბაკურიანი. სლალომი, გიგანტი.**

II ეტაპი. 23-24 იანვარი. **ბაკურიანი. სლალომი, გიგანტი.**

III ეტაპი. 6-7 თებერვალი. **გუდაური. სლალომი, გიგანტი.**

IV ეტაპი. 20-21 თებერვალი. **ბაკურიანი. სლალომი, გიგანტი.**

V ეტაპი. 6-7 მარტი. **ბაკურიანი. სლალომი, გიგანტი.**

VI ეტაპი. 20-21 მარტი. **გუდაური. სლალომი, გიგანტი.**

VII ეტაპი. 3-4 აპრილი. **გუდაური. სლალომი, გიგანტი.**

მარტიდან, ანუ ვანკუვერის ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ, ჩემპიონატში საქართველოს ნაკრების წევრებიც ჩაერთვებიან.

ხელბურთი

## ნაკრები ფინალისთვის მზადებას იწყებს

"ჩელენჯ ტროფის" ფინალში გასული საქართველოს ეროვნული ნაკრები მზადებას, წესით, რამდენიმე დღეში უნდა შეუდგეს. როგორც საქართველოს ხელბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, შეკრება თბილისში მოეწყობა, დაგეგმილია საკონტროლო მატჩები. სამისოდ ფედერაცია დედაქალაქში რომელიმე ნაკრების ჩამოყვანას შეეცდება.

როგორც იცით, საქართველოს ნაკრებმა დამაჯერებლად გაიმარჯვა "ჩელენჯ ტროფის" ჯგუფურ ეტაპზე. ჩვენმა ხელბურთელებმა მოლდოვაში მასპინძლებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს სძლიეს, რითაც ფინალურ მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. ფინალი 23 იანვარს ვენაში ჩატარდება და ჩვენი მეტოქე ფინეთის ნაკრები იქნება.

ინფორმაციები მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

სასტენდო სროლა

პრობლემასთან პირისპირ

# ამოცნობილი მფრინავი თეფშების კვალდაკვალ

*დასასრული. დასაწყისი ლელო №308, 2009*

70-იანი წლებისთვის თბილისში, კერძოდ, ვარკეთილში იყო საკმაოდ უხეირო სასროლეთი, უკეთესი იყო ზუგდიდში, შემდეგ ოზურგეთშიც (მაშინდელი მახარაძე) მოაწყვეს საკმაოდ კარგი სტენდი. სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში კი ძველები ჰქონდათ. კარგი სპეციალისტებიც საძებარი არ იყო. მთელ ამ წარმატებულ პერიოდში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი სასტენდო სროლის ორივე დისციპლინაში **ზურაბ მაჩხანელი** გახლდათ, იმხანად ჯერ კიდევ „მოთამაშე მწვრთნელი", რადგან ჯერ თვითონაც ისროდა.

უკვე ვთქვი, სასტენდო სროლაში ორივე ნაკრები მაშინ ოთხ-ოთხი წევრისგან შედგებოდა და მრგვალ სტენდზე ამ კვარტეტში ძალიან ხშირად ორი ქართველიც ხვდებოდა. მესამეც შეიძლებოდა, მაგრამ იმ ორზეც სსრ კავშირის ნაკრების უფროსებს გული უსკდებოდათ და სამზე ხომ მთლად გადაბრუნდებოდნენ. თანაც ჩვენები ვის „ეჭიდავებოდნენ" იმხანად: ოლიმპიურ ჩემპიონ **პეტროვს**, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ **ცურანოვს**, სხვა აღიარებულ „ასებს" — **სოკოლოვს, ალიევს, ანდრეევს, ტიმოხინს...** ერთხელ იმნაიშვილი, ტიმოხინი და გია შენგელია მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა გამგზავრებულიყვნენ (გიამ არათანაბარ პირობებში, თანაც გაძნელებულ პროგრამაში მაინც აჯობა უკრაინელ კოლოსს სანაკრებო „დუელში"), მაგრამ საოცარი რამ მოხდა, — ქუთაისელ მსროლელს მოუბოდიშეს, — შენი მოსარგი სპორტული ფორმა (სსრკ ნაკრების) საწყობში არ აღმოჩნდაო და... ჩემპიონატზე კოლოსი წაიყვანეს.

ყველაფერ ამის მიუხედავად, ზემოაღნიშნულ „ოქროს ხანაში" ტარიელ ჟღენტი სამჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1971-74), მეორე და მესამე პრიზიორი პირად პირველობაში, ევროპის 7-გზის ჩემპიონი (2-ჯერ პირადში), სსრ კავშირის — სამგზის, დაამყარა (გაიმეორა) 4 მსოფლიო რეკორდი აბსოლუტური მაჩვენებლით (2-ჯერ 200-დან ყველა თეფში დაამსხვრია), მოიგო მრავალი ტურნირი... თემურ მატოიანს მოგებული აქვს ევროპის თასი, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, მრავალი ტურნირი, გუნდურ ჩათვლაში კი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი იყო... უგრძესია თამაზ იმნაიშვილის წარმატებათა ნუსხაც: 1981 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა პირად პირველობაში, პირველად და ერთადერთხელ საქართველოში, 1993 წელს მეორე იყო, ორჯერ კი — მესამე. მრავალჯერ გახლდათ მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორი გუნდურ ჩათვლაში და 7-ჯერ — ევროპის ჩემპიონი, ევროპის თასისა და VI საკავშირო სპარტაკიადის გამარჯვებული. აქვს მსოფლიოს აბსოლუტური რეკორდი 5-სერიან ტურნირში, — 125-დან ყველა სამიზნე დააზიანა. 1988 წელს მოსკოვში, ჩემ თვალწინ, უშეცდომოდ გაიარა 8 სერია (200 ქულა ამდენივე შესაძლებლიდან), მხოლოდ ფინალურ 25 გასროლაში უმტყუნა მიზანმა... მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდათ ჩვენს სხვა მესტენდურეებსაც. ერთ-ერთს მინდა შევეხო, რომელიც გია შენგელიასთან არის დაკავშირებული და ხაზს უსვამს სპორტის ამ სახეობის სპეციფიკას. ზემოხსენებული უსამართლობის გამო, გულის მოგებისთვის, იგი ბერლინის დიდ საერთაშორისო ტურნირზე წაიყვანეს საკავშირო ნაკრებთან ერთად. დაიწყო შეჯიბრება და კატასტროფა — 22 თეფში 25-დან პირველ სერიაში! ეს დაახლოებით ნიშნავს იმას, რომ 0:5-ს აგებ პირველ ტაიმში. საკავშირო გუნდის ხელმძღვანელობის ხალისი უნდა გენახათ, — ამას მსოფლიოს ჩემპიონატზე რა უნდოდაო. მაჩხანელი მივიდა გიასთან და უთხრა, — დრაიკას, საერთოდ, ამერიკელების დგომი დაიკავეო. საწყის მდგომარეობაში მესტენდურეს თოფის კონდახი თეძოსთან აქვს. ნიშანზე მკერდამდე ასწევს და ისვრის. ამ მანძილის „მოსაპარად" ამერიკელები მოხრილნი ისროდნენ, რადგან სროლაში წამის მეათედსაც აქვს მნიშვნელობა. მათი ლიდერი დრაიკა კი ამ მხრივ ეტალონი იყო. სხვათა შორის, შემდეგ მან სროლის ცირკი გააკეთა, ველოსიპედით დადიოდა და თითქმის დაუმიზნებლად პანტაპუნტით ყრიდა სამიზნეებს, — ნებისმიერ კოვბოის ჩააწვენდა შურის საფლავში.

მოკლედ, სროლაში უმნიშვნელო დეტალიც კი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს. გია შენგელიამაც დაუჯერა თავის მწვრთნელს, თანაც ქართულად გაბრაზდა, რომ ხელმძღვანელებისთვის ზეიმი ჩაემწარებინა. და... დარჩენილი 8 სერია უშეცდომოდ გაიარა, — 200-ვე სამიზნე დააზიანა და ჩემპიონი გახდა. სხვა სახელოვანი ჩემპიონების გარდა, მან გაუსწრო გერმანელ სროლის დიდოსტატებს, ჰოხვალდსა და ვეგნერს. იმ 1988 წელს ვეგნერმა ოლიმპიური თამაშებიც მოიგო...

ასეთ წარმატებათა ფონზე თითქოს განზე დარჩა ოლიმპიური სარბიელი, მაგრამ თუნდაც ერთი მაგალითისთვის, კიდევ უნდა გავიხსენო თამაზ იმნაიშვილის ფათერაკი მოსკოვში, მიტიშჩის სასროლეთზე 1980 წლის ოლიმპიადის დროს. ქართველი მესტენდურე ბოლო სერიამდე ლიდერი იყო. თანაც იგი სწორედ შეჯიბრების ბოლოს ისვრის ყველაზე კარგად, ხოლო თუ დამატებითმა სროლამ მოუწია, იქ პირდაპირ შეუდარებელია. მოკლედ, ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯიღა აშორებდა... თოფში ვაზნები ჩააწყო თუ არა, წინ გადაელობა ოლიმპიური ჩემპიონი **პეტროვი**. იგი იმხანად გამოყენებითი სპორტის საკავშირო სამმართველოს ხელმძღვანელი იყო და რანგით სპორტის ყველა ფუნქციონერზე მაღლა იდგა. მან თამაზი გააფრთხილა, — ძალიან აყოვნებ სროლას და იჩქარეო. თამაზმაც იჩქარა და... გადამწყვეტ სერიაში ორი სამიზნე გაუფრინდა დაუზიანებელი. საბოლოოდ, 196 ქულით გაიმარჯვა დანიელმა **რასმუსენმა,** ჩვენი მესტენდურე მას მხოლოდ ქულით ჩამორჩა, მაგრამ ცუდი ბოლო სერიისა და ბევრი თანაბარი შედეგის გამო (195-195) ერთბაშად მე-9 ადგილამდე ჩამოქვეითდა.



ტარიელ ჟღენტი



თეიმურაზ მატოიანი

პეტროვის მუცლის გვრემა გასაგები იყო. შემდეგ თვითონ რუსებიც ალაპარაკდნენ, — არ უნდა, რომ მის გარდა ვინმე გახდეს ოლიმპიური ჩემპიონი სასტენდო სროლაშიო. პეტროვმა, გამოცდილმა მსროლელმა, სწორედ ყველაზე სუსტ წერტილში დაარტყა თამაზ იმნაიშვილს. საქმის უცოდინარი ამას ვერ მოახერხებდა. ასეთი მწვავე რეპლიკა კი არა, სროლის წინ საკუთარ თავში ჩაკეტილ მსროლელს არც მეგობარი უნდა დაენახოს, არც ჟურნალისტი და ხშირად არც საკუთარი მწვრთნელი. თუ დასჭირდა, თვითონ მოგნახავს და გამოგელაპარაკება. იმნაიშვილს მაშინ ბოლო სერიაში 25 ქულა რომ გაეკეთებინა, ჩემპიონი ხდებოდა, თუნდაც 24 — დამატებით სროლაში გავიდოდა რასმუსენთან, რაშიც უძლიერესი იყო...

სეულის ოლიმპიადაზე კი საგინესო კურიოზი შეამთხვიეს: უკვე ფინალურ ჯგუფში გასული თამაზ იმნაიშვილი, რაც უკვე იყო დადასტურებული ოლიმპიური ოქმით, იმავე პეტროვის მეცადინეობით, ფინალში აღარ დაუშვეს. მის ნაცვლად საბჭოთა სამეულში ჩართეს რუსი **დიომინა,** რომელიც ქალების საჩვენებელი პროგრამით ასპარეზობდა, ოღონდ ფინალში გამოსვლის უფლებით. იქ დიომინამ თავი შეირცხვინა, ჩემპიონი კი გახდა ჩინელი ქალბატონი, რომელმაც ყველა კაცს აჯობა აბსოლუტური შედეგით (200-დან ყველა), მაგრამ იგი იმთავითვე ჩინელ ვაჟთა გუნდის განაცხადში იყო. ეს უნიკალური შემთხვევა გახლდათ.

თამაზ იმნაიშვილმა მსოფლიო თასზე წარმატებით ბარსელონის ოლიმპიადის ლიცენზიაც მოიპოვა, შემდეგ მე-3 ადგილი მსოფლიოს ჩემპიონატში, მოსკოვში, მაგრამ ჩვენ უკვე დამოუკიდებელი ქვეყანა გავხდით და სპორტში დაიწყო, აი, მამლუქებიო და ამდაგვარი. რა ენაღვლებოდათ, თვითონ პოლიტიკით „ჭამდნენ პურს" და არა სპორტით. და ის ლიცენზიაც რუსებმა გემრიელად შეირგეს...

შემდეგ კი დაიწყო ჩვენი ისედაც მწირი ბაზების განადგურება. ყველაზე მძიმე დარტყმა სროლამ განიცადა გასაგები მიზეზების გამო. იმ დროიდან ერთი ამბავი მახსოვს. სხვათა შორის, მაშინ სროლის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი **თენგიზ კიტოვანი** იყო (ასეთ ფედერაციებს გენერლები ხშირად ხელმძღვანელობენ). როცა ტყვიის მსროლელთა საწყობი გაძარცვეს და იარაღი წაიღეს გვარდიელებმა, კიტოვანს სთხოვეს, — ნინო სალუქვაძის პისტოლეტი მაინც დაგვიბრუნეთო. მინისტრმა შეიცხადა — ეს იარაღი „ტროფეინია" და ბიჭებს როგორ ვთხოვო, დააბრუნეთო. ტროფეი, მოგეხსენებათ, მტრისაგან დატოვებულ ან მისთვის წართმეულ ნაალაფევს ნიშნავს და ბატონმა თენგიზმა წარმატებით გაიმარჯვა საკუთარ ფედერაციასთან, აი, აფხაზეთში კი...

გარდა ამისა, მან თბილისში ერთადერთ ვარკეთილის ბაზაზე გვარდიის ნაწილები ჩააყენა და იგი მაშინდელმა მშიერმა ჯარმა ფერმად გადააქცია, — ძროხები, ცხვრები ჰყავდათ და სულს ასე ითქვამდნენ. იქაურობა კი, ცხადია, გავერანდა, ისევე როგორც სხვაგან.

მაგრამ რაც ამ უძრაობის დროს გააკეთეს ჩვენმა მესტენდურეებმა, წარმოდგენის ყოველგვარ ზღვარს სცილდება. აბსოლუტურად უვარჯიშებლებმა, რომლებმაც სულ ორკვირიანი შეკრება მოახერხეს კვიპროსზე, საგულდაგულოდ მომზადებულ საუკეთესო ნაკრებთა შორის მე-2 ადგილი დაიკავეს მსოფლიო თასის გათამაშებაში. ამ სამეულმა, — იმნაიშვილმა, შენგელიამ და ქვათაძემ მე-3 ადგილის მოპოვებაც შეძლეს მსოფლიოს ჩემპიონატზე — სულ ორი ქულით ჩამორჩნენ ჩემპიონ იტალიის გუნდს. ბოლო სერია 25 რომ გვქონოდა, რაც დიდი ამბავი არ არის, მსოფლიოს ჩემპიონები ვიქნებოდით და ეს, თამაზ იმნაიშვილის შეფასებით, მართლაც „მსოფლიო ცირკი" იქნებოდა. მაშინ ჩვენი ნაკრების მწვრთნელი ტარიელ ჟღენტი იყო. ეს პირველი გუნდური მედლები იყო დამოუკიდებელი საქართველოს სპორტის ისტორიაში.

ჩვენი მესტენდურეები ისვრიან ძველი გამოცდილებით, ნიჭის ხარჯზე და შეჯიბრების მიმდინარეობის დროს გავარჯიშდებიან ხოლმე, მაგრამ თავის სროლას რომ „იპოვიან", სწორედ მაშინ სრულდება ასპარეზობა. წინდაწინ ერთკვირიანი საწვრთნელი შეკრების სახსრებიც არ აქვთ. არადა, წელიწადში სულ რაღაც 50 ათასი ლარიც ეყოფათ. თანაც, ახლა სროლა კომპიუტერზეა და თუკი ერთდღიან ვარჯიშებზე, რაც წინ უძღვის ნებისმიერ შეჯიბრებას, რომელიმე პოზიციიდან სროლის დახვეწა გინდა, როგორც ადრე იყო, ახლა ნურას უკაცრავად, — კომპიუტერს თავისი პროგრამა აქვს.

კარგა ხნის შესვენების შემდეგ რის ვაი-ვაგლახით მოახერხეს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე გამოსვლა ფაქტობრივად სროლადავიწყებულებმა და სადღაც სატურნირო ცხრილის შუაში მაინც არიან. რაიმე ბაზაზე ჯერ ლაპარაკიც არ არის, თუმცა სროლის ფედერაციის წინა პრეზიდენტმა, შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის მაშინდელმა ხელმძღვანელმა **ლევან მხეიძემ** პირადად მითხრა, რომ მცხეთასთან უკვე მოზომილია ნაკვეთი და იქ ერთ წელიწადში აშენდება ახალი ბაზა მესტენდურეებისთვის. ერთი წელიწადიც გავიდა და მეტიც, საქმე ადგილიდან არ დაძრულა. ახლა სროლის ფედერაციის პრეზიდენტი **დავით ქარსელაძეა.**

თუმცა სულ ახლახან მაინც გატყდა ნავსი. სეოკ-ის პრეზიდენტის, **გია ნაცვლიშვილის** თხოვნის შემდეგ, ქალაქის მერმა **გიგი უგულავამ** მიმართვა გაუგზავნა ეკონომიკის მართვის სამინისტროს, რომ გამოეყოთ მიწის ნაკვეთი დედაქალაქის ტერიტორიაზე სასტენდო სროლის ბაზის მოსაწყობად. ეს ნაკვეთი ვარკეთილში — სულ 5 ჰექტარი, გამოყოფილია. თამაზ იმნაიშვილმა თვითონ მაჩვენა ის ნახაზი. გარდა ამისა, მერია მათ დამატებით კიდევ 2 ჰექტარს ჰპირდება. იმედია, ამის შემდეგ სასროლეთის ამშენებელიც გამოჩნდება...

იმნაიშვილის თქმით, სასროლეთის მოწყობას აპირებს რუსთავის ხელმძღვანელობა და, საერთოდ, ქვემო ქართლისა, აგრეთვე აჭარის მთავრობა და იქაური რეგიონული ოლიმპიური კომიტეტი. ეს ყველაფერი მხოლოდ 2009 წლის ბოლოს გამოიკვეთა. სასტენდო სროლას ჩვენში ჯერ ერთადერთი კაპიტალიღა დარჩა — სპეციალისტები, რომლებსაც ისევ შესწევთ ძალა, მესტენდურეთა თაობა მოამზადონ. მერე გვიან იქნება. ბაზების უქონლობის გამო თაობათა ცვლის პროცესი შეწყდა და ამჟამად ისევ ძველები ისვრიან, ანუ იშვიათად შეჯიბრებაში მონაწილეობენ გია შენგელია, დავით ქვათაძე, მაია გუბიევა, მოსკოვში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე და მოქალაქე **პავლე ლაკია.** მათ მწვრთნელად „ითვლება" თამაზ იმნაიშვილი, — აბა, სად ავარჯიშებს?..

საკვირველი რამ მითხრა 86 წლის ზურაბ მაჩხანელმა: ახლები არ არიან, მაგრამ ერთი სასროლეთი რომ მომცა, ამ ხნის კაცი გია შენგელიას ისე მოვამზადებ, ოლიმპიადაზეც იტყვის თავის სიტყვასო...

*P.S. რაც არ გააკეთა ამდენმა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა უწყებამ, როგორც ჩანს, ერთ ადამიანს შესძლებია. იგი ბიზნესმენია და ჩრდილში ყოფნას არჩევს, ასე ცდილობს კეთილი საქმის გაკეთებას. მით უფრო, რომ ძველი სპორტსმენი გახლავთ და სროლის მოყვარულიც. ერთი თეფშის სატყორცნი აპარატიც ჰქონიათ მას და მის მეგობრებს. თანაც ყველაზე საუკეთესო — ფინური „ნასტას" ფირმისა, ასევე თეფშების მარაგიც 200 ათას ცალამდე, გამშვები პულტიც. და ახლა ერთ სტენდს აკეთებს საკუთარი ხარჯებით, რომელიც მალე ჩადგება მწყობრში.*

*ეს პირდაპირ მაშველი რგოლი იქნება ჩვენი მესტენდურეებისთვის. მართალია, თოფები ძველები აქვთ (ახლები — „ბერეტა", „ფეროცი" 5-6 ათასი ევრო ღირს), მაგრამ ჯერ კიდევ გამოსადეგი. მაინც, კიდევ ვიტყვი, სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია. სხვა რომ არაფერი, სროლის გართულებული პროგრამის გამო მესტენდურეები ვარჯიშებზე ახლა ადრინდელზე, გაცილებით მეტჯერ ესვრიან სამიზნეს, ერთი 25-ვაზნიანი კოლოფი კი („ფიოჩი", „ერისი") 8-12 ევრო ღირს...*

*და მაინც ნუგეშია, რომ ყინული დაიძრა.*

**გიორგი ჩოჩიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. დაკარი 2010



# დაკარი ტრაგედიით დაიწყო

პირველ იანვარს არგენტინაში დაწყებულმა „დაკარმა" კიდევ ერთხელ დაადასტურა ყველაზე „სახიფათო რალის" სტატუსი. პირველივე ეტაპი მსხვერპლით აღინიშნა.

ტრაგიკული ინციდენტი ბუენოს აირესიდან 800 კილომეტრის მოშორებით, პატარა ქალაქ რიო კუატროში მოხდა. გერმანელი **მირკო შულტისის** მანქანა ტრასიდან გადავარდა და გულშემატკივართა ჯგუფს დაეჯახა, რის გამოც ხუთი ადამიანი დაზარალდა.

*„ერთ-ერთი დაზარალებული, 28 წლის ქალი გარდაიცვალა, რომელმაც თავის, მუცლისა და გულმკერდის არეში უმძიმესი ტრავმები მიიღო. გზად საავადმყოფოში მან ორჯერ გულის შეტევა გადაიტანა და ექიმების ყველანაირი ძალისხმევის მიუხედავად, ჰოსპიტალში მისვლისთანავე გარდაიცვალა,* - განაცხადა ექიმმა **ნორბერტო ბრუსმა**. - *აგრეთვე დაზარალდა 24 წლის მამაკაცი, რომელმაც ფეხი მოიტეხა და ცხრა წლის ბავშვი. კიდევ ორმა გულშემატკივარმა ნაკლებად სერიოზული დაზიანება მიიღო. ისინიც რიო კუარტოს საავადმყოფოში მოათავსეს".*

„დაკარის" პირველი რბოლა 1979 წელს ჩატარდა და იქედან მოყოლებული რალი-რეიდის დროს 50-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

| I ეტაპი | |
|---|---|
| ბუენოს აირესი-კორდობა (251 კმ) | |
| **მანქანები** | |
| 1. ხუან კომა (ესპანეთი, BMW) | 2:11.15 |
| 2. კარლოს საინსი (ესპანეთი, ფოლკსვაგენი) | +02.07 |
| 3. სტეფან პეტერანსელი (საფრანგეთი, BMW) | +02.50 |
| 4. ნასერ ალ-ატიიაჰი (კატარი, ფოლკსვაგენი) | +03.29 |
| 5. ჟინიელ დე ვილიერსი (ს. აფრიკა, ფოლკსვაგენი) | +04.31 |
| 6. რობი გორდონი (აშშ, ჰამერი) +04:48 | |
| **მოტოციკლები** | |
| 1. დავიდ კასტო (საფრანგეთი, შერკო) | 01:50.42 |
| 2. სირილ დესპრე (საფრანგეთი, KTM) | +00.03 |
| 3. მარკ კომა (ესპანეთი, KTM) | +00.12 |
| 4. ხორდი ვილადომსი (ესპანეთი, KTM) | +01.45 |
| 5. ფრანსისკო ლოპესი (ჩილე, აპრილია) | +02.42 |
| 6. დავიდ ფრენტინი (საფრანგეთი, იამაჰა) | +02.57 |

წლის ლაურეატები

# ჟურნალისტებმა მძლეოსნები აირჩიეს

სხვადასხვა ვერსიით წლის საუკეთესო სპორტსმენების გამოვლენა ტრადიციულად სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის (AIPS) გამოკითხვით დასრულდა. 98 ქვეყნის 614-მა ჟურნალისტმა 2009 წელს მძლეოსნებს მიანიჭა უპირატესობა.

კაცებს შორის აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა სამგზის ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა **უსაინ ბოლტმა**. იამაიკელ სპრინტერს გამოკითხულთა ზუსტად მესამედმა ნაწილმა მიაკუთვნა პირველი ადგილი. უსაინის უახლოესმა მდევარმა - არგენტინელმა ფეხბურთელმა **ლეო მესიმ** ხმების 15,99 პროცენტი მიიღო.

ქალებს შორის უფრო დიდი კონკურენცია იყო - პირველობისთვის ორი მძლეოსანი იბრძოდა - რუსი ჭოკით მხტომელი **ელენა ისინბაევა** და ხორვატი სიმაღლეზე მხტომელი **ბლანკა ვლასიჩი**. საბოლოოდ, AIPS-ის პრიზი მესამედ მოიგო ისინბაევამ, რომელმაც ვლასიჩს ოთხი პროცენტით აჯობა. მესამე იყო ამერიკელი ჩოგბურთელი **სერენა უილიამსი**.

წლის საუკეთესო გუნდად საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა" აღიარეს. 2009 წელს ექვსი ტიტულის მომგებმა კატალონელებმა თითქმის 27 პროცენტით მოუგეს ფორმულა 1-ის ბრიტანულ საჯინიბო - „ბრაუნ გრან-პრის".

**წლის სპორტსმენი (კაცი)**

1. უსაინ ბოლტი (იამაიკა, მძლეოსნობა) - 1866 ქულა (33,71%)
2. ლეო მესი (არგენტინა, ფეხბურთი) - 885 (15,99%)
3. როჯერ ფედერერი (შვეიცარია, ჩოგბურთი) - 723 (13,06%)
4. ვალენტინო როსი (იტალია, მოტოგრან-პრი) - 301 (5,44%)
5. მაიკლ ფელპსი (აშშ, ცურვა) - 251 (4,53%)

**წლის სპორტსმენი (ქალი)**

1. ელენა ისინბაევა (რუსეთი, მძლეოსნობა) - 1090 (20,39%)
2. ბლანკა ვლასიჩი (ხორვატია, მძლეოსნობა) - 889 (16,63%)
3. სერენა უილიამსი (აშშ, ჩოგბურთი) - 617 (11,54%)
4. ფედერიკა პელეგრინი (იტალია, ცურვა) - 606 (11,34%)
5. კიმ კლაისტერსი (ბელგია, ჩოგბურთი) - 571 (10,68%)

**წლის გუნდი**

1. ბარსელონა (ფეხბურთი) - 2220 (42,17%)
2. ბრაუნ გრან-პრი (ფორმულა 1) - 838 (15.92%)
3. ესპანეთის ნაკრები (ფეხბურთი) - 633 (12,02%)
4. მანჩესტერ იუნ (ფეხბურთი) - 463 (8,79%)
5. ირლანდიის ნაკრები (რაგბი) - 454 (8,62%)

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ვაშინგტონში იარაღს ატრიალებენ

„ვაშინგტონ უიზარდსის" კალათბურთელებმა - **გილბერტ არენასმა** და **ჯავარის კრიტენტონმა** კინაღამ იარაღის ძალით გადაწყვიტეს გასახდელში წარმოქმნილი კონფლიქტი.

ეს უსიამოვნო ინციდენტი მას შემდეგ დაიწყო, რაც კრიტენტონმა უკმაყოფილება გამოთქვა ერთ-ერთი სათამაშო ეპიზოდის გამო, როცა არენასმა მას პასი არ დაუბრუნა. „ვაშინგტონის" ლიდერს პარტნიორის საუბრის ტონი არ მოეწონა და ჩანთიდან პისტოლეტი ამოიღო. ვალში არც ჯავარისი დარჩენილა. საბედნიეროდ, საქმე გასროლამდე არ მისულა, მაგრამ ამ შემთხვევამ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში და მთლიანად ამერიკულ სპორტულ სამყაროში დიდი რეზონანსი გამოიწვია. თავად არენასმა უარი განაცხადა ამ ინციდენტის კომენტირებაზე და უარყო თანაგუნდელისთვის იარაღით დამუქრების ფაქტი.

*„ეს უპრეცედენტო შემთხვევაა სპორტის ისტორიაში. არასოდეს გამიგონია, რომ მოთამაშეებს ასეთი გზით გადაეჭრათ პირადი კონფლიქტები",* - ამბობს სპორტსმენთა ასოციაციის დირექტორი **ბილ ჰანტერი**.

მეორე დღეს, „ვაშინგტონ უიზარდსის" ხელმძღვანელობამ ფაქტობრივად დაადასტურა კალათბურთელთა კონფლიქტი. აი, რა წერია კლუბის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში: *„ვაშინგტონი" აკონტროლებს სიტუაციას და მომხდარ ინციდენტს დეტალურად განიხილავს. ჩვენ ყოველმხრივ ვითანამშრომლებთ შესაბამის ორგანოებთან და ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციასთან სიტუაციის ბოლომდე გასარკვევად. მანამდე კი სხვა კომენტარისგან თავს შევიკავებთ".*

ინციდენტის უყურადღებოდ დატოვებას არ აპირებს NBA-ის კომისარი **დევიდ სტერნი**. თითქმის ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ დედაქალაქელ „გმირებს" ლიგის შეფი სერიოზულ სანქციებს გამოუწერს, რადგან მსოფლიოს საუკეთესო საკალათბურთო ლიგის იმიჯს სერიოზული ზიანი მიადგა. ყველას ახსოვს, რამხელა სკანდალი ატყდა, როცა „დენვერის" მცველი **ჯეი არ სმიტი** ერთ-ერთი უმსხვილესი ბანდიტური დაჯგუფების წევრად გამოაცხადეს.

ასე რომ, სულ მალე „ვაშინგტონი", შესაძლოა, კარგა ხნით დაემშვიდობოს თავის მთავარ სნაიპერს.

**30 დეკემბერი**

**კლივლენდი-ატლანტა 106:101**
23:30, 29:34, 25:21, 29:16
კ: ჯეიმსი (48+10 მოხსნა+6 პასი), უილიამსი (14+10 პასი), ვარეჟაო (14+9 მოხსნა), ო'ნილი (11).
ა: ჯონსონი (35), ბიბი (20+6 პასი), სმიტი (11+5 პასი), კროუფორდი (11), ჰორფორდი (10+7 მოხსნა).

**ინდიანა-მემფისი 110:121**
29:35, 22:33, 28:25, 31:28
ი: ჰედი (30+7 მოხსნა), ჰიბერტი (25+13 მოხსნა), რაში (15), ჯონსი (14), მაკრობერტსი (10), უოტსონი (8+10 მოხსნა+6 პასი).
მ: გეი (31+9 მოხსნა), რენდოლფი (28+13 მოხსნა), გასოლი (21+10 მოხსნა), კონლი (13+7 პასი), მაიო (12), იანგი (11).

**ორლანდო-მილუოკი 117:92**
21:25, 20:24, 38:25, 38:18
ო: კარტერი (25), ჰოვარდი (17+10 მოხსნა), უილიამსი (16+7 პასი), პიეტრუსი (15) ბარნსი (10).
მ: ჯენინგსი (20), რიდნური (16) ბოგუტი (15+10 მოხსნა), ილიასოვა (13+7 მოხსნა).

**ტორონტო-შარლოტი 107:103**
31:26, 24:30, 29:24, 23:23
ტ: ბოში (33+13 მოხსნა), ბარნიანი (28), ბელინელი (13), დეროზანი (10).
შ: ჯექსონი (30), ფელტონი (23+7 [illegible]), უოლასი (15+16 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი 104:95**
27:28, 33:25, 25:19, 19:23
ნ-ჯ: იანლიანი (22), ლოპესი (21+14 მოხსნა+4 დაფარება), ჰარისი (17+8 პასი+7 მოხსნა), დაგლას-რობერტსი (17), დულინგი (12), ლი (10).
ნ-ი: ჰარინგტონი (25+9 მოხსნა), ლი (24+15 მოხსნა+8 პასი), ჩენდლერი (15+7 მოხსნა), დუჰონი (12+7 პასი), გალინარი (11).

**მინესოტა-იუტა 103:107**
24:27, 23:19, 22:33, 34:28
მ: ჯეფერსონი (21+9 მოხსნა), ლავი (17+11 მოხსნა), ელინგტონი (13).
ი: უილიამსი (21+12 პასი), ბრიუერი (20), ბუზერი (16+12 მოხსნა+6 პასი).

**ნიუ ორლეანი-მაიამი 95:91**
25:19, 23:21, 25:19, 22:32
ნ-ო: უესტი (21+10 მოხსნა), ბრაუნი (16).
მ: უეიდი (22+6 პასი), რიჩარდსონი (14+8 მოხსნა), ო'ნილი (12+9 მოხსნა).

**ფინიქსი-ბოსტონი 116:98**
30:20, 31:29, 29:24, 26:25
ფ: ფრაი (26+10 მოხსნა), სტაუდმაიერი (26+7 მოხსნა), ბარბოზა (17).
ბ: ჰაუსი (19), ალენი (15), უილიამსი (14).

**პორტლენდი-კლიპერსი 103:99**
25:20, 32:28, 24:28, 22:23
პ: როი (25+7 მოხსნა+6 პასი), უებსტერი (15), ბეილესი (14+8 პასი).
კ: კამანი (25+9 მოხსნა), გორდონი (24+6 პასი), ბატლერი (15).

**საკრამენტო-ფილადელ. 106:116**
28:17, 22:33, 26:29, 30:37
ს: კასპი (21+9 მოხსნა), გრინი (21), ტომპსონი (15+11 მოხსნა).
ფ: უილიამსი (22), აივერსონი (20), იგუოდალა (19+7 მოხსნა+9 პასი).

**31 დეკემბერი**

**დეტროიტი-ჩიკაგო 87:98**
19:25, 20:19, 17:25, 31:29
დ: სტაკი (22+6 პასი+4 ჩაჭრა), გორდონი (21), პრინსი (11), ვილანუევა (10).
ჩ: როუზი (22), ტომასი (19+7 მოხსნა), სალმონსი (17), ნოა (15+21 მოხსნა).

**ჰიუსტონი-დალასი 97:94**
24:17, 32:30, 22:23, 19:24
ჰ: ბრუქსი (30), ლენდრი (15), სკოლა (12+13 მოხსნა), ლოური (12+5 პასი), ბატიე (11+8 მოხსნა+5 პასი), არიზა (11+10 მოხსნა+7 პასი).
დ: ტერი (20), მერიონი (16+9 მოხსნა), ჰოვარდი (16), კიდი (14+5 პასი), ნოვიცკი (11+7 მოხსნა), გუდენი (10+8 მოხსნა).

**სან ანტონიო-მაიამი 108:78**
26:26, 32:23, 28:13, 22:16
ს-ა: დანკანი (23+10 მოხსნა), ჯინობილი (18), პარკერი (15+9 პასი), ბლეირი (14), ჰილი (13).
მ: ბიზლი (26+8 მოხსნა), უეიდი (16+6 პასი).

**ოკლაჰომა-იუტა 87:86**
22:24, 26:22, 17:16, 22:24
ო: დურანტი (31+8 მოხსნა+5 პასი), გრინი (12), კოლისონი (11), კრსტიჩი (10+7 მოხსნა).
ი: ბუზერი (17), უილიამსი (14), მეტიუზი (14), ოქური (11+11 მოხსნა).

**კლიპერსი-ფილადელფია 104:88**
26:31, 23:20, 29:14, 26:23
კ: კამანი (26+10 მოხსნა), დევისი (20+7 პასი), კემბი (14+10 მოხსნა), ბატლერი (14), გორდონი (13+5 პასი).
ფ: უილიამსი (19+5 პასი), ბრენდი (17), იგუოდალა (17+7 პასი).

**1 იანვარი**

**ატლანტა-ნიუ იორკი 108:112 (ო)**
26:22, 28:33, 26:12, 19:32, 9:13
ა: ჯონსონი (28+8 მოხსნა), სმიტი (24+10 მოხსნა), ჰორფორდი (22+19 მოხსნა), ბიბი (11+7 პასი), უილიამსი (11).
ნ-ი: რობინსონი (41+8 პასი), ჩენდლერი (24+17 მოხსნა), ჰარინგტონი (13), გალინარი (13), ლი (11+7 მოხსნა).

**მინესოტა-ორლანდო 94:106**
26:24, 19:27, 26:22, 23:33
მ: ფლინი (23), ლავი (17+10 მოხსნა), ჯეფერსონი (14+10 მოხსნა), ელინგტონი (13) ბრიუერი (10).
ო: ლუისი (21), ბარნსი (17+11 მოხსნა), ნელსონი (16+6 პასი), ანდერსონი (16), კარტერი (12+6 პასი), უილიამსი (10), ჰოვარდი (9+15 მოხსნა).

**ლეიკერსი-საკრამენტო 109:108**
23:28, 26:36, 30:22, 30:22
ლ: ბრაიანტი (39), ოდომი (20+10 მოხსნა), გასოლი (17+16 მოხსნა), ბინუმი (16).
ს: ჰაუსი (30+11 მოხსნა), კასპი (23), უდრიხი (19+13 პასი), უდოკა (13).

**2 იანვარი**

**ნიუ ჯერსი-კლივლენდი 86:94**
26:19, 17:25, 18:25, 25:25
ნ-ჯ: ჰარისი (22+6 პასი), ლოპესი (20+7 მოხსნა), დაგლას-რობერტსი (16), იანლიანი (11+8 მოხსნა).
კ: ჯეიმსი (28+9 მოხსნა+7 პასი), უილიამსი (18), ვარეჟაო (15+12 მოხსნა), ო'ნილი (12+9 მოხსნა).

**მაიამი-შარლოტი 97:107**
30:17, 16:32, 26:24, 25:34
მ: უეიდი (29+11 პასი), რიჩარდსონი (20), ბიზლი (14), ჰასლემი (13+10 მოხსნა).
შ: ჯექსონი (35+8 მოხსნა), უოლასი (15+8 მოხსნა), ავგუსტინი (13), მუჰამედი (10).

**ინდიანა-მინესოტა 122:111**
32:26, 41:19, 25:40, 24:26
ი: ჰიბერტი (21+7 მოხსნა), ჰედი (21+6 პასი), რაში (16), დანლივი (15+8 მოხსნა), უოტსონი (12+9 პასი), ჯონსი (12), სოლომონი (10).
მ: ჯეფერსონი (23), ლავი (16+8 მოხსნა), ელინგტონი (16+5 პასი), ფლინი (14), სეშენსი (10).

**ვაშინგტონი-სან ანტონიო 86:97**
24:30, 26:20, 21:20, 15:27
ვ: ბატლერი (24), არენასი (23+8 პასი), ჯეიმისონი (17+9 მოხსნა).
ს-ა: დანკანი (23+7 მოხსნა), მეისონი (20), პარკერი (12+7 პასი), ჯეფერსონი (11), ჯინობილი (10).

**ბოსტონი-ტორონტო 103:96**
29:27, 29:21, 20:19, 25:29
ბ: რ. ალენი (23), უოლასი (16), დევისი (15), პერკინსი (14+10 მოხსნა), ტ. ალენი (14+7 პასი), ჰაუსი (12).
ტ: ბოში (25+9 მოხსნა), ბარნიანი (21), ჯეკი (14+7 პასი), თურქოგლუ (12+7 პასი+7 მოხსნა).

**ჩიკაგო-ორლანდო 101:93**
26:29, 26:19, 32:24, 17:21
ჩ: როუზი (30+7 პასი), სალმონსი (15), ლენგ (14+9 მოხსნა), ჰაინრიხი (11), გიბსონი (10+12 მოხსნა).
ო: ბარნსი (23), ანდერსონი (12+9 მოხსნა), რედიკი (11), ნელსონი (10+10 პასი).

**ნიუ ორლეანი-ჰიუსტონი 99:95**
24:26, 22:24, 25:27, 26:18
ნ-ო: პოლი (28+9 პასი), უესტი (15), ოკაფორი (14+16 მოხსნა), ბრაუნი (12), სონგაილა (12).
ჰ: არიზა (19+7 მოხსნა), ბრუქსი (17), სკოლა (15), ლოური (12+6 პასი).

**მილუოკი-ოკლაჰომა 103:97 (ო)**
23:20, 25:29, 23:24, 17:15, 15:9
მ: რედი (27+7 მოხსნა), ბოგუტი (23+15 მოხსნა), უორიკი (14+8 მოხსნა), ჯენინგსი (13+7 მოხსნა+5 პასი), რიდნური (12).
ო: დურანტი (31), უესტბრუკი (17+13 პასი+9 მოხსნა).

**ფინიქსი-მემფისი 103:128**
29:33, 21:36, 26:31, 27:28
ფ: სტაუდმაიერი (29), ნეში (19+13 მოხსნა), ამუნდსონი (14+7 მოხსნა), დრაგიჩი (13).
მ: მაიო (25), იანგი (22), გასოლი (19+9 მოხსნა), რენდოლფი (18+11 მოხსნა), გეი (16), ტაბიტი (10).

**იუტა-დენვერი 95:105**
25:28, 22:23, 21627, 27:27
ი: ბუზერი (18+10 მოხსნა), ოქური (16+9 მოხსნა), უილიამსი (16+6 პასი).
დ: ლოუსონი (23+9 პასი), ნენე (22+6 ჩაჭრა), სმიტი (18), აფლალო (13), მარტინი (12+12 მოხსნა).

**პორტლენდი-გ. სტეიტი 105:89**
31:41, 24:15, 23:17, 26:16
პ: როი (37+5 პასი), მილერი (23+6 პასი), უებსტერი (21+11 მოხსნა), ჰოვარდი (12).
გ-ს: ელისი (30), მაგეტი (22+8 მოხსნა), რენდოლფი (15+11 მოხსნა).

**საკრამენტო-დალასი 91:99**
27:25, 21:30, 19:22, 24:22
ს: კასპი (22+11 მოხსნა), ტომპსონი (15+10 მოხსნა), ევანსი (14+6 პასი), უდრიხი (10).
დ: ნოვიცკი (25+7 მოხსნა), ბარეა (17), ჰოვარდი (16), კიდი (14+7 პასი), ტერი (11+5 პასი).



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. ვანკუვერი 2010

# ფავორიტის შემადგენლობაც ცნობილია

ვანკუვერის ოლიმპიადის ჰოკეის ტურნირის ყველა მონაწილემ დაასახელა საბოლოო შემადგენლობა. ყველაზე ბოლოს ეს ზამთრის თამაშების ფავორიტებმა - კანადისა და ამერიკის ნაკრების ხელმძღვანელებმა გააკეთეს. აი, როგორ გამოიყურება მათი საბოლოო განაცხადები:

### კანადა

**მეკარეები:** რობერტო ლუონგო (ვანკუვერი), მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი), მარკ-ანდრე ფლერი (პიტსბურგი);

**მცველები:** დენ ბოილი (სან ხოსე), დრიუ დაუტი (ლოს ანჯელესი), დანკან კეიტი (ჩიკაგო), სკოტ ნიდერმაიერი (ანაჰაიმი), კრის პრონგერი (ფილადელფია), ბრენტ სიბრუკი (ჩიკაგო), ში უებერი (ნეშვილი);

**თავდამსხმელები:** სიდნი კროსბი (პიტსბურგი), ჯერომ იგინლა (კალგარი) პატრის ბერჟერონი (ბოსტონი), რაიან გეტცლაფი (ანაჰაიმი), დენი ჰიტლი (სან ხოსე), პატრიკ მარლო (სან ხოსე), ბრენდან მოროუ (დალასი), რიკ ნეში (კოლამბუსი), კორი პერი (ანაჰაიმი), მაიკ რიჩარდსი (ფილადელფია), ერიკ სტაალი (კაროლინა), ჯო ტორნტონი (სან ხოსე), ჯონათან ტეუვზი (ჩიკაგო).

ოლიმპიადაზე კანადელთა კაპიტანი სკოტ ნიდერმაიერი იქნება, მის ასისტენტებად კი **კრის პრონგერი, სიდნი კროსბი** და **ჯერომ იგინლა** აირჩიეს.

### აშშ

**მეკარეები:** რაიან მილერი (ბაფალო), ტიმ ტომასი (ბოსტონი), ჯონათან კუიკი (ლოს ანჯელესი);

**მცველები:** ბრაიან რაფალსკი (დეტროიტი), რაიან სატერი (ნეშვილი), პოლ მარტინი (ნიუ ჯერსი), ჯეკ ჯონსონი (ლოს ანჯელესი), ერიკ ჯონსონი (სენტ ლუისი), ბრუქს ორპიკი (პიტსბურგი), მაიკ კომისარეკი (ტორონტო);

**თავდამსხმელები:** ჯო პაველსკი (სან ხოსე), ზაკ პარიზე (ნიუ ჯერსი), ფილ კესელი (ტორონტო), ჯემი ლანგენბრუნერი (ნიუ ჯერსი), პოლ შჩასტნი (კოლორადო), პატრიკ კეინი (ჩიკაგო), დასტინ ბრაუნი (ლოს ანჯელესი), ბობი რაიანი (ანაჰაიმი), რაიან მელოუნი (ტამპა ბეი), რაიან კესლერი (ვანკუვერი), რაიან კელეჰანი (რეინჯერსი), კრის დრური (რეინჯერსი), დევიდ ბექსი (სენტ ლუისი).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




## NHL რეგულარული ჩემპიონატი

### 30 დეკემბერი

**ბოსტონი-ატლანტა 4:0**
3:0, 1:0, 0:0
**გოლები:** 1:0 ბიტცი-4 (მ. ტორნტონი-6, ჰანვიკი-5), 2:0 შტურმი-13 (სავარი-12, ვიდემანი-11), 3:0 ბიგინი-3 (მორისი-14, სავარი-13), 4:0 პ. ბერჟერონი-11 (რეკი-15, ველერი-12).)

**ნიუ ჯერსი-პიტსბურგი 2:0**
1:0, 0:0, 1:0
**გოლები:** 1:0 ბერგფორსი-13 (ზაიაცი-20, ე. გრინი-18), 2:0 ლანგენბუნერი-9 (რ. ნიდერმაიერი-8).

**რეინჯერსი-ფილადელფია 0:6**
0:3, 0:2, 0:1
**გოლები:** 0:1 ბეტსი-4 (ლაპერიერი-6), 0:2 ბრიერი-14 (მ. რიჩარდსი-16, ჯ. კარტერი-17), 0:3 ჟირუ-8 (საიმონ განიე-7), 0:4 საიმონ განიე-3, 0:5 საიმონ განიე-4 (ბრიერი-11, ჯ. კარტერი-18), 0:6 საიმონ განიე-5 (ჟირუ-18, მ. რიჩარდსი-17).

**ტამპა ბეი-მონრეალი 1:2 (ო)**
0:0, 0:1, 1:0, 0:1
**გოლები:** 0:1 ჯონტა-9 (მარკოვი-5, გომესი-20), 0:2 ფოსტერი-6 (ჰედმანი-9, სენტ ლუისი-36), 1:2 პლეკანეცი-9 (კამალერი-17).

**ოტავა-კოლორადო 3:4**
1:2, 0:1, 2:1
**გოლები:** 1:0 შენონი-3 (ფილიპსი-9), 1:1 ქუინსი-4, 1:2 დურნო-2 (მაკლეოდი-6), 1:3 დუშენი-11 (ჰეიდუკი-11), 1:4 ო'რაილი-5 (იიპი-1), 2:4 ფოლინო-7 (კარკნერი-5, კელი-13), 3:4 შენონი-4 (კოვალიოვი-15, კამპოლი-9).

**კალგარი-ლოს ანჯელესი 2:1**
1:0, 1:1, 0:0
**გოლები:** 1:0 რენე ბურკი-14 (ბოუმისტერი-14, პერდი-5), 1:1 პერსი-6 (მოლერი-2, სიმონდსი-13), 2:1 კონროი-1 (რენე ბურკი-19, ნისტრიომი-4).

**ედმონტონი-ტორონტო 3:1**
1:0, 1:0, 1:1
**გოლები:** 1:0 ბრული-10 (ჟაკი-5, ვიშნოვსკი-18), 2:0 ო'სალივანი-7 (გრებეშკოვი-8, ჰორკოფი-9), 3:0 ო'სალივანი-8 (გილბერტი-8, დელორიერი-1), 3:1 კესელი-14.

**სან ხოსე-ვაშინგტონი 5:2**
2:0, 1:0, 2:2
**გოლები:** 1:0 პაველსკი-8 (ჰიტლი-), 2:0 ტ. მიტჩელი-1 (მაკლარენი-4, ჰასკინსი-11), 3:0 ქლოუ-10 (ბულიტი), 3:1 ნუბლი-7 (ჩიმერა-10, პოტი-8), 4:1 პაველსკი-9 (დემერსი-13, სეტოგუჩი-5), 5:1 ჯ. ტორნტონი-11 (ბულიტი), 5:2 ოვეჩკინი-27 (ბექსტრიომი-31).

### 31 დეკემბერი

**ფლორიდა-მონრეალი 4:5**
2:1, 1:2, 1:2
**გოლები:** 1:0 ბალარდი-3 (ვოკოუნი-1), 1:1 გილი-2 (ო'ბირნი-1, გომესი-21), 2:1 ჰორტონი-14 (უეისი-20, ალენი-5), 2:2 კამალერი-20 (მარკოვი-6, მეტროპოლიტი-10), 2:3 პლეკანეცი- 10 (მარკოვი-7, პასიორეტი-11), 3:3 ფროლიკი-12 (ჰორტონი-25), 3:4 მ-ა. ბერჟერონი-10 (მარკოვი-8, ჯონტა-7), 3:5 პუიო-4 (გომესი-22, ჯონტა-8), 4:5 რაინპრეხტი-12 (დვორაკი-10, სტილმანი-8).

**ოტავა-აილენდერსი 3:2 (ბ)**
0:0, 2:1, 0:1, 0:0
**გოლები:** 0:1 შრემპი-2 (შტრაიტი-17, ბეილი-6), 1:1 კელი-5 (ნილი-3, ი. რუუტუ-7), 2:1 რეგინი-5 (კამპოლი-10), 2:2 სიმი-5 (პარკი-10).
**ბულიტები გაიტანეს:** კოვალიოვი (ოტავა), ნილსენი (აილენდერსი), ფიშერი (ოტავა), შრემპი (აილენდერსი), შენონი (ოტავა).

**დეტროიტი-კოლორადო 4:2**
0:0, 2:1, 2:1
**გოლები:** 1:0 დაციუკი-9 (ბერტუცი-12, იანიკი-1), 2:0 ჰელმი-4 (დრეიპერი-7, ლიდსტრიომი-15), 2:1 იიპი-2 (ტაკერი-7, დუშენი-15), 2:2 იიპი-3 (ტაკერი-8, დუშენი-16), 3:2 ლეინო-4 (მიჩი-1, ფილპულა-5), 4:2 ჰელმი-5 (ლიდსტრიომი-16).

**კოლამბუსი-ნეშვილი 1:2 (ო)**
1:0, 0:0, 0:1, 0:1
**გოლები:** 1:0 ტორესი-11 (ვორაჩეკი-16, ვერმეტი-19), 1:1 ტურესონი-1 (ჯ. უორდი-13), 1:2 ლეგუანდი-9 (ჯ. უორდი-14).

**ფინიქსი-სან ხოსე 2:3 (ბ)**
0:0, 2:1, 0:1, 0:0
**გოლები:** 0:1 ჰასკინსი-2 (მაკლარენი-5, მაკგინი-1), 1:1 აპშოლი-14 (ლომბარდი-18, ა. ერიქსონი-2), 2:1 პიატი-7 (პ. მიულერი-9, ა. ოკუანი-13), 2:2 დ. ბოილი-8 (ქლოუ-18, პაველსკი-12).

**კაროლინა-რეინჯერსი 1:2**
1:1, 0:0, 0:1
**გოლები:** 1:0 პიტკანენი-2 (რეი უიტნი-16, ე. სტაალი-19), 1:1 კრისტენსენი-1 (გაბორიკი-24, კოტალიკი-14), 1:2 დუბინსკი-7 (გაბორიკი-25, კრისტენსენი-1).

**სტ. ლუისი-ვანკუვერი 3:4 (ო)**
1:0, 2:1, 0:2, 0:1
**გოლები:** 1:0 ა. სტინი-7 (ბოიესი-18, ე. მაკდონალდი-13), 2:0 ტკაჩუკი-9 (პერონი-11, პოლაკი-6), 3:0 ე. მაკდონალდი-12 (ბექსი-10, ბოიესი-19), 3:1 დ. სედინი-10 (ბაროუზი-17, ჰ. სედინი-34), 3:2 სამუელსონი-12 (გლესი-5), 3:3 ჰ. სედინი-19 (დ. სედინი-19), 3:4 ერჰოფი-9 (უელვუდი-7, კესლერი-24).

**მინესოტა-ლოს ანჯელესი 2:5**
0:3, 1:1, 1:1
**გოლები:** 0:1 რიჩარდსონი-5 (სიმონდსი-14, დრიუსკი-7), 0:2 ფროლოვი-10 (ჰანძუში-12, სეგალი-1), 0:3 რ. სმიტი-10 (დაუტი-18), 0:4 ჰანძუში-8 (ფროლოვი-16, ო'დონელი-7), 1:4 ბრუნეტი-12 (მიეტინენი-9, მ. კოივუ-29), 2:4 ნოლანი-10 (ჟიდლიცკი-20, ჰავლატი-16), 2:5 ფროლოვი-11 (ჯ. ჯონსონი-12).

**დალასი-ანაჰაიმი 5:3**
1:1, 3:1, 1:1
**გოლები:** 1:0 ლ. ერიქსონი-14 (რიბეირო-23), 1:1 ს. კოივუ-7 (რაიანი-15, სექსტონი-4), 1:2 მ. ბრაუნი-4 (მარჩანტი-6, ს. ნიდერმაიერი-21), 2:2 ლ. ერიქსონი-15 (ლეჰტინენი-5, ბ. რიჩარდსი-35), 3:2 რობიდასი-10 (ნილი-16), 4:2 ლ. ერიქსონი-16 (ბ. რიჩარდსი-36, ლეჰტინენი-6), 5:2 ბ. რიჩარდსი-11 (მოდანო-9, რობიდასი-17), 5:3 ს. კოივუ- 8 (ვიშნიევსკი-16, სექსტონი-5).

**ჩიკაგო-ნიუ ჯერსი 5:1**
2:0, 1:0, 2:1
**გოლები:** 1:0 ბროუერი-10 (ტეუვზი-21, პ. კეინი-28), 2:0 იგერი-3 (ფრეზერი-4, კოპეცკი-5), 3:0 ლედი-7 (შარპი-17, მარიან ჰოსა-8), 4:0 ტეუვზი-12, 5:0 მადენი-8 (ბიფულინი-6, ვერსტეეგი-12), 5:1 ლანგენბუნერი-10.

**კალგარი-ედმონტონი 2:1**
0:0, 1:0, 1:1
**გოლები:** 1:0 კონროი- 2 (რენე ბურკი-20, ბოუმისტერი-15), 2:0 გლენკროსი-8 (ჯორდანო-12, ლენგკოუ-14), 2:1 ჰორკოფი-9 (სემ განიე-14, რ. ნილსონი-8).

### 1 იანვარი

**ბოსტონი-ფილადელფია 2:1 (ო)**
0:0, 0:1, 1:0, 1:0
**გოლები:** 0:1 სივრეტი-1 (ჰარტნელი-16, ჯ. კარტერი-19), 1:1 რეკი-8 (მორისი-15, კრეისი-13), 2:1 შტურმი-14 (პ. ბერჟერონი-20, ხარა-22).

**ბაფალო-ატლანტა 4:3 (ო)**
0:0, 1:3, 2:0, 1:0
**გოლები:** 0:1 კოვალჩუკი-24 (ანტროპოვი-25, ბოგოსიანი-9), 0:2 ე. კეინი-10 (სალმელა-3, პევერლი-22), 0:3 ლიტლი-5 (ტ. უაიტი-13, ენსტრიომი-28), 1:3 ჰეხტი-7 (ლიდმანი-5, მონტადორი-10), 2:3 ტიმ კონოლი-10 (ჰეხტი-10, მეირი-2), 3:3 ჰეხტი- 8 (მეირი-3, ტიმ კონოლი-21), 4:3 დ. როი-10 (მიერსი-19, ბატლერი-11).

### 2 იანვარი

**რეინჯერსი-კაროლინა 1:2 (ო)**
0:0, 0:1, 1:0, 0:1
**გოლები:** 0:1 კოსტოპულოსი-3 (ტლუსტი-1, დუაიერი-1), 1:1 გაბორიკი-27 (დუბინსკი-11, კრისტენსენი-2), 1:2 რეი უიტნი-11 (კულენი-15, პიტკანენი-17).

**დალასი-ვანკუვერი 1:3**
0:0, 0:1, 1:2
**გოლები:** 0:1 კესლერი-11 (რეიმონდი-13, სამუელსონი-15), 1:1 ლ. ერიქსონი-17 (მოროუ-13, ბ. რიჩარდსი-37), 1:2 დ. სედინი-11 (ჰ. სედინი-35), 1:3 ბაროუზი-11 (კესლერი-25, ჰ. სედინი-36).

**ტამპა ბეი-პიტსბურგი 3:1**
1:1, 1:0, 1:0
**გოლები:** 1:0 სენტ ლუისი-9 (ოლუნდი-9, სტემკოსი-17), 1:1 გერინი-13 (ჯ. სტაალი-14, მაკკი-7), 2:1 კონოპკა-2 (დაუნი-10, სტემკოსი-18), 3:1 დაუნი-8 (ოლუნდი-10, ლეკავალიე-29).

**ლოს ანჯელესი-ვაშინგტონი 2:1**
1:0, 0:1, 1:0
**გოლები:** 1:0 რ. სმიტი-11 (კოპიტარი-24, დაუტი-19), 1:1 მ. გრინი-10 (პოტი-9), 2:1 ჰანძუში-9 (რიჩარდსონი-7).

**აილენდერსი-ატლანტა 6:5 (ბ)**
3:0, 2:4, 0:1, 0:0
**გოლები:** 1:0 მოულსონი-16 (შრემპი-6, ნილსენი-11), 2:0 სიმი-6 (ბეილი-7), 3:0 პარკი-3 (ტამბელინი-6, უეიტი-7), 3:1 აფინოგენოვი-14 (კოვალჩუკი-20, ენსტრიომი-29), 4:1 ჰანტერი-8 (ვიტი-3, ნილსენი-12), 4:2 აფინოგენოვი-15 (ენსტრიომი-30, კოვალჩუკი-21), 5:2 ბეილი-9 (ნილსენი-13, მოულსონი-12), 5:3 ანტროპოვი-11 (კოვალჩუკი-22, აფინოგენოვი-23), 5:4 პევერლი- 13 (კ. არმსტრონგი-8, შუბერტი-5), 5:5 კოვალჩუკი- 25 (ენსტრიომი-31, აფინოგენოვი-24).
**ბულიტები გაიტანეს:** ტამბელინი (აილენდერსი), ნილსენი (აილენდერსი), ვიაჩ. კოზლოვი (ატლანტა).

**კოლამბუსი-კოლორადო 2:3**
1:0, 1:1, 0:2
**გოლები:** 1:0 ჰუსელიუსი-12 (ნეში-19, ტიუტინი-19), 1:1 კამისკი-4 (ლაილსი-12), 2:1 ბრასარი-6 (ჰუსელიუსი-16, ჰეიდა-6), 2:2 კ. სტიუარტი-12 (პ. შჩასტნი-31, ჰენანი-9), 2:3 გალიარდი-5 (ჰეიდუკი-12, უილსონი-8).

**კალგარი-ტორონტო 3:1**
0:1, 2:0, 1:0
**გოლები:** 0:1 ჯ. ბლეიკი-10 (უ. პრიმო-3, სტემპნიაკი-12), 1:1 იგინლა-21 (ლენგკოუ-15), 2:1 გლენკროსი-9 (იგინლა-19, ლენგკოუ-16), 3:1 გლენკროსი-10 (ლენგკოუ-17, იგინლა-20).

**სტ. ლუისი-ჩიკაგო 3:6**
2:2, 0:2, 1:2
**გოლები:** 0:1 კოპეცკი-2 (სიბრუკი-14, ფრეზერი-5), 1:1 ბრიუერი-3 (ბექსი-11, კონკლინი-1), 1:2 კოპეცკი-3 (იგერი-3, ფრეზერი-6), 2:2 ე. მაკდონალდი-13 (ბექსი-12, ე. ჯონსონი-18), 2:3 ბ. კემპბელი-5 (პ. კეინი-29, მარიან ჰოსა-9), 2:4 ვერსტეეგი-11 (ბიფულინი-7), 2:5 შარპი-13 (მარიან ჰოსა-10, სოპელი-5), 2:6 შარპი-14 (სიბრუკი-15), 3:6 ტკაჩუკი-10 (ოში-13, პერონი-12).

**ნეშვილი-ანაჰაიმი 3:1**
0:1, 1:0, 2:0
**გოლები:** 0:1 მ. ბრაუნი-5 (არტიუხინი-2, ნოკელაინენი-3), 1:1 შ. უებერი-7 (არნოტი-13, ჰორნკვისტი-9), 2:1 არნოტი-12 (შ. უებერი-16, სალივანი-16), 3:1 ლეგუანდი-10 (ჯ. უორდი-15, არნოტი-14).

**მინესოტა-ნიუ ჯერსი 3:5**
0:0, 2:3, 1:2
**გოლები:** 0:1 მაკამონდი-4 (ელიაში-14), 0:2 ლანგენბუნერი-11 (ელიაში-15, ჟარკოვი-7), 1:2 ბელანჟე-9 (ჟიდლიცკი-21, ჰავლატი-17), 2:2 მ. კოივუ-11 (მიეტინენი-10, შულტცი-8), 2:3 ლანგენბუნერი-12 (მოტო-3), 2:4 პანდოლფო-3 (რ. ნიდერმაიერი-9, ელიაში-16), 3:4 ბრუნეტი-13 (ჟიდლიცკი-22, მ. კოივუ-30), 3:5 ლანგენბუნერი-13.

**ფინიქსი-დეტროიტი 1:4**
0:1, 1:1, 0:2
**გოლები:** 0:1 ჰოლმსტრიომი-14 (ლიდსტრიომი-17, რაფალსკი-14), 1:1 ლომბარდი-7 (ლანგი-13, იენდლი-14), 1:2 ჰოლმსტრიომი-15 (ლიდსტრიომი-18, დაციუკი-22), 1:3 დაციუკი-10 (ბერტუცი-13, რაფალსკი-15), 1:4 ჰელმი-6 (ბ. სტიუარტი-7).

**სან ხოსე-ედმონტონი 4:1**
2:0, 2:1, 0:0
**გოლები:** 1:0 მაკგინი-7 (ჰასკინსი-12, ტ. მიტჩელი-1), 2:0 დ. მიურეი-2 (ნიკოლი-5, შტაუბიცი-2), 3:0 ჰიტლი-24 (ჯ. ტორნტონი-45, მარლო-17), 3:1 რ. ნილსონი-6 (სემ განიე-15, პენერი-20), 4:1 მარლო-26 (ჯ. ტორნტონი-46, დ. მიურეი-7).

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

**გერმანია**

| | |
|---|---|
| დიუსელდორ.-ბრაუნშვაიგ. | 80:78 (ო) |
| ალბა-პადერბორნი | 89:72 |
| ბამბერგი-ოლდენბურგი | 67:78 |
| გიოტინგენი-ერტლანდი | 79:78 |
| მიტლდოიჩე-ტიუბინგენი | 79:87 |
| ფინიქსი-გესენი | 68:65 |
| ბრემერჰავენი-ლუდვიგსბურ. | 66:60 |
| ტელეკომი-ულმი | 82:59 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ოლიმპია-არისი | 62:79 |
| პანელინიოსი-კავალა | 84:59 |
| პერისტერი-პაოკ | 71:68 |
| კოლოსოსი-მარუსი | 73:79 (ო) |
| ტრიკალა-ილისიაკოსი | 70:67 |
| აეკ-ოლიმპიაკოსი | 91:96 |
| პანიონიოსი-პანათინაიკოსი | 76:80 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბილბაო-ბარსელონა | 65:87 |
| ალიკანტე-ესტუდიანტესი | 82:60 |
| ვალენსია-გრან კანარია | 89:72 |
| ბრუესა-კახა ლაბორალი | 83:92 |
| მურსია-ვალიადოლიდი | 96:101 (ო) |
| ობრადოირო-ხუვენტუდი | 106:90 |
| რეალი-ფუენლაბრადა | 88:72 |
| უნიკახა-გრანადა | 112:87 |
| სევილია-მანრესა | 62:59 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| ბენეტონი-სიენა | 80:92 |
| კანტუ-აველინო | 85:61 |
| ვანოლი-ვირტუსი | 69:74 |
| სკავოლინი-ტერამო | 82:78 |
| კაზერტა-ვარეზე | 76:53 |
| მონტეგრანარო-ფერარა | 92:88 (ო) |
| ნაპოლი-ბიელა | 54:124 |
| რომა-მილანი | 77:69 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ჰავრი-რუანი | 82:89 |
| როანი-პარიზი | 71:84 |
| დიჟონი-ნანსი | 74:95 |
| ორლეანი-პუატიე | 84:52 |
| სტრასბური-გრაველენი | 91:102 |
| შოლე-ლე მანი | 68:66 |
| ტულონი-ვილერბანი | 75:81 |
| ვიში-შალონი | 91:58 |

### ჰოკეი

**მს. ჩემპიონატი**

**UNDER 20**

| | |
|---|---|
| რუსეთი-შვეიცარია | 2:3 (ო) |
| აშშ-ფინეთი | 6:2 |

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ამური-დინამო (მ) | 3:3 |
| მეტალურგი (ნ)-დინამო (რ) | 3:2 |
| სიბირი-დინამო (მნ) | 0:2 |
| ატლანტი-სევერსტალი | 1:1 |
| სკა-სპარტაკი | 2:2 |
| ტორპედო-ლოკომოტივი | 5:2 |
| მვდ-ვიტიაზი | 6:3 |
| ცსკა-ბარისი | 3:5 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ვენა-ოლიმპია | 5:2 |
| ვილახი-აკრონი | 4:3 |
| ზალცბურგი-ალბა | 5:2 |
| ლინცი-კლაგენფიურტი | 2:1 |
| ზაგრები-გრაცი | 2:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-კრეფელდი | 6:3 |
| ინგოლშტადტი-აუგსბურგი | 5:1 |
| კიოლნი-კასელი | 4:3 |
| ნიურნბერგი-ჰანოვერი | 0:0 |
| შტრაუბინგი-დიუსელდორფი | 3:5 |
| იზერლონი-მანჰაიმი | 5:4 |
| ფრანქფურტი-ვოლფსბურგი | 4:3 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ესბერგი-სონდერიისკი | 1:4 |
| ჰვიდოვრე-ოლბორგი | 3:3 |
| რუნგსტედი-ფრედრიკშავნი | 4:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სტიორნენი-ლილეჰამერი | 4:2 |
| ლორენსკოგი-სპარტა | 2:1 |
| სტორჰამარი-სტავანგერი | 5:6 |
| ფრისკ ასკერი-ვოლერენგა | 1:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰიფკ-კერპეტი | 0:2 |
| ჰპკ-ტპს | 3:3 |
| კალპა-იოკერიტი | 3:0 |
| პელიკანსი-ილვესი | 5:2 |
| სეიპა-ლუკო | 1:1 |
| ტაპარა-იუვიასკიულა | 2:5 |
| ესეტი-კიეკო | 5:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სლავია-ლიბერეცი | 2:4 |
| ზლინი-ბუდეიოვიცე | 3:3 |
| სპარტა-კლადნო | 3:1 |
| ტრშინეცი-ლიტვინოვი | 3:3 |
| ბოლესლავი-ბრნო | 3:3 |
| პარდუბიცე-ვიტკოვიცე | 10:3 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ფრიბურგი-რაპერსვილი | 3:3 |
| ბერნი-ბილი | 7:3 |
| ციურიხი-ლუგანო | 5:2 |
| ამბრი პიოტა-დავოსი | 5:4 |
| ცუგი-ჟენევა | 2:2 |
| კლოტენი-ლანგნაუ | 4:1 |
| ბილი-ცუგი | 2:2 |
| დავოსი-ციურიხი | 1:3 |
| ლანგნაუ-ბერნი | 3:7 |
| ლუგანო-ფრიბურგი | 6:3 |
| რაპერსვილი-კლოტენი | 0:3 |
| ჟენევა-ამბრი პიოტა | 6:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლულეა-აიკ | 5:2 |
| მოდო-სიოდერტალე | 6:3 |
| იურგორდენი-ფერიესტადი | 2:2 |
| ჰვ71-ბრიუნასი | 3:3 |
| ფრიოლუნდა-როგლე | 5:2 |
| ლინჩოპინგი-ტიმრა | 4:3 |

## TV პროგრამა

### 4 იანვარი. ორშაბათი

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-იუვენტუსი.
09:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ფილადელფია.
11:30 ფეხბურთი. რეტრო-მატჩები. ჩემპიონთა ლიგა 1997-98. იუვენტუსი-დინამო (კ).
13:10 ჩოგბურთი. ATP-ის მასტერსი. მონრეალი. კანადა.
16:15 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ბარსელონა. ესპანეთი.
19:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-ნაპოლი.
20:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ბაიერნი.
22:30 სპორტული სამყარო.
23:00 ფეხბურთი. რეტრო-მატჩები. ჩემპიონთა ლიგა 2004-05. მილანი-ეინდჰოვენი.
00:40 კალათბურთი. ევროლიგა. უნიკახა-ოლიმპიაკოსი.
02:20 ჩოგბურთი. ATP-ის მასტერსი. მონრეალი. კანადა.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ინტერი-დინამო (კ).
09:50 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
10:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ლივერპული.
12:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-პიტსბურგი.
13:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ჰერტა.
15:25 ცურვა. მსოფლიოს თასი. მოსკოვი. რუსეთი.
17:35 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. აბუ დაბი, საემიროები.
18:30 კალათბურთი. ევროლიგა. რეალი-პანათინაიკოსი.
19:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ბაიერნი-ბორდო.
21:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-უიგანი.
23:30 სპორტული სამყარო.
23:55 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ფილადელფია.
01:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ჰერტა.
03:25 ცურვა. მსოფლიოს თასი. მოსკოვი. რუსეთი.
05:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ლივერპული.
07:15 კალათბურთი. ევროლიგა. რეალი-პანათინაიკოსი.

**EUROSPORT**

11:30 რალი. დაკარი 2010. II ეტაპი.
12:15 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ტრამპლინის ტურნე. HS130. ინსბრუკი. ავსტრია.
13:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. ბრისბენი. ავსტრალია (LIVE).
14:45 საჩოგბურთო ისტორიები. ტელეჟურნალი.
16:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. დოჰა. კატარი (LIVE).
19:45 ჩოგბურთი. ჟუსტინ ანენი. ტელეჟურნალი.
19:50 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. დოჰა. კატარი (LIVE).
21:45 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. ტურ დე სკი. სპრინტი. ქალები/კაცები. პრალა. ჩეხეთი (LIVE).
23:00 მულტისპორტი.
23:30 რალი. დაკარი 2010. III ეტაპი (LIVE).
23:35 მულტისპორტი.
23:45 პრო-რესტლინგი.
01:15 თხილამურებით სირბილი. მსოფლიოს თასი. ტურ დე სკი. სპრინტი. ქალები/კაცები. პრალა. ჩეხეთი (LIVE).
02:00 რალი. დაკარი 2010. III ეტაპი (LIVE).
02:45 მინი-ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. გერმანია.
03:45 რალი. დაკარი 2010. III ეტაპი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# რაფამ და მარიამ მოგებით დაიწყეს

## ფედერერმა შვეიცარიას ისევ უღალატა

აბუ დაბიში საჩვენებელმა ტურნირმა არაოფიციალურად გახსნა 2010 წლის საჩოგბურთო სეზონი. **რობინ სიოდერლინგმა** პირველად ცხოვრებაში დაამარცხა **როჯერ ფედერერი**, მთავარი პრიზი კი ესპანელ **რაფაელ ნადალს** ერგო, რომელმაც შესანიშნავი მზადყოფნა აჩვენა.

ზედიზედ მეორე წელია, საამიროების გულუხვმა შეიხებმა დაითანხმეს მსოფლიოს წამყვანი ჩოგბურთელები - ისინი ახალ წელს აბუ დაბიში შეხვდნენ და იქ საგამოფენო ტურნირი ითამაშეს, რომელშიც გამარჯვებულს 250 ათასი დოლარი ერგო.

ისევე როგორც შარშან, წელსაც საამიროებში მსოფლიოს პირველი ორი ჩოგანი ჩავიდა, მაგრამ ამჯერადაც ვერ ვიხილეთ მათი ფინალი. ამის მიზეზი გახდა როლან გაროსის ფინალისტი სიოდერლინგი, რომელსაც ნახევარფინალში ფედერერთან მოუწია შეხვედრამ. აქამდე ეს ჩოგბურთელები 12-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და შვეიცარიელი ყოველთვის გამარჯვებული ტოვებდა კორტს. აღნიშნული ნახევარფინალის პირველ პარტიაში კლასიკური ბრძოლა ვიხილეთ - რობინიც და როჯერიც დამაჯერებლად იღებდნენ მოწოდებებს. ტაი-ბრეიკზე ფედერერმა ერთი სეტ-პოინტი გადაარჩინა და პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა - 7:6(8:6). შემდეგი სეტის დასაწყისში შვეიცარიელმა აილო მეტოქის მოწოდება, მაგრამ აქედან მოყოლებული თამაშს უკლო. აშკარად გამოჩნდა, რომ როჯერი ნელ-ნელა შედის ფორმაში და საჩვენებელი ტურნირისთვის მზადების ფორსირება საჭიროდ არ ჩათვალა. რობინმა დაიბრუნა დაკარგული მოწოდება და დაინიშნა ზედიზედ მეორე ტაი-ბრეიკი, სადაც სკანდინაველმა გაანადგურა მეტოქე - 7:6(7:1).

გადამწყვეტ პარტიაში სიოდერლინგის უპირატესობა ეჭვს აღარ იწვევდა, სეტის ბოლოს მან გაუძლო ფედერერის შეტევებს და კარიერაში პირველად დაამარცხა უხერხული მეტოქე - 6:2, თუმცა ტურნირის სტატუსის გამო, პირადი შეხვედრების ოფიციალურ სტატისტიკაში არაფერი შეიცვლება. *„ეს გამარჯვება მთელი სეზონისთვის შემმატებს დამაჯერებლობას. უკეთეს სტარტს ვერც ვინატრებდი. ახლა ყველა წამყვან ჩოგბურთელთან მაქვს მოპოვებული გამარჯვება“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ სიოდერლინგმა.

მეორე ნახევარფინალში რაფაელ ნადალი თანამემამულე **დავიდ ფერერს** ხვდებოდა. რაფამ კონკურენტებზე ადრე დაიწყო ახალი სეზონისთვის მზადება და წესით, ამას შედეგი უნდა გამოეღო. პირველ სეტში მსოფლიოს მეორე ჩოგანს გაუჭირდა. ფერერს რამდენიმე ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა, ტაი-ბრეიკზე კი ნადალმა დამაჯერებლად აჯობა თანამემამულეს - 7:6(7:3). მეორე პარტიაში რაფამ კიდევ უფრო მოუმატა თამაშს და დევიდი უკვე ვერ აჰყვა მეტოქის ტემპს - 6:3.

ბოლო წლებში ნადალსა და სიოდერლინგს არცთუ ისე დალაგებული ურთიერთობა აქვთ. ყველაფერი 2007 წლის უიმბლდონზე ორდღიანი დაპირისპირებით დაიწყო, როცა შვედი კორტზე და მის მიღმა საკმაოდ არაადეკვატურად იქცეოდა. ის მატჩი დიდი გაჭირვებით ნადალმა მოიგო, მაგრამ ორი წლის შემდეგ რობინმა რევანში აიღო. თანაც სკანდინავიელი პირველი ადამიანი გახდა ისტორიაში, ვინც ესპანელი როლან გაროსზე დაამარცხა. სხვათა შორის, მათი ბოლო შეხვედრა წლის შემაჯამებელ ტურნირზე ასევე სიოდერლინგის სასარგებლოდ დასრულდა.

აბუ დაბის ფინალმა გაამართლა მაყურებლის მოლოდინი. ესპანელი ამჯერადაც თანდათან შევიდა თამაშში, მაგრამ, ამასთან, მეტოქეს გაქცევის საშუალება არ მისცა. მე-11 და მე-12 გეიმებში ორივეს ორ-ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდათ, თანაც შვედისთვის ეს უკვე სეტ-პოინტები იყო, მაგრამ მათ შეინარჩუნეს საკუთარი მოწოდებები. მე-13 გეიმში კი ნადალი გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა.

მეორე პარტიაში რაფაელმა შეძლო შვედის მოწოდების აღება, მაგრამ რობინმა იქვე გააკეთა საპასუხო ბრეიკი. სკანდინავიელის რესურსი სწორედ აქ ამოიწურა. ნადალი სულ უფრო და უფრო აუმჯობესებდა თამაშს და სიოდერლინგი ველარ აჩერებდა მეტოქეს. მან სამი მატჩ-პოინტი მოიგერია, მაგრამ მეოთხე ჯერზე იძულებული გახდა, რაფასთვის გამარჯვება მიელოცა - 5:7.

### 1/4 ფინალი

**დავიდ ფერერი (ესპ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 2:6, 6:2, 6:4; რობინ სიოდერლინგი (შვედ)-სტანისას ვავრინკა (შვეიც) 7:6, 7:6.

### 1/2 ფინალი

**რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-როჯერ ფედერერი (შვეიც) 6:7, 7:6, 6:2; **რაფაელ ნადალი (ესპ)**-დავიდ ფერერი (ესპ) 7:6, 6:3.

### მე-3 ადგილისთვის

**როჯერ ფედერერი (შვეიც)**-დავიდ ფერერი (ესპ) 6:1, 7:5.

### ფინალი

**რაფაელ ნადალი (ესპ)**-რობინ სიოდერლინგი (შვედ) 7:6, 7:5.

■ ■ ■

ამასობაში, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა როჯერ ფედერერმა კვლავ დამარცხებისთვის განწირა შვეიცარიის ნაკრები დევისის თასზე. „დიდი სლემის“ ტურნირების 15-გზის ჩემპიონმა უარი თქვა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის პირველ წრეში ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ თამაშზე. ეს შეხვედრა 5-7 მარტს გაიმართება.

ფედერერმა თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ მას არ სურს ინდიან უელსისა და მაიამის მასტერსების წინ ესპანურ გრუნტზე თამაში.

როჯერი 2005 წლიდან მოყოლებული ტოვებს დევისის თასის პირველ? წრეს, სულ კი ამ დროის განმავლობაში ნაკრების რიგებში მხოლოდ 12 შეხვედრა ჩაატარა.

■ ■ ■

ნადალის მსგავსად, მოგებით დაიწყო სეზონი რუსმა **მარია შარაპოვამ**. ტაილანდის კურორტ ჰუა ჰინის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საგამოფენო მატჩში მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ამერიკელ **ვენუს უილიამსს** შეხვდა და ერთსაათიან ბრძოლაში ორი სეტი მოუგო მეტოქეს - 6:3, 6:4.

კორტზე განსაკუთრებული ბრძოლა არ ყოფილა. ამ ეტაპზე რუსი აშკარად უკეთ იყო მომზადებული, ვიდრე მისი ტიტულოვანი მეტოქე. უფროს უილიამსს სისწრაფე აკლდა, რაც აღიარა კიდეც მატჩის შემდეგ: *„მარია ძალიან კარგად თამაშობდა, მე კი ჩვეული ტემპი მაკლდა და წაგებაც ამის ბრალია“.*

*„კარგია, რომ მელირსა კორტზე დაბრუნება,* - განაცხადა შარაპოვამ. - *მიხარია, რომ ჩემი მეტოქე სწორედ ვენუსი იყო. მახსოვს, ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ აქ ბრწყინვალე მატჩი ჩავატარე უფროს უილიამსთან“.*

■ ■ ■

WTA-ის ტურნირი დაიწყო ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში და პირველივე დღეს ერთი საინტერესო მატჩი გაიმართა. ამერიკის ღია პირველობის ჩემპიონი **კიმ კლაისტერსი** პირველივე წრიდან ჩაერთო ტურნირში და ორ სეტში გაანადგურა 59-ე ჩოგანი, 32 წლის იტალიელი **ტატიანა გარბინი** - 6:2, 6:1.

მეორე წრეში ბელგიელი ჩოგბურთელი დიდ სპორტში დაბრუნებულ ავსტრალიელ **ალისია მოლიკს** შეხვდება, რომელმაც პირველ წრეში რუსი **ეკატერინა მაკაროვა** დაამარცხა - 6:4, 1:6, 6:4.

**გია თვალაბეიშვილი**

